



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფოს მზრიდან სოციალური საწარმოების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ

საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი

*მომზადებულია დამოუკიდებელი მკვლევარის ანდრეა
სპიტალზსკის მიერ*

2016



სარჩევი

რეზიუმე.....	9
ავსტრალია.....	18
სოციალური საწარმოების ლანდშაფტი	18
სოციალური საწარმოს განმარტება.....	18
სამართლებრივი ფორმები.....	19
სოციალური საწარმოების მონაცემები და ფაქტები	20
მხარდაჭერი სისტემის მექანიზმები	20
ინფრასტრუქტურა	20
საჯარო პოლიტიკა.....	21
მაგალითები რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.....	28
ახალი სამხრეთ უელსი და სოციალური ობლიგაცია (New South Wales and the Social Impact Bond).....	28
შტატი ვიქტორია და სოციალური მოვაჭრეები (Victoria and the Social Traders)	29
პარამატას ქალაქის საბჭო და სათემო გრანტები (Parramatta City Council (PCC) and the Community Grants).....	29
მხარდაჭერის მექანიზმების პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები.....	30
ბენეფიციართა ცხოვრების დონის გაუმჯობესება	31
კანადა	33
სოციალური მეწარმეობის ლანდშაფტი.....	33
სოციალური საწარმოს განმარტება.....	33
სამართლებრივი ფორმები.....	33
სოციალური საწარმოების მონაცემები და ფაქტები	36
მხარდაჭერის სისტემა	37
ონტარიო.....	37
ინფრასტრუქტურა	37
საჯარო პოლიტიკა	38
Social Enterprise Demonstration Fund	39
Ontario Social Impact Voucher Program	39
Social Impact Bonds Pilot Program	40

Ontario Trillium Foundation	41
Ontario Catapult Microloan Fund for Social Enterprises	42
Social Enterprise Ontario	42
Social Venture Exchange	43
Toronto Enterprise Fund	44
მანიტობა	45
Jubilee Fund	45
Community Enterprise Development (CED) Tax Credit Program	45
Neighbourhood Alive! Tax Credit	46
კვებეკი	47
Wage Subsidy Program	47
კოლექტიური მეწარმეობის დაფინანსება	47
Chantier de l'économie sociale Trust	48
ალბერტა	49
Social Enterprise Fund	49
ბრიტანეთის კოლუმბია	50
Social Impact Purchasing Guidelines	50
ატლანტიკური კანადა	51
Social Enterprise Loan	51
მხარდაჭერის მექანიზმების პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები	51
იტალია	54
სოციალური საწარმოების ლანდშაფტი	54
სოციალური საწარმოების განმარტება	54
სამართლებრივი ფორმები	55
სოციალური საწარმოს მონაცემები და ფაქტები	56
მხარდაჭერის სისტემის სტრუქტურა	57
ინფრასტრუქტურა	57
საჯარო პოლიტიკა	58
მაგალითები, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე	60
დაფინანსების სისტემის დადებითი და უარყოფითი ეფექტები	61
ლიტვა	66
სოციალური საწარმოების ლანდშაფტი	66

სოციალური საწარმოების განმარტება.....	66
სამართლებრივი ფორმები.....	69
სოციალური საწარმოს მონაცემები და ფაქტები.....	69
მხარდამჭერი სისტემის სტრუქტურა.....	70
ინფრასტრუქტურა.....	70
საჯარო პოლიტიკა.....	70
დაფინანსების სისტემის დადებითი და უარყოფითი ეფექტები.....	80
პოლონეთი.....	84
სოციალური საწარმოების ლანდშაფტი.....	84
სოციალური საწარმოების განმარტება.....	84
სამართლებრივი ფორმები.....	84
სოციალური საწარმოს მონაცემები და ფაქტები.....	86
მხარდაჭერის სისტემის სტრუქტურა.....	87
ინფრასტრუქტურა და სამართლებრივი ჩარჩო.....	87
საჯარო პოლიტიკა.....	89
მაგალითები რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე.....	95
მალპოლსკას რეგიონი და სოციალური ეკონომიკის ფონდი.....	95
დაფინანსების სისტემის დადებითი და უარყოფითი ეფექტები.....	96
სლოვენია.....	98
სოციალური საწარმოების ლანდშაფტი.....	98
სოციალური საწარმოების განმარტება.....	98
სამართლებრივი ფორმები.....	99
სოციალური საწარმოების მონაცემები და ფაქტები.....	100
მხარდამჭერი სისტემის სტრუქტურა.....	100
ინფრასტრუქტურა.....	100
სლოვენიაში სოციალური საწარმოების მხარდაჭერაში მთავარ როლს თამაშობენ შემდეგი ინსტიტუციები:.....	100
საჯარო პოლიტიკა.....	101
მაგალითები რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე.....	104
დაფინანსების სისტემის დადებითი და უარყოფითი ეფექტები.....	106
დიდი ბრიტანეთი.....	107

სოციალური მეწარმეობის ლანდშაფტი.....	107
სოციალური საწარმოების განმარტება.....	107
სამართლებრივი ფორმები.....	107
სოციალური საწარმოების მონაცემები და ფაქტები	110
მხარდამჭერი სისტემის სტრუქტურა.....	111
ინფრასტრუქტურა:.....	111
საჯარო პოლიტიკა.....	113
Big Society Capital.....	113
The Social Value Act.....	116
Social Investment Tax Relief	117
Investment and Contract Readiness Fund	118
The Social Incubator Fund და The Big Lottery Fund	120
Centre for Social Impact Bonds.....	121
Social Outcome Fund და Commissioning Better Outcome Fund.....	122
Access.....	122
დაფინანსების სისტემის დადებითი და უარყოფითი ეფექტები	123
დასკვნა და რეკომენდაციები	126
დასკვნა.....	126
რეკომენდაციები.....	127
ბიბლიოგრაფია	131
ავსტრალია.....	131
კანადა	132
იტალია:.....	136
ლიტვა.....	137
პოლონეთი.....	138
სლოვენია	140
დიდი ბრიტანეთი	141

ეს ნაშრომი მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი და არ ასახავს ევროკავშირის მოსაზრებას.

შესავალი

1. მოხსენების მიზანი და ამოცანები

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სოციალური საწარმოების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და საჭირო გახდა მათი საქმიანობის სამართლებრივად რეგულირება. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების დახმარების და ჩართულობის შედეგად, შემუშავდა სოციალური საწარმოების მარეგულირებელი საკანონმდებლო წინადადება. ამჟამად, ეს წინადადება განხილვის მოლოდინშია (საქართველოს პარლამენტში). მოსალოდნელია, რომ მას უახლოეს მომავალში მიიღებენ.

ამ მოხსენების მიზანია - სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი მექანიზმების წარმოდგენა შვიდი ქვეყნის მაგალითზე (ავსტრალია, კანადა, იტალია, ლიტვა, პოლონეთი, სლოვენია და დიდი ბრიტანეთი), რაც შესაძლოა დაეხმაროს საქართველოს მთავრობას შექმნას მორგებული მხარდაჭერის მეთოდები, ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით. აღნიშნული შვიდი ქვეყანა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით შეირჩა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც გეოგრაფიულად, ისტორიულად და კულტურულად საქართველოს მსგავსნი არიან და შეუძლიათ უზრუნველყონ ადვილად მისაღები და კონვერტირებადი მოდელები, ხოლო სხვა სისტემების შიგნით შესაძლებელია ისეთი ინსტრუმენტების უზრუნველყოფა, რომლებიც შეიძლება შეირჩეს ინდივიდუალურად და განხორციელდეს ნაწილობრივ. კვლევის ფარგლებში ძირითადი ყურადღება ეთმობა საჯარო პოლიტიკის საფუძვლებს და სახელმწიფო დაფინანსებას სხვადასხვა სახის სოციალური საწარმოებისთვის (მოგებაზე ორიენტირებული სოციალური საწარმოები, შრომის ინტეგრაციაზე ორიენტირებული სოციალური საწარმოები, სოციალური სერვისების მიწოდებაზე ორიენტირებული სოციალური საწარმოები და ა.შ), ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს:

- როგორი ხარისხით და რა მექანიზმებით უწყობს ხელს ხელისუფლება სოციალურ მეწარმეობას თითოეულ სამიზნე ქვეყანაში
- რამდენად განსხვავდება არსებული მექანიზმები სხვადასხვა სახის სოციალური საწარმოებისთვის
- რამდენად აკმაყოფილებს ეს მაგალითები ადგილობრივი სოციალური საწარმოების მოთხოვნებს
- რამდენად გააუმჯობესა ამ მექანიზმებმა სოციალური საწარმოების განვითარება
- რა (მოსალოდნელი/მოულოდნელი) დადებითი და უარყოფითი შედეგები ჰქონდა ამ მექანიზმებს მთლიანობაში

2. მეთოდოლოგია

მოცემული მოხსენება ეფუძნება დამოუკიდებელი მკვლევარის სამაგიდო კვლევას. კვლევის ანგარიში მომზადდა ეროვნული პოლიტიკური დოკუმენტების, სამოქალაქო საზოგადოების ანგარიშების, ეროვნული სტატისტიკის, სამეცნიერო დოკუმენტებისა და ინფორმაციის საფუძველზე, რომლებიც ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში, ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლების და სამთავრობო უწყებების ოფიციალურ ვებ გვერდებზე. თავად ეს მოხსენება არის ინფორმაციის ნაკრები, მოპოვებული სხვადასხვა წყაროებიდან, ძირითადად პირდაპირ გადმოწერილი ზემოთ ხსენებული დოკუმენტებიდან. წყაროები მითითებულია სქოლიოებში და ვრცელ ბიბლიოგრაფიაში.

ხელმისაწვდომი მონაცემების ხარისხი და რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის განვითარებაზე დამოკიდებული. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში არსებობს კარგად აპრობირებული მხარდაჭერის სისტემა, შესაბამისად, ინფორმაცია ყოველწლიურად რეგისტრირებულ მონაცემებზე, განხორციელებულ ღონისძიებებზე და სოციალური საწარმოების სტატისტიკაზე, ადვილად ხელმისაწვდომია, იმ დროს როდესაც სხვა ქვეყნებში ინტერნეტით მხოლოდ ლიმიტირებულად განახლებული ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, შეგროვებული მონაცემები სასარგებლო იქნება შემდგომი ანალიზისთვის და შეიძლება დაეხმაროს საქართველოს მთავრობას განავითაროს საკუთარი მხარდაჭერის სისტემა სოციალური საწარმოებისთვის.

მოხსენების ბოლოს მოცემულია დასკვნა და რეკომენდაციები, რომლებიც ეფუძნება კვლევის ძირითად მიგნებებს.

რეზიუმე

ავსტრალია

ავსტრალიაში, არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სოციალური საწარმოებს, მაგრამ მათ აქვთ კარგად ჩამოყალიბებული მხარდაჭერის სისტემა, სხვადასხვა ინსტრუმენტი და დაფინანსების გზა სოციალური საწარმოებისთვის. სოციალურ საწარმოებს არ გააჩნიათ რეგულირებადი და ერთიანი სამართლებრივი ფორმა. ისინი გვხვდება როგორც კომერციულ, ასევე არაკომერციულ სექტორში სხვადასხვა ფორმით, დამოუკიდებელი ორგანიზაციების, კოოპერატივების, სათემო საწარმოების, სოციალური საწარმოებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების სავაჭრო დეპარტამენტების სახით.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ავსტრალიის მთავრობა აქტიურადაა ჩართული სოციალური ინოვაციების სექტორში, შეიქმნა სხვადასხვა ინსტიტუცია სოციალური საწარმოების მხარდაჭერისთვის. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ავსტრალიის სოციალური ინოვაციების ცენტრის დაარსებაა Australian Centre for Social Innovation (TACSI), რომელიც აკავშირებს ხელისუფლებას საზოგადოების სხვა ფენებთან, სოციალური გავლენის გადრმავეების და სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერების მიზნით. მრეწველობის, ინოვაციის და მეცნიერების დეპარტამენტი უზრუნველყოფს სოციალური საწარმოების დაარსების და ინკუბაციის ღონისძიებებს, ასევე უზრუნველყოფს მხარდაჭერასა და კონსოლიდაციას.

გარდა სპეციალური საგრანტო პროგრამებისა (რომლებიც ასევე ხელმისაწვდომია სოციალური საწარმოებისთვის) ავსტრალიის მთავრობამ ჩამოაყალიბა სხვადასხვა ფინანსური სისტემა სოციალური საწარმოებისთვის. სოციალური საწარმოს განვითარების და ინვესტიციების ფონდები The Social Enterprise Development and Investment Funds (SEDIF), ასეთი სახის პირველი საინვესტიციო ფონდები ავსტრალიაში, სოციალურ საწარმოებს სპეციალურ დაფინანსებასა და მხარდაჭერას სთავაზობენ, რათა დაეხმარონ მათი ბიზნესის განვითარებაში და თემებში თავიანთი მუშაობის გავლენის გაზრდაში. სათემო განვითარების ფინანსური ინსტიტუტები Community Development Financial Institutions (CDFI) სტარტაპ ფაზაში გასცემს ავსტრალიის მთავრობის მიერ მობილიზებულ თანხებს სოციალურ საწარმოებზე, რომლებიც მხარს უჭერენ მოწყვლად ჯგუფებს.

ავსტრალიაში არსებობს კარგი მხარდაჭერის სისტემა, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე. მაგალითად, სამხრეთ უელსის შტატის მთავრობამ UnitingCare Burnside და Social Ventures Australia-თან ერთად შექმნა ავსტრალიაში პირველი სოციალური სარგებელის კავშირი Social Benefit Bond, რომლის მიზანია მინდობით აღზრდასა და საოჯახო ტიპის დაწესებულებებში მყოფ ახალგაზრდებზე უკვე არსებული პროექტების კიდევ უფრო განვითარება. კიდევ ერთი კარგი მაგალითია Social Traders (სოციალური მოვაჭრეები)- ავსტრალიის წამყვანი ორგანიზაცია, სოციალური საწარმოების განვითარების საკითხში. ადგილობრივ დონეზე პარამატას ქალაქის საბჭომ დაიწყო სოციალური სუბსიდიების პროგრამა, რომელიც აჯილდოვებს როგორც დამწყებ, ასევე უკვე წარმატებულ სოციალურ საწარმოებს.

ძირითადი დაბრკოლება ბაზარზე არის: შუამავალი მხარდამჭერი ორგანიზაციების არათანაბარი გეოგრაფიული გადანაწილება; peer-to-peer სწავლების არასაკმარისი

შესაძლებლობა; ავსტრალიის მთავრობის მიერ სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის და ცნობიერების ამაღლების შესახებ არასაკმარისი და არათანმიმდევრული ღონისძიებები; შეზღუდული საზოგადოებრივი ცნობიერება სოციალური საწარმეობის და მათი მუშაობის შესახებ; სოციალური საწარმეობისთვის, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე არსებული არასაკმარისი დაფინანსება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ცვალებადობა გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით.

კანადა

კანადაში არ არსებობს სოციალური საწარმეობის სამართლებრივი განმარტება ფედერალურ დონეზე. სოციალურ საწარმეობს შეუძლიათ იმუშაონ სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით. თუმცა, ეს ფორმები ხშირად არ ჯდება სოციალური საწარმეობის ძირითად სტრუქტურაში. მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სამართლებრივი ფორმები, რომლებიც არ ზღუდავენ შემოსავლის მიღების შესაძლებლობას, ართულებენ სოციალური მიზნების მიღწევას. იმ დროს, როდესაც იურიდიული ფორმების, რომლებიც განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც სოციალური მიზნები აქვთ, შეუძლიათ მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით მიიღონ შემოსავალი სამეწარმეო საქმიანობიდან, ასევე შეზღუდული აქვთ შესაძლებლობა მოიზიდონ გარე დაფინანსება.

კანადას აქვს ძალიან მრავალფეროვანი და მდიდარი მხარდაჭერის სისტემა პროვინციულ დონეზე. ონტარიო გამოირჩევა კარგად დამკვიდრებული ეკოსისტემით სოციალური საწარმეობისთვის. მთავრობამ განსაზღვრა სოციალური მეწარმეობის სტრატეგიის პრიორიტეტები 2016-2021 წლებისთვის. პროვინციის მთავრობა სოციალურ საწარმეობს სთავაზობს მხარდაჭერას შემდეგი ინსტიტუციების მეშვეობით: სოციალური საწარმეობის სადემონსტრაციო ფონდი Social Enterprise Demonstration Fund მხარს უჭერს სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკურ ზრდას, ასევე შესაძლებლობას აძლევს სოციალურ საწარმეობს მოიპოვონ დაფინანსება. ონტარიოს სოციალური ზეგავლენის ვაუჩერული პროგრამა Ontario Social Impact Voucher Program მხარს უჭერს სოციალური საწარმეობის ზრდას და მათ ფინანსურ სტაბილურობას, რესურსების და მომსახურეობის ხელმისაწვდომობის გზით. სოციალური ზეგავლენის ობლიგაციების განვითარების საპილოტე პროექტი, იკვლევს ინოვაციურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, მინიმუმამდე დაჰყავს ფინანსური რისკები და უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგებს ადამიანებისთვის. ონტარიოს ტრილიუმის ფონდი Ontario Trillium Foundation ყოველწლიურად გასცემს გრანტებს დაახლოებით 1000 პროექტს; ონტარიოს მიკრო სესხების კატაპულტი ფონდი სოციალური საწარმეობისთვის Ontario Catapult Micro Loan Fund for Social Enterprises შექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს პერსპექტიულ სოციალურ მეწარმეებს და ნოვატორებს განავითარონ თავიანთი ბიზნესი და ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ კაპიტალზე. ონტარიოს სოციალური საწარმო Social Enterprise Ontario სთავაზობს გრანტებს და სესხებს სოციალურ საწარმეობს. სოციალური რისკის გაცვლის პროგრამა Social Venture Exchange აკავშირებს გავლენიან კომპანიებს, ფონდებს და ინვესტორებს იმისათვის, რომ ადგილობრივი სარისკო წამოწყებებისთვის, რომლებსაც აქვთ მკაფიოდ გამოხატული სოციალური და/ან

გარემოსდაცვითი მისია, მოხდეს ინვესტიციის მოზიდვის შესაძლებლობა. ტორონტოს მეწარმეობის ფონდი Toronto Enterprise Fund მხარს უჭერს იმ სოციალურ საწარმოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოწყვლადი ფენების გარდამავალ ან მუდმივ დასაქმებას და დასაქმებაზე ორიენტირებულ სწავლებას.

სხვა პროვინციებიც სთავაზობენ ფინანსური მხარდაჭერის ფართო სპექტრს სოციალურ საწარმოებს. მანიტობაში საიუბილეო ფონდი Jubilee Fund გამოყოფს სარისკო კაპიტალს საგარანტიო კრედიტისა და მოკლევადიანი დაფინანსების (bridge financing) სახით, სათემო ეკონომიკური განვითარების პროექტებისთვის, რომლებსაც როგორც წესი არ შეუძლიათ მიიღონ კრედიტი საკრედიტო კავშირებისგან ან ბანკებისგან; სათემო საწარმოს განვითარების the Community Enterprise Development (CED) ორგანიზაცია ხელს უწყობს მანიტობას რეზიდენტ-ინვესტორებს და შესაბამის კორპორაციებს, რომ განახორციელონ ინვესტიციები კონკრეტულ სათემო საწარმოებში, თემების განვითარების საინვესტიციო ფონდში ან საკუთარ თემებში. იმ დროს, როდესაც ორგანიზაცია Neighbourhoods Alive-ს საგადასახადო კრედიტი შექმნილია იმისთვის, რომ მოახდინოს სათემო ეკონომიკური განვითარების სტიმულირება ახალი სოციალური საწარმოების დაარსების და მანიტობას მაცხოვრებლების დასაქმების გზით, რომლებიც დასაქმების მხრივ უამრავ ბარიერს აწყდებიან. კვებეკის პროვინციის მთავრობა სახელფასო სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოფს ფინანსურ დახმარებას, რაც საშუალებას აძლევს დამსაქმებელს საკუთარ ბიზნესში ინტეგრირება მოახდინოს ადამიანებისა, რომლებსაც აქვთ სირთულეები სამსახურის მოძიების საკითხში; ორგანიზაცია კვებეკის ინვესტირება Investissement Québec სთავაზობს სხვადასხვა ფინანსურ გადაწყვეტილებას კოოპერატივებს და არაკომერციულ ორგანიზაციებს; და სოციალური დახმარების ფონდი Chantier de l'économie sociale Trust ხელს უწყობს კოლექტიური საწარმოების გაფართოებას და განვითარებას, დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის საშუალებით. ალბერტაში სოციალური საწარმოს ფონდი რათა დააკმაყოფილოს სოციალური საწარმოების ფინანსური მოთხოვნილებები. ბრიტანულ კოლუმბიაში სოციალური განვითარების და სოციალური ინოვაციების სამინისტრომ, შეიმუშავა სოციალური გავლენის შესყიდვის სახელმძღვანელო Social Impact Purchasing Guideline (SIP), რათა ხელი შეეწყოს სოციალური ზეგავლენის მქონე ორგანიზაციების და სოციალური საწარმოებისგან პროდუქციის/სერვისის შეძენას. და ბოლოს ატლანტიკურ კანადაში, ატლანტიკური კორპორაციების ასოციაცია თემებში მეწარმეობის განვითარების საკითხში, კრედიტებს სოციალურ საწარმოებს სთავაზობს.

ონტარიოს სოციალური საწარმოს რესპოდენტთა გამოკითხვის თანახმად, გამოვლინდა გარკვეული პრობლემები, როგორებიცაა ხელმისაწვდომობა კაპიტალზე, ბრენდის ცნობადობა და აღიარება, პრობლემები მუდმივ დაფინანსებასთან, რაც აუცილებელია მუშაობის შენარჩუნებისთვის და დამფინანსებლების წნეხს შორის, რათა შეინარჩუნონ მდგრადობა. ხარჯების გაზრდა იმ ადამიანებთან მუშაობის დროს, რომლებიც რთულად დასაქმებელნი არიან და მუდმივად ცვალებადია საგარანტო მოთხოვნები.

იტალია

იტალიაში სოციალურ კოოპერატივებს ხანგრძლივი ტრადიცია აქვთ. კანონი განასხვავებს მათ ორ სახეობას: სოციალური კოოპერატივები ორიენტირებული სოციალურ, სამედიცინო და საგანმანათლებლო სერვისებზე (კანონით განსაზღვრული როგორც A ტიპის კოოპერატივი) და სოციალური კოოპერატივები, რომლებიც ახდენენ მოწყვლადი ჯგუფების შრომის ბაზარზე ინტეგრაციას (B ტიპის სოციალური კოოპერატივი). იმისათვის, რომ მოხდეს პლურალიზმის განმტკიცება, საქონლის წარმოების და მომსახურეობის საქმეში, სოციალურ სექტორში და საქმიანობის დივერსიფიკაციისთვის, 2005 წელს მიიღეს კანონი სოციალური საწარმოების შესახებ, დაინერგა სამართლებრივი კატეგორია „სოციალური მეწარმეობა“. თუმცა, ამ

კონცეფციამ განიცადა მარცხი, გარკვეული ფაქტორების გამო, როგორცაა რეგისტრაციისთვის საჭირო ადმინისტრაციული პროცესის ხანგრძლივობა, კანონით დაკისრებული დამატებითი ხარჯები და ვალდებულება.

სოციალური კოოპერატივები სარგებლობენ ხელსაყრელი საგადასახადო პირობებით. გარდა ამისა, სოციალური კოოპერატივები, რომლებიც განისაზღვრებიან როგორც B ტიპის (WISE), განთავისუფლებულნი არიან ეროვნული დაზღვევის გადასახადისგან, იმ მუშაკებისთვის, რომლებიც დასაქმების ბაზარზე არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან. არსებობს კერძო შემოწირულობების საგადასახადო შეღავათები სოციალური კოოპერატივებისათვის და არაკომერციული ორგანიზაციებისთვის. სოციალური კოოპერატივები ასევე მიიღებენ შეღავათს დამატებითი ღირებულების გადასახადზე (დღგ) შემოთავაზებულ სამედიცინო, სოციალურ და საგანმანათლებლო მომსახურეობებზე. კანონი აძლევს სოციალურ

კოოპერატივებს პრივილეგირებული პროვაიდერის სტატუსს ადგილობრივი შესყიდვებისთვის.

ადგილობრივ დონეზე, ბევრმა რეგიონულმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიმუშავა მხარდაჭერის სქემა, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტულად სოციალურ საწარმოებზე. ადგილობრივი ხელისუფლებები ხშირად აწყობენ კონკურსებს ორიენტირებულს სოციალურ კოოპერატივებზე, მათ სოციალურ დამოკიდებულებებზე, საჯარო ადმინისტრირებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კავშირის ეფექტურობაზე. 2011 წელს ტორენტოს პროვინცია გამოვიდა ინიციატივით „Intervento 18“, რომლის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარე იყო თანამშრომლობა სოციალურ საწარმოებსა და სახელმწიფო სექტორს შორის.

დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის თანახმად, მჭიდრო თანამშრომლობა სამთავრობო უწყებებთან წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას, სოციალური საწარმოების ინიციატივების მხარდაჭერის შემუშავებასა და განხორციელებაში. მეორე მხრივ, იტალიის მთავრობის მიერ განხორციელებულმა ხარჯების მიმოხილვამ ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ, შეამცირა საჯარო რესურსებზე ხელმისაწვდომობა ისეთ სექტორებში, რომლებიც ფუნდამენტური მნიშვნელობისაა სოციალური საწარმოებისთვის. სოციალური საწარმოები ასევე ზარალდებიან გადაუხდელობის გამო იმ მომსახურეობისთვის, რასაც სთავაზობენ საჯარო ადმინისტრაციებს. კიდევ ერთი დაბრკოლება, რასაც სოციალური საწარმოები განვითარების გზაზე აწყდებიან არის საკანონმდებლო ბაზით გამოწვეული ბუნდოვანება, რომელიც არეგულირებს არაკომერციული ორგანიზაციების (გარდა სოციალური

კოოპერატივებისა, რომლებიც საქმიანობენ კარგად შემუშავებული საკანონმდებლო ბაზით) კომპანიების და სამართლებრივი სტატუსის არმქონე სოციალური საწარმოების საქმიანობას.

ლიტვა

ლიტვაში არსებობს სოციალური საწარმოების სამართლებრივი აღიარება, კანონის სოციალური მეწარმეობის შესახებ. კანონი განსხვავებს ორი სახის სოციალურ საწარმოს. გარდა ამისა, არსებობს მრავალი კომპანია და ორგანიზაცია, რომლებიც ფორმალურად არ არის აღიარებული, როგორც სოციალური საწარმო, მაგრამ ავლენენ ისეთ მახასიათებლებს, რომლებიც სოციალური საწარმოს (დე ფაქტო სოციალური საწარმოები) განსაზღვრებას შეესაბამება.

სოციალური საწარმოების კანონის თანახმად, შესაბამისი სტატუსის კომპანიებს აქვთ უფლება მიიღონ სახელმწიფო მხარდაჭერა (დაფინანსების სქემები) მათი სტატუსიდან გამომდინარე. ყველა სოციალურმა საწარმომ შეიძლება მიიღოს სხვადასხვა სახის საჯარო დახმარება ისევე, როგორც დამატებითი სახის სახელმწიფო დახმარება. ეს უკანასკნელი ფოკუსირდება იმ სოციალურ საწარმოებზე, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვისაა განკუთვნილი. ხელფასების ნაწილობრივი ანაზღაურება და სახელმწიფო დაზღვევის თანხის შეტანა დამოკიდებულია თანამშრომლების შეზღუდული შესაძლებლობის და განსაკუთრებული საჭიროებების დონეზე. ლიტვის მთავრობა გამოყოფს პრემიას (ერთჯერადი თანხა) ყოველი ახალი სამუშაო ადგილის. სოციალური საწარმოები სარგებლობენ ნულოვანი საგადასახადო განაკვეთით, თუ ისინი აკმაყოფილებენ კონკრეტულ მოთხოვნებს. შესყიდვები სოციალური საწარმოებისგან შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული მეთოდებით. ასევე არსებობენ სპეციალიზებული ფონდები, რომლებიც სთავაზობენ სესხებს სოციალურ საწარმოებს.

სახელმწიფო დახმარება (სუბსიდიების სახით), საგადასახადო შეღავათები და წახალისება შესყიდვების პროცესში, განისაზღვრება, როგორც ყველაზე დიდი შესაძლებლობა სოციალური საწარმოებისთვის. თუმცა, სოციალურ საწარმოებში, მხარდაჭერილი თანამშრომლების რაოდენობის მუდმივი მატების გამო, იზრდება მოთხოვნა სუბსიდიებზეც. გარდა ამისა, სახელმწიფო მხარდაჭერა არ ნაწილდება ადეკვატურად, ვინაიდან სოციალურად დაუცველი ადამიანების ჯგუფების მხოლოდ ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებიც სოციალურ საწარმოებში არიან დასაქმებულნი, იღებენ პირდაპირ მხარდაჭერას.

პოლონეთი

პოლონეთში არ არსებობს სოციალური საწარმოების სამართლებრივი განმარტება, ვინაიდან კანონი სოციალური მეწარმეობის შესახებ ჯერჯერობით არ არის მიღებული. „სოციალური ეკონომიკის სუბიექტები“ მოიცავს სოციალურ კოოპერატივებს, არაკომერციულ ორგანიზაციებს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს, კორპორაციებს, ასევე ზოგიერთ სპორტულ კლუბს, რომლებიც ასრულებენ საზოგადოებისთვის სასარგებლო

საქმიანობას, პროფესიული საქმიანობის დაწესებულებები (ZAZ), სოციალური ინტეგრაციის ცენტრები (CIS), სოციალური ინტეგრაციის კლუბები (KIS) და ოკუპაციური თერაპიის სემინარები (WTZ).

მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა შედგება კონკრეტული ინსტიტუციებისგან, ისეთებისგან, როგორებიცაა სისტემური გადაწყვეტილებების საბჭო სოციალური ეკონომიკის სფეროში, სახელმწიფო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სოციალური საწარმოების ფინანსურ და არაფინანსურ მხარდაჭერაზე. სოციალური ეკონომიკის მხარდაჭერის ცენტრები, OWES-ის მხარდაჭერის ცენტრები/ქოლგა ინსტიტუციები უზრუნველყოფენ სოციალური ბიზნესების მომსახურებას. სოციალური ეკონომიკის ეროვნული ცენტრი (KCES) უზრუნველყოფს ხუთი სოციალური ეკონომიკის ცენტრის მუშაობას (CES), თითოეულის ყოველ მიკრო რეგიონში. სოციალური ეკონომიკის ფონდი პასუხისმგებელია საპილოტე პროგრამების განხორციელებაზე სოციალურ-ეკონომიკური სუბიექტების დაფინანსებისთვის, განსაკუთრებით სესხების და ფინანსური რჩევების საკითხში.

სოციალური საწარმოს თემი სარგებელს იღებს დაინტერესებული პირებისა და ცალკეულ ინდივიდებს შორის არსებული კარგად ჩამოყალიბებული თანამშრომლობის მექანიზმებისგან, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურ ეკონომიკას პოლონეთში. სოციალური ეკონომიკის მხარდაჭერის ცენტრები (OWES) ხელს უწყობენ სოციალური კოოპერატივების დაარსებას და რეკომენდაციას უწევენ იურიდიულ, ფინანსურ, მარკეტინგულ და საბუღალტრო საქმეში. სოციალური კოოპერატივები სარგებლობენ „განსაკუთრებული სტატუსით“ სხვა სოციალურ საწარმოებთან შედარებით, ვინაიდან მათ შეუძლიათ გამოიყენონ სახელმწიფო სუბსიდიები, განსაკუთრებით დასაქმების ფონდიდან თუ ის შექმნილია სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის. სახელმწიფო მხარდაჭერა ძირითადად ფოკუსირებულია საწყის ეტაპზე. დამკვიდრებული სოციალური კოოპერატივები სარგებლობენ სოციალური უსაფრთხოების დახმარებით, მათ ასევე აქვთ უფლება მიიღონ შეღავათი კორპორატიულ სამემოსავლო გადასახადზე, ასევე არაფინანსური მხარდაჭერა სხვადასხვა ფორმით. ESFund/TISE-ის საპილოტე პროგრამა სთავაზობს შეღავათიან სესხებს სოციალური ეკონომიკის სუბიექტებს. ეს არის პირველი პროექტი, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ გაამარტივოს წვდომა დაფინანსებაზე სოციალური ეკონომიკისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით.

არსებობს ადგილობრივი ინიციატივებიც სოციალური საწარმოების მხარდაჭერისთვის. მალოპოლსკის რეგიონი იყო პირველი სოციალური ფონდის ჩამოყალიბების საქმეში. დაარსდა 2009 წელს კერძო და საჯარო სუბიექტების მიერ, რომლებიც სპეციალიზებულნი იყვნენ სოციალური საწარმოების საკრედიტო გარანტიებით უზრუნველყოფაში. გარდა ამისა, 2011 წლიდან სოციალური პოლიტიკის რეგიონული ცენტრი კრაკოვში ხელს უწყობს კოოპერატივებს მიიღონ აუნაზღაურებელი თანხა და **მხარდაჭერის ხიდი**.

ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია სხვადასხვა საქმიანობის დაფინანსებაზე ადვილი წვდომა, რომლებიც პოტენციურად შესაძლებელია განხორციელებულიყო სოციალური საწარმოების მიერ, რომლებიც ხშირად მუშაობენ ან შეუძლიათ იმუშაონ ასოციაციების და ფონდების სახით, რომლებიც არ არიან დაკავებულნი ეკონომიკური საქმიანობით (ანუ არ

ყიდვან მომსახურებას ან საქონელს). აქედან გამომდინარე, სოციალური საწარმოების ბიზნეს გეგმების სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია კონკურენციაზე შესაბამის ბაზარზე.

კიდევ ერთი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სოციალური საწარმოების არსებული მხარდაჭერის სქემები ორიენტირებულია ახალი სოციალური საწარმოების დაარსებაზე, ვიდრე არსებულის მხარდაჭერაზე. გარდა ამისა ESF ფონიდან დაფინანსებული მხარდაჭერის სქემები სარგებელს აძლევენ იმ ადამიანებს ან ინსტიტუციებს, რომლებიც მუშაობენ სოციალური ეკონომიკის თეორიაზე. არსებობს შეკითხვები ევროკავშირის ფონდის თანხების ეფექტურობის შესახებაც, სოციალური საწარმოების მდგრადი განვითარების მხარდაჭერის საკითხში, ასევე ბაზარზე პოტენციური ხარვეზების წარმოქმნაზე, რისი გამოწვევაც მათ შეუძლიათ.

სლოვენია

სლოვენიაში არსებობს კანონი სოციალური მეწარმეობის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ მეწარმეობას. თუმცა, კანონი არ ითვალისწინებს სოციალური საწარმოების რაიმე სამართლებრივ ფორმას. ამის ნაცვლად, ის ამბობს, რომ ნებისმიერ არაკომერციულ იურიდიულ პირს შეუძლია მიიღოს სოციალური საწარმოს სტატუსი, თუ ის დააკმაყოფილებს კონკრეტულ კრიტერიუმებს (A ტიპის და B ტიპის სოციალური საწარმოების, WISE).

სოციალური მეწარმეობის საბჭო პასუხისმგებელია პოლიტიკის შემუშავებაზე. მან მოამზადა სოციალური მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2013-2016 წლებისთვის, ასევე ღონისძიებების პროგრამა ამ სტრატეგიის განსახორციელებლად.

სლოვენის სოციალურ საწარმოებს აქვთ შემოსავლის სამი ძირითადი წყარო: ევროკავშირის პროექტის გრანტები, სუბსიდიები მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებისთვის და ბაზრიდან მიღებული შემოსავალი სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებისთვის. კანონი სოციალური მეწარმეობის შესახებ ითვალისწინებს, რომ მინიმუმ 30 % საჯარო ტენდერებისა საქონელსა და მომსახურებაზე, რაც უკავშირდება სამუშაოს ინტეგრაციას და ტრენინგებს, უნდა იყოს დარეზერვირებული WISE-სთვის (ე.წ. „დარეზერვირებული საჯარო ტენდერები“).

2015 წელს სლოვენის მთავრობამ გამოაცხადა ახალი ღონისძიებები სოციალური საწარმოების მხარდაჭერისთვის. მან შექმნა 10 დაგეგმილი სტრატეგიული პროექტი ანუ პროექტი სოციალური მეწარმეობის, კოოპერატივების, კრეატიული ინდუსტრიების და ეკონომიკური დემოკრატიის მხარდაჭერისთვის. გარდა ამისა, 2016 წლის მარტში, ეკონომიკის განვითარების და ტექნოლოგიის სამინისტრომ გამოაქვეყნა თავისი ახალი მიკროკრედიტების სქემა სოციალური საწარმოებისთვის. ეს ღონისძიება მიზნად ისახავს კარგი პრაქტიკის გავრცელებას.

პრომურსკის რეგიონის შრომისუნარიანობის განვითარების პროგრამა 2010-2015-ის ფარგლებში, ხელისუფლება ცდილობს ხელი შეუწყოს ამ რეგიონში სოციალური მეწარმეობის განვითარებას. ეს ინსტრუმენტი რეალობად იქცა საჯარო მოწვევების მიერ, სოციალური

მეწარმეობის სფეროში პროექტების განსახორციელებლად, რაც გავლენას მოახდენს ახალ სამუშაო ადგილების გაჩენაზე ამ რეგიონში.

სლოვენიაში არსებობს ძალიან კარგი სამართლებრივი ჩარო სოციალური საწარმოებისთვის, თუმცა დაინტერესებული მხარეების განცხადებით, სტრატეგია არ ითვალისწინებს ფინანსურ მხარდაჭერაზე წვდომის გაადვილებას. პროგრამა, პირველ რიგში ორიენტირებულია B ტიპის (WISE) სოციალურ საწარმოებზე. გარდა ამისა, შეთავაზებული ფინანსები ვერ აკმაყოფილებენ სოციალური საწარმოების მოთხოვნილებას დაფინანსებაზე.

დიდი ბრიტანეთი

დიდ ბრიტანეთში არ არსებობს სოციალური საწარმოების სამართლებრივი განმარტება, მაგრამ ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის არსებობს კონსენსუსი სოციალური საწარმოების მახასიათებლების შესახებ. ქვეყანაში სოციალური საწარმოების სექტორი ძალზედ მრავალფეროვანია. კონკრეტული სამართლებრივი ფორმა შექმნილი სოციალური საწარმოებისთვის არის ე.წ. Community Interest Company (“CIC”), რომელიც ძალზედ პოპულარული გახდა სოციალურ საწარმოებს შორის.

მთავრობამ შექმნა სხვადასხვა სახის მხარდაჭერის სისტემა, რომელიც მოიცავს მრავალრიცხოვან ღონისძიებას სოციალური საწარმოების დაფინანსებისთვის, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. Big Society Capital (BSC) არის პირველი დამოუკიდებელი სოციალური ინვესტიციების ინსტიტუცია მსოფლიოში, რომელიც მოქმედებს როგორც საბაზრო ჩემპიონი სექტორში და უზრუნველყოფს შუამავლების დაფინანსებას. საჯარო მომსახურების კანონი (სოციალური ღირებულების) ითხოვს ადამიანებისგან, რომლებიც ხელმძღვანელობენ საჯარო მომსახურების სფეროს, დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ მიიღონ უფრო ფართო სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური სარგებელი. ბაზარზე სოციალური ინვესტიციების სტიმულირების მიზნით, მთავრობამ წამოიწყო მსოფლიოში პირველი სოციალური ინვესტიციების საგადასახადო შეღავათი (Social Investment Tax Relief (SITR)), რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ სტიმულირებას ინდივიდუალური ინვესტორებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იყოს სოციალური ინვესტიციების კაპიტალი.

ინვესტიციების და ხელშეკრულების მზაობის ფონდი (The Investment and Contract Readiness Fund (ICRF)) არის მსოფლიოში პირველი ფონდი, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს საქველმოქმედო ორგანიზაციებს და სოციალურ საწარმოებს, რათა სოციალური სექტორის ორგანიზაციებს შესაძლებლობების ზრდის პერსონალური მხარდაჭერის შესაძლებლობა მიეცეს. სოციალური ინკუბატორის ფონდი The Social Incubator Fund (SIF), დამწყებ სოციალურ საწარმოებს აქტიურ მხარდაჭერას სთავაზობს, რათა მათ სოციალური ინვესტიციების შესაძლებლობები მიიღონ. იმისთვის, რათა უკეთ მოემსახურონ თემებს და იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. გარდა ამისა, დიდი ლატარიის ფონდმა მნიშვნელოვანი კატალიზატორის როლი ითამაშა სოციალური ინვესტიციების ბაზრის განვითარებაში, დიდ ბრიტანეთში. The Centre for Social Impact Bonds მოქმედებს, როგორც საბაზრო ჩემპიონი სოციალური გავლენის კავშირებისთვის (SIBs). ის

უზრუნველყოფს ექსპერტიზას და მთელ რიგ ინსტრუმენტებს, მათ შორის დანახაჯების მონაცემთა ბაზას და სანიმუშო კონტრაქტს ახალი SIB-ის განვითარებისთვის. **Social Outcomes Fund** და **Commissioning Better Outcomes Fund** ხელს უწყობს სოციალური გავლენის კავშირების განვითარებას. 2015 წელს მთავრობამ შექმნა ხელმისაწვდომობა (Access), სოციალური ინვესტიციების ფონდი, რომელიც ხელს შეუწყობს შესაძლებლობების გაძლიერების სფეროს, შემდეგი ათი წლის განმავლობაში.

სოციალური საწარმოების სექტორის მომავალი დიდ ბრიტანეთში საკმაოდ პოზიტიურად გამოიყურება. სამთავრობო პოლიტიკის ბოლოდროინდელმა ღონისძიებებმა უნდა გაამარტივოს სექტორის წვდომა დაფინანსებაზე და საჯარო შესყიდვებზე/საჯარო მომსახურებაზე. ასევე ბრიტანეთის მნიშვნელოვანი მხარდამჭერი ინტიტუციები უზრუნველყოფენ მხარდაჭერის მყარ ბაზას, განვითარების ყველა ეტაპზე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ხელს უწყობს განვითარებას, არის ძალიან აქტიური და ეფექტური თანამშრომლობა და ურთიერთობა ამ სექტორში წარმოდგენილ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. კვლევების თანახმად, სოციალური საწარმოებისგან მოთხოვნა დაფინანსებაზე ჯერ კიდევ მაღალია, თუმცა არსებობს სირთულეები ამ მხარდაჭერის საჭიროებების შეფასების მხრივ, განსაკუთრებით, ყველაზე მოთხოვნადი მხარდაჭერის ფორმების (მაღალი რისკი, არასაიმედო კაპიტალი) შემთხვევაში და იმ დროს, როდესაც ასეთ მხარდაჭერას ეძებენ არაორგანიზებული და მცირე სოციალური საწარმოები.

ავსტრალია

სოციალური საწარმოების ლანდშაფტი

სოციალური საწარმოს განმარტება

ავსტრალიაში არ არსებობს სოციალური მეწარმეობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი, შესაბამისად არ არსებობს მისი სამართლებრივი განმარტება. თუმცა ინსტიტუციები, რომლებიც ფინანსურად ხელს უწყობენ სოციალურ საწარმოებს სხვადასხვაგვარად განმარტავენ მას:

„სოციალური საწარმო არის ბიზნესი, რომლის მიზანია სოციალური პრობლემების მოგვარება, თემის განვითარება, მოსახლეობისთვის ტრენინგების და სამუშაო ადგილების შეთავაზება და გარემოს გაუმჯობესება. სოციალური საწარმოები არიან ორგანიზაციები, რომლებიც:

- მოქმედებენ საჯარო ან საზოგადოებრივი მოტივით, იქნება ეს სოციალური, გარემოსდაცვითი, კულტურული თუ ეკონომიკური სფეროები
- ბრუნვის უდიდეს ნაწილს იღებს ეკონომიკური საქმიანობიდან და არა შემოწირულობის ან გრანტების საშუალებით
- მოგების უმეტეს ნაწილს (მინიმუმ 50%) ახმარს სოციალური მისიის განხორციელებას¹
(სოციალური მოვაჭრეები- Social Traders²)

„სოციალური საწარმო არის ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს კომერციული საქმიანობას სოციალურ, კულტურულ ან გარემოსდაცვით მისიასთან.“³

(სოციალური მეწარმეობის განვითარების და საინვესტიციო ფონდი-Social Enterprise Development and Investment Funds, SEDIF⁴)

„სოციალური საწარმო არის სოციალური, კულტურული ან გარემოსდაცვითი მისიის მქონე ბიზნესი, რომელიც მოქმედებს საზოგადოების ან თემის საკეთილდღეოდ.“⁵

(Social Enterprise Finance Australia, SEFA⁶)

სამივე განმარტება ხაზს უსვამს, რომ სოციალური საწარმოს მისიაა ბიზნეს აქტივობით მიაღწიოს სოციალურ, კულტურულ ან გარემოსდაცვით მიზნებს.

¹<http://www.socialtraders.com.au/about-social-enterprise/what-is-a-social-enterprise/social-enterprise-definition/>

² Social Traders is Australia's leading social enterprise development organisation which empowers social enterprises to transform communities throughout Australia.

³ Australian Government, Department of Employment, Social Innovation, Finance for Social Enterprise: The Social Enterprise Development and Investment Fund, available at https://docs.employment.gov.au/system/files/doc/other/sedifintronov2013_2.pdf, last accessed 11 September 2016.

⁴ SEDIF offers finance and support to eligible social enterprises to help them grow their business and increase the impact of their work in their communities.

⁵ Social Enterprise Finance Australia, Adding a Social Dimension to Finance, available at <http://sefa.com.au/wp-content/uploads/2015/03/SEFA2014-11.pdf>, last accessed 11 September 2016.

⁶ SEFA brings together a mix of Australian and international partner organisations with experience in the social enterprise and social finance sector.

სამართლებრივი ფორმები

სოციალურ საწარმოებს არ აქვთ რეგულირებული და უნიფიცირებული სამართლებრივი ფორმები. ისინი შეიძლება შეგხვდეს როგორც სამეწარმეო (მოგებაზე ორიენტირებული), ასევე არასამეწარმეო (არამომგებიანი) სექტორში, სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით, როგორცაა დამოუკიდებელი ბიზნესი, კოოპერატივი, სათემო საწარმო, სოციალური ბიზნესი, საქველმოქმედო ორგანიზაცია (trading arms of charities).⁷ ქვემოთ მოყვანილია სოციალური საწარმოს რამდენიმე მაგალითი:

- **ბიზნესი (businesses)** მიმართული დაასაქმოს მოწყვლადი კატეგორია, რომელიც ვერ პასუხობს მთავარი სამუშაო ძალის შესაძლებლობებს
- **საქველმოქმედო ბიზნეს ვენჩერები (Charitable Business Ventures)**, რომლებიც იმართება არამომგებიანი ორგანიზაციის მიერ, რათა გაზარდოს მოგება და მეწარმეობის გზით შეასრულოს თავისი მისია
- **სათემო განვითარების ფინანსური ინსტიტუტები (Community Development Financial Institutions)**, რომლებიც პროდუქტსა და სერვისს სთავაზობენ ინდივიდებს, ორგანიზაციებს და თემს, რომელთაც არ აქვთ ფინანსებთან ხელმისაწვდომობა
- **სათემო საწარმოები (Community Enterprises)**, ადგილობრივად დაფუძნებული საწარმოები, რომლებიც პასუხობენ ადგილობრივი მოსახლეობის და თემის საჭიროებებს
- **კოოპერატივები (Cooperatives)** წევრობაზე ორიენტირებული ბიზნესი, რომელიც მიმართულია წევრების სოციალური საჭიროების დასაკმაყოფილებლად
- **თანამშრომელთა საკუთრებაში მყოფი კომპანიები (Employee-owned Companies)**, სადაც მფლობელები თანამშრომლები არიან. ეს შეიძლება იყოს პრობლემური საწარმოები, რომელთა აქციების საკონტროლო პაკეტის გამოსყიდვა ხდება თანამშრომელთა მიერ, მათი სამუშაო ადგილების შენარჩუნების და ბიზნესის მდგრადობის უზრუნველსაყოფად
- **სამართლიანი ვაჭრობის ბიზნესი (Fair Trade Businesses)**, რომლის მიზანია განვითარებად ქვეყნებში პროდუქციის მეწარმეობლებისა და მუშებისგან სამართლიან ფასად შეიძინოს პროდუქცია და საქონელი და გაყიდოს განვითარებულ ქვეყნებში
- **შრომითი ბაზრის შუამავალი ორგანიზაციები (Intermediate Labour Market Organisations)**, რომლებიც ხანგრძლივი დროით უმუშევარ ინდივიდებს უხსნის დასაქმების პერსპექტივას
- **სოციალური ფირმები (Social Firms)** არამომგებიანი ბიზნესი, სადაც დასაქმებულთა 25-50%-ს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეადგენენ.⁸

“სოციალური მოვაჭრეების“ (Social Traders) მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად (FASES 2016) გამოვლინდა, რომ ავსტრალიის სოციალურ საწარმოთა 33% არიან სააქციო

⁷ Australian Government, Department of Employment, Social Innovation, Finance for Social Enterprise: The Social Enterprise Development and Investment Fund.

⁸ Social Enterprise: Doing Business Differently for a More Inclusive Society, A Manifesto outlining a vision and Pathway to enable the growth of the social enterprise sector in Australia, available at http://www.employeeownership.com.au/wp-content/uploads/2015/08/Social_Manifesto_13.pdf, last accessed 10 September 2016.

საზოგადოების სტატუსის მქონე ასოციაციები (incorporated associations), 32% - კომპანიები შეზღუდული პასუხისმგებლობით, 18% - შეზღუდული კერძო კომპანიები (proprietary limited (PTY LTD)).⁹ რადგანაც სოციალურ საწარმოებს აქვთ სამართლებრივი ფორმების ფართო არჩევანი, ისინი არ ქმნიან რაიმე სახის კოალიციას ან მოძრაობას.

სოციალური საწარმოების მონაცემები და ფაქტები

FASES 2016 ანგარიშში შეგვიძლია ვიპოვოთ შემდეგი ფაქტები სოციალური საწარმოების შესახებ¹⁰:

მასშტაბი: ავსტრალიაში სხვადასხვა სექტორში ოპერირებს დაახლოებით 20.000 სოციალური საწარმო.

საწარმოს მოცულობა: 73% არის მცირე, 23% -საშუალო, ხოლო 4% დიდი ზომის ორგანიზაცია.

მდგრადობის პერიოდი: 38% ოპერირებს 10 წელზე მეტი ხნის და 34% სოციალური საწარმოებისა - 2-5 წლის განმავლობაში.

მიზანი: სოციალური საწარმოების 34%-ის მიზანია სპეციფიკური ჯგუფებისთვის შექმნას დასაქმების შესაძლებლობა, 34%-სთვის მიზანს წარმოადგენს სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარების ახლებური გადაწყვეტა.

ბენეფიციარები: 35%-ს შეადგენს შშმ პირები, 33%-ს - ახალგაზრდები და 28%-ს - სოციალურად დაუცველი ქალები.

საქმიანობის სფერო: 68% არის სერვისის მიმწოდებელი, რომელთაგან 24% არის საცალო გაყიდვის, ხოლო 23% ჯანმრთელობის დაცვის სექტორში.

სოციალური საწარმოები ფართოდ არიან დაჯგუფებული მსხვილი ქალაქების ირგვლივ, განსაკუთრებით ვიქტორიას შტატში.

მხარდამჭერი სისტემის მექანიზმები

ინფრასტრუქტურა

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ავსტრალიის მთავრობა აქტიურად ჩაერთო სოციალური ინოვაციების სექტორში და სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის ჩამოაყალიბა მრავალმხრივი მხარდამჭერი ინსტიტუტი.

⁹ Social Traders, Finding Australia's Social Enterprise Sector 2016: Analysis, p. 9, available at <http://cdn.socialtraders.com.au/app/uploads/2016/07/Fases-2016.pdf>, last accessed 10 September 2016.

¹⁰ Ibid.

2009 წელს, ავსტრალიის მთავრობის მხარდაჭერით დაარსდა **ავსტრალიის სოციალური ინოვაციების ცენტრი** (Australian Center for Social Innovation- TACSI).¹¹ ის მთავრობას აკავშირებს საზოგადოების სხვადასხვა სექტორთან, რათა გააღმავოს და შეცვალოს სოციალური ზემოქმედების მასშტაბი. ცენტრს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ფედერალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან და პარალელურად პირდაპირაა დაკავშირებული კერძო ბიზნესთან და მეწარმეებთან. ცენტრი ავითარებს, იკვლევს და განავრცობს ინოვაციებს, რომლებიც ცვლიან განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანების ცხოვრებას.¹² მისი მთავარი აქტივობებია:

- **კვლევები** სოციალურ საკითხებზე, როგორცაა დაბერების საკითხი ან საზოგადოებრივი სერვისის რედიზაინი
- **შესავალი ტრენინგები**, რათა ამაღლდეს ცნობიერება იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ინოვაცია და ორგანიზაციებმა ადაპტირება მოახდინონ შემდეგი კონტექსტით:
 - შესავალი მოდული ორგანიზაციებისათვის აიმაღლონ ცნობიერება და საბაზისო უნარები ინოვაციის თანამშემუშავებაზე.
 - გამოცდილი ფასილიტატორების მიერ პროექტის სრული ციკლის პარალელურად სწავლება/ქოუჩინგი ინოვაციების თემაზე.
- **ინოვაციური პროექტების** მხარდაჭერა, სიღრმისეული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება:
 - ინოვაციების დაფინანსება: ის აკავშირებს ფინანსურ ინსტიტუტებთან და დახმარებას უწევს ინოვაციების დაფინანსების პროცესის გამარტივებაში. ის დონორებსა და ფილანტროპებს ეხმარება, რათა მოიძიონ და დააფინანსონ ინოვაციები. მაგალითისათვის, ისეთი გამოწვევის მიღება, როგორცაა შშმ პირთა დასაქმება.¹³

2011 წელს ავსტრალიის მთავრობამ შექმნა **ინდუსტრიის, ინოვაციების და მეცნიერების დეპარტამენტი**.¹⁴ ეს სამინისტრო წარმოადგენს მთავარ აქტორს სოციალური საწარმოების ეკოსისტემაში, რადგანაც უზრუნველყოფს სოციალური საწარმოების შექმნისა და განვითარების მხარდაჭერ ღონისძიებებს. ის სოციალურ საწარმოებს სთავაზობს ფინანსებზე წვდომას, ტრენინგ პროგრამებს და სხვადასხვა სახის დაფინანსებას, ასევე მხარს უჭერს საწარმოებს საწყისი ფაზის დროს. 2010 წლიდან სამინისტრო ყოველწლიურად აქვეყნებს **ავსტრალიის ინოვაციური სისტემის ანგარიშს**.¹⁵

საჯარო პოლიტიკა

2009 წელს, ავსტრალიის მთავრობამ მომდევნო ათწლეულის განმავლობაში დღის წესრიგში დააყენა *იდეების გაძლიერება: ინოვაციების დღის წესრიგი 21-ე საუკუნეში (powering ideas: an*

11 La innovación social en Chile y el rol del estado en su desarrollo, Escuela de Administración Pontificia Universidad Católica de Chile, Santiago, Chile, Enero 2012, p. 136, available at http://www.economia.gob.cl/wp-content/uploads/2012/05/170212_Informe-Final-Estudio-Innovacion-Social.pdf, last accessed 9 September 2016.

12 <http://tacsi.org.au/about/>

13 <http://tacsi.org.au/what-we-do/capability/>

14 <http://www.industry.gov.au/Pages/default.aspx>

15 <http://www.industry.gov.au/Office-of-the-Chief-Economist/Publications/Pages/Australian-Innovation-System.aspx>

innovative agenda for the 21st century)¹⁶. ეროვნული ინოვაციების სისტემა 2020-ის ფარგლებში გამოიკვეთა მისია, სადაც მთავრობამ პუნქტუბად ჩამოაყალიბა ეროვნული პრიორიტეტები და გვერდში დაუდგა ინოვაციების სისტემის განვითარებას სხვადასხვა კვლევებით და სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერით.

*ავსტრალიის მთავრობას აქვს სოციალური მეწარმეობის წამოწყებისთვის დაფინანსების მრავალფეროვანი სისტემა. პერიოდულად, ის ასევე აცხადებს საგრანტო პროგრამებს, რომელიც შესაძლებელია მოქმედი სოციალური საწარმოებისთვისაც იყოს განკუთვნილი, თუმცა ის შეიძლება შემოიფარგლებოდეს კონკრეტული შტატით, რეგიონით და ადგილობრივი თვითმმართველობით ან ემსახურებოდეს კონკრეტულ სოციალურ მიზანს. შესაბამისად, ფინანსებთან ხელმისაწვდომობა შეზღუდულია იმ სოციალური საწარმოებისთვის, რომელიც კონკრეტულ შეზღუდვებში ექცევა.*¹⁷

Impact investment capital¹⁸, რომელიც ავსტრალიაში ხელმისაწვდომია სოციალური საწარმოებისთვის ძირითადად წამოადგენს სესხებს, რომლებიც გაიცემა ფედერალური სოციალური საწარმოების განვითარების და საინვესტიციო ფონდებს (SEDIF)¹⁹ მიერ. SEDIF შესაფერის სოციალურ საწარმოებს სთავაზობს მორგებულ ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და მხარს უჭერს ბიზნეს საქმიანობისა და საზოგადოებისთვის მომტანი სოციალური ეფექტის განვითარებაში, გაფართოვებასა და შენარჩუნებაში. SEDIF ასევე ახალისებს დამწყებ სოციალური ინვესტიციების ბაზარს ავსტრალიაში.²⁰

SEDIF შეიქმნა ინდუსტრიის, ინოვაციების და მეცნიერების დეპარტამენტის ქვეშ, რომლის მიზანი იყო დამწყები სოციალური საწარმოების მხარდაჭერა და მათი დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება.²¹

\$20 მილიონიანი საერთო გრანტით ჩამოყალიბდა სამი SEDIF ფონდი, რომლებიც წარმოადგენენ პირველ საინვესტიციო ფონდებს ავსტრალიაში. ფონდებს მართავს სამი დამოუკიდებელი მენეჯერი, რომლებსაც მოეთხოვებოდათ საკუთარი კაპიტალით თანაინვესტირების განხორციელება. ამ ინიციატივის შედეგად შეიქმნა \$40 მილიონიანი საინვესტიციო ფონდი. ამ ფონდის საშუალებით გაიცემა მორგებული ფინანსები, როგორებიცაა სოციალური საწარმოების გაფართოებისკენ მიმართული სესხები. SEDIF მენეჯერები მოქმედებენ სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად (at arm's length) და თითოეული მათგანი აწესებს საკუთარ კრიტერიუმებს სოციალური საწარმოებისთვის. ნებისმიერ საინვესტიციო და სასესხო გადაწყვეტილების მიღებისას სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მენეჯერებს.²² ეს ფონდებია:

¹⁶ <http://www.industry.gov.au/innovation/InnovationPolicy/Pages/PoweringIdeas.aspx>

¹⁷ <http://www.socialtraders.com.au/about-social-enterprise/social-enterprise-finance/>

¹⁸ Impact investment capital is a funding to deliver measurable social impact with the expectation of a financial return.

¹⁹ <https://www.employment.gov.au/social-enterprise-development-and-investment-funds>

²⁰ Australian Government, Department of Employment, Social Innovation, Finance for Social Enterprise: The Social Enterprise Development and Investment Fund.

²¹ La innovación social en Chile y el rol del estado en su desarrollo, Escuela de Administración Pontificia Universidad Católica de Chile, Santiago, Chile, Enero 2012, p. 137.

²² Australian Government, Department of Employment, Social Innovation, Finance for Social Enterprise: The Social Enterprise Development and Investment Fund.

(1) **Foresters Community Finance** არის სათემო განვითარების ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ინდივიდებს, სოციალურ საწარმოებს, არამომგებიან საწარმოებს სთავაზობს ფინანსურ მხარდაჭერას და სხვადასხვა სახის სერვისს. FCF-მა Christian Super²³-თან ერთად დააარსა \$12 მილიონიანი საინვესტიციო ფონდი, რომელიც სოციალურ საწარმოებს სთავაზობს სესხებს ბიზნეს საქმიანობის განვითარებისთვის. იმისათვის, რომ ორგანიზაციამ შეძლოს ამ ფონდიდან სესხის მიღება, ის უნდა იყოს სოციალური საწარმო; ეწეოდეს ბიზნეს საქმიანობას; თავისი მისიის ფარგლებში სარგებელს უქმნიდეს საზოგადოებას ან თემს; მოითხოვოს სესხი შენობის, ბიზნესის განვითარების ან აღჭურვილობის შესაძენად; დაარწმუნოს ფონდი სესხის უკან დაბრუნების შესაძლებლობაში.²⁴

(2) **Social Enterprise Finance Australia (SEFA)**²⁵ წარმოადგენს ავსტრალიური და საერთაშორისო ორგანიზაციების უნიკალურ მიქსს, რომელთაც აქვთ სოციალური მეწარმეობის და სოციალური ფინანსების სექტორში ოპერირების გამოცდილება. SEFA-ს მიზანია სოციალური ზემოქმედების (social impact lending) და კრედიტების განვითარება და ინოვაციური გადაწყვეტილებების გამოყენებით უფრო ძლიერი და დინამიური სოციალური საწარმოების სექტორის შექმნა. SEFA-ს მისიაა ხელი შეუწყოს პოზიტიური საზოგადოების და გარემოს ჩამოყალიბებას, ამასთანავე უზრუნველყოს ფინანსების უკან მიღება. სახელმწიფოს მიერ მიღებული თავდაპირველი \$10 მილიონის პარალელურად, ფონდმა მოიძია დამატებითი \$10 მილიონი ინვესტორების (equity investors) და კრედიტორების მხრიდან. SEFA აკავშირებს სოციალურ საწარმოებსა და მეწარმეებს ინვესტორებთან და სთავაზობს მორგებულ დაფინანსებას, რომელიც მიმართულია სოციალური საწარმოების განვითარებისა და გაფართოებისკენ²⁶. ის ასევე ახდენს სოციალურად ეფექტური ინვესტიციების ბაზრის (social impact investment market) წახალისებას.

SEFA მხარს უჭერს არამომგებიან (not-for-profit) და კომერციულ საწარმოებს, რომლებიც ხელს უწყობენ პოზიტიური სოციალური და გარემოსდაცვითი ეფექტის ამაღლებას. ისინი შემოსავლისძირითად ნაწილს იღებენ პროდუქციის ან სერვისის გაყიდვით და გააჩნიათ შემოსავლის მდგრადი წყარო. ნაწილი კლიენტებისა ემსახურება შშმ პირებს, ჯანმრთელობის დაცვის სერვისებს, განახლებადი ენერჯის პროექტებს და სხვ.

SEFA-ს საკრედიტო ფონდი ფინანსურ სერვისს სთავაზობს კონკრეტულად სოციალურ საწარმოებს და სოციალური მისიის მქონე ორგანიზაციებს. სესხის მოცულობა შეიძლება იწყებოდეს \$50.000-დან და აჭარბებდეს \$1 მილიონს. ეს თანხა კლიენტებმა შეიძლება გამოიყენონ კაპიტალის, ქონების, აღჭურვილობის, მანქანა-დანადგარების შეძენისთვის, ასევე რემონტის, ბიზნესის რეფინანსირების, ფრანშიზის ან კონკრეტული პროექტის დაფინანსების მიზნით. SEFA ზომავს მის მიერ სთბა შეიძლება იწყებოდეს \$5 იერ სთბა შას. სესხი შეიძლება იყოს გარანტიით და მის გარეშეც. სესხის სამი სახეობაა:

²³ <http://www.christiansuper.com.au/>

²⁴ <http://foresters.org.au/>

²⁵ <http://sefa.com.au/>

²⁶ SEFA provides loans to not-for-profit and commercial organisations that have a social, cultural or environmental mission to deliver a public or community benefit via trading activities.

- ქონებით უზრუნველყოფილი
- ქონების უზრუნველყოფით
- ქონების უზრუნველყოფის გარეშე, როდესაც საწარმოს აქვს ფულადი ნაკადების დიდი მოძრაობა და უზრუნველყოფა შესაძლებელია სხვა აქტივებით
- დამწყები სოციალური საწარმოებისთვის შეზღუდული განარტიით ან მის გარეშე.²⁷

(3) **Social Ventures Australia (SVA)**²⁸ ინვესტიციებზე და საკონსულტაციო სერვისებზე ხელმისაწვდომობით მხარს უჭერს სოციალურ ინიციატივებს (social ventures). SVA თანამშრომლობს სხვადასხვა სახის ინვეტორთან, რომელთან ერთადაც დააარსა \$8 მილიონიანი ფონდი. მისი მიზანია ერთის მხრივ, ავტრალიაში მოწყვლადი თემების ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ამაღლება, ხოლო მეორეს მხრივ, სოციალური საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. SVA-ს აქტივობები ვრცლად არის აღწერილი ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმების ქვეთავში.

SEDIF ფონდების მენეჯერები ავსტრალიის მასშტაბით მჭიდროდ თანამშრომლობენ სოციალურ საწარმოებთან, რათა გაიგონ მათი ბიზნეს მოდელები, სოციალური მისია და ფინანსური საჭიროებები. ეს სოციალურ საწარმოებს შესაძლებლობას აძლევს გაიუმჯობესონ უნარები და მართონ ფინანსები.

სოციალური საწარმოები SEDIF-ის მიერ მიღებულ დაფინანსებას იყენებენ უძრავი ქონების და აღჭურვილობის შესაძენად, ახალი პროდუქტების ან სერვისების გასავითარებლად, არსებული სერვისების გასაფართოებლად, რაც მიმართულია თემის საკეთილდღეოდ. მაგალითად, FCF-მა დააფინანსა (სესხი გასცა) Eating Disorders Victoria²⁹, რათა გაეფართოებინა ფასიანი საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც ორგანიზაციისათვის წარმოადგენს შემოსავლის ახალ წყაროს.

FCF-მ სესხი მისცა ქ. კერნსში არსებულ სოციალურ საწარმოს Three Sista's³⁰, რომელიც სთავაზობს საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფას, ჯანმრთელობის დაცვის სერვისებს, მართვის უფლებების შეძენას, ნაკლებად პოპულარული ტურისტული კურორტების ნაწილობრივ შესყიდვას და განახლებას. ეს კომპანია კლიენტებისთვის გადაიქცა საცხოვრებელი სერვისების ხელმისაწვდომ და ინტეგრირებულ ცენტრად, რომელიც ადგილობრივ ახალგაზრდებს (indigenous youth) ტრენინგებსაც სთავაზობს.

SVA-მ ასევე მისცა სესხი North Yarra Community Health-ს³¹, რათა მას კერძო ზოგადი სამედიცინო მკურნალობის სერვისი დაენერგა. სერვისიდან მიღებული მოგება ხმარდება ორგანიზაციის სოციალური მისიას- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას, რომელსაც სამედიცინო ცენტრების მეშვეობით ახორციელებს ქოლინგვუდში, ქარლტონში და ფიტცნოიში.³²

²⁷ Social Enterprise Finance Australia, Adding a Social Dimension to Finance, p. 4, available at <http://sefa.com.au/wp-content/uploads/2015/03/SEFA2014-11.pdf>, last accessed 11 September 2016.


²⁸ <http://www.socialventures.com.au/>

²⁹<https://www.eatingdisorders.org.au/>

³⁰<http://sefa.com.au/snapshot-three-sistas/>


³¹<http://www.socialventures.com.au/news/impact-investing-in-action/>

³² Australian Government, Department of Employment, Social Innovation, Finance for Social Enterprise: The Social Enterprise Development and Investment Fund.



Foresters Fund Structure


Source: Australian Government, Department of Education, Employment and Workplace Relations, The Social Enterprise Development and Investment Funds: Progress Report, June 2013.



- Notes:**
1. Equity used to fund establishment costs, and contributed to SEFA Loan Fund
 2. Trustee and management fees, administration costs etc. to be charged to SEFA Loan Fund.

SEF Fund Structure

Source: Australian Government, Department of Education, Employment and Workplace Relations, The Social Enterprise Development and Investment Funds: Progress Report, June 2013.



SVA Fund Structure

Source: Australian Government, Department of Education, Employment and Workplace Relations, The Social Enterprise Development and Investment Funds: Progress Report, June 2013.

SEDIF-ის გარდა, ავსტრალიის მთავრობას ჰქონდა სოციალური საწარმოების მხარდაჭერის სხვა ინიციატივაც. თემის განვითარების ფინანსური ინსტიტუტების (CDFI) პროგრამა დაარსდა ფინანსური და სოციალური რისკის მქონე საწარმოებისათვის, მათთვის მეტი ფინანსური მოქნილობის და კეთილდღეობის შესაქმნელად. CDFI-ში მონაწილე ორგანიზაციები ავსტრალიის მთავრობისგან ღებულობდნენ საწყის დაფინანსებას (seed funding), რათა გაზრდილიყო მათი წვდომა შესაბამის და სამართლიან ფინანსურ პროდუქტებსა და სერვისებზე. ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდით ამ ინსტიტუტებმა ავსტრალიელი მოწყვლადი ადამიანებს მხარდაჭერის დემონსტრირება მოახდინეს. ისინი უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სესხს სთავაზობენ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთაც აქვთ უნარი და შესაძლებლობა უკან დააბრუნონ ვალი, მაგრამ ჩვეულებრივ არ აქვთ ამ სერვისის მიღების შესაძლებლობა ბანკებიდან.³³ ერთ-ერთი მსგავსი სათემო განვითარების ფინანსური

³³ <https://www.dss.gov.au/our-responsibilities/communities-and-vulnerable-people/programs-services/financial-management-program/community-development-financial-institutions-cdfi-pilot-project>

ინსტიტუტი არის Community Sector Banking³⁴, რომელიც სოციალურ საწარმოებს სთავაზობს ბიზნეს სესხებს.

მაგალითები რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე

ახალი სამხრეთ უელსი და სოციალური ობლიგაცია (New South Wales and the Social Impact Bond)

2013 წელს, ახალი სამხრეთ უელსის (NSW) მთავრობამ UnitingCare Burnside-თან ხელი მოაწერა ავსტრალიაში პირველ სოციალური ობლიგაციის კონტრაქტს (Social Benefit Bond)³⁵. SBB-ს დაფინანსება ხელს უწყობს არსებულ წარმატებულ პროგრამებს, რომლებიც ეხმარება მიძღვნილებს (რომლებსაც აყვანილი ჰყავთ შვილი), ასევე ახალგაზრდების თავშესაფრებს. თუ UnitingCare Burnside (UCB) პროგრამა გეგმის თანახმად იმუშავებს, ამით NSW-ს მთავრობა დაზოგავს \$80 მილიონის ხარჯებს. UCB-ს და Social Venture Australia-ს პარტნიორობის წყალობით, რომელმაც ახალი ინვესტორები მოიზიდა, დაიწყო ახალ Newpin პროგრამა³⁶. \$7 მილიონიანი ბიუჯეტით, SBB-ს მიზანია მოიზიდოს კერძო და კორპორაციული ფინანსური ინსტიტუტების ფართო სპექტრი³⁷. SVA-მ სოციალურ სერვისის მიმწოდებლებს, სახელმწიფოსა და ინვესტორებს გაუწია რეკომენდაციები იმ შესაძლებლობებზე, მნიშვნელობასა და პროცესებზე, რაც შეიძლება გამოიწვიოს SIB-ის განხორციელებამ და განვითარებამ³⁸. SBB-ს მსგავსი ინიციატივების პილოტირება დააანონსა ქუინსლენდის, სამხრეთ ავსტრალიის და ვიქტორიის მთავრობებმა.³⁹



Source: Social Ventures Australia: <http://www.socialventures.com.au/work/newpin-social-benefit-bond/>

³⁴ <http://www.communitysectorbanking.com.au/>

³⁵ A Social Benefit Bond, the Australian name for Social Impact Bond, is a partnership in which private investors provide capital for non-profit organizations and social enterprise to achieve desired objectives. Government agrees to repay investors dependent on the realization of specific, previously agreed upon social outcomes. Through this partnership model, SBBs provide cost savings to government and present enormous opportunity for social enterprise.

³⁶ <http://www.socialventures.com.au/work/newpin-social-benefit-bond/>

³⁷ Schwab Foundation for Social Entrepreneurship and World Economic Forum, Breaking the Binary: Policy Guide to Scaling Social Innovation, April 2013, pp. 43-45, available at <http://socialenterprise.georgetown.edu/sites/socialenterprise.georgetown.edu/files/Breaking%20the%20Binary.pdf>, last accessed 9 September 2016.

³⁸ <http://www.socialventures.com.au/investment/social-impact-bonds/>

³⁹ <http://www.socialtraders.com.au/about-social-enterprise/social-enterprise-finance/>

შტატი ვიქტორია და სოციალური მოვაჭრეები (Victoria and the Social Traders)

სოციალური მოვაჭრეები (Social Traders)⁴⁰, ავსტრალიაში სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე მომუშავე მთავარი ორგანიზაცია, დაარსდა 2008 წელს, როგორც დამოუკიდებელი არამომგებიან წევრობაზე დაფუძნებული საწარმო (not-for-profit company limited by guarantee). ეს ორგანიზაცია დაარსდა სათემო მხარდაჭერის ფონდის მიერ (Community Support Fund) ფონდ დარას (Dara Foundation) და ვიქტორიას შტატის თანადაფინანსებით. ST მდებარეობს მელბურნში და სოციალურ საწარმოებთან თანამშრომლობს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ST ხელს უწყობს სოციალური საწარმოების გაძლიერებას, რომელთა მიზანია ავსტრალიის საზოგადოების და თემის უკეთესობისკენ შეცვლა.

ღონისძიებები:

- სოციალური საწარმოების ღირებულების და ცნობადობის გაზრდა კვლევებით, ადვოკატირებით და თემში აღირებით
- ინოვაციური და სიცოცხლისუნარიანი სოციალური საწარმოებისთვის საკომუნიკაციო არხის შექმნა, ბიზნეს უნარების ამაღლებით და განვითარების პროგრამებთან დაკავშირებით
- სოციალურ საწარმოებში საჭირო კაპიტალის ინვესტირება და ინვესტორთა წრის გაფართოება
- სერტიფიცირებული სოციალური საწარმოებისთვის ახალი ბაზრების გახსნა და მათი დაკავშირება სახელმწიფო, კორპორატიულ და ინდივიდუალურ კლიენტებთან

2009 წელს ST-მ ქუინსლენდის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ურთიერთობა დაამყარა ავსტრალიის ფილანტროპიის და არამომგებიანი სწავლების ცენტრთან (Australian Centre for Philanthropy and Nonprofit Studies- ACPNS). თანამშრომლობის მიზანი იყო სოციალური საწარმოების განსაზღვრება და პირველად ავსტრალიაში, სოციალური საწარმოების სექტორის გზამკვლევის შედგენა. პირველი ანგარიში, ავსტრალიის სოციალური საწარმოების სექტორის მიგნებები (FASES), გამოქვეყნდა 2010 წელს.⁴¹ 2016 წელს ST-ს მხარდაჭერით სვინბერნის უნივერსიტეტმა (Swinburne University) გამოაქვეყნა განახლებული FASES ანგარიში.

პარამატას ქალაქის საბჭო და სათემო გრანტები (Parramatta City Council (PCC) and the Community Grants)

ბევრი სოციალური საწარმო სტარტაპ ფაზაში აწყდება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემას. ამ პრობლემის საპასუხოდ, 2016 წელს პარამატას ქალაქის საბჭომ სათემო გრანტების ფარგლებს დაამატა Community Capacity Building Social Enterprise-ის კატეგორია.

⁴⁰ <http://www.socialtraders.com.au>

⁴¹ <http://www.socialtraders.com.au/about-social-enterprise/fases-and-other-research/social-enterprise-in-australia/>

PCC-ის სოციალური საწარმოების გრანტების პროგრამა ყოველწლიურად გასცემს \$80.000 ოდენობის გრანტს. 2011 წლიდან ეს პროგრამა გაიყო ორ მთავარ მიმართულებად: ბიზნესის დაგეგმარება და სოციალური საწარმოების განვითარება პარამატაში.

„ბიზნესის დაგეგმარების“ მიმართულება სთავაზობს \$2.500-მდე საგრანტო დაფინანსებას ადრეული განვითარების სტადიაში მყოფ სოციალურ საწარმოებს, მათთვის მორგებული ბიზნეს გეგმების შესადგენად.

მეორე მიმართულება „სოციალური საწარმოების განვითარება პარამატაში“ გასცემს ორ გრანტს \$25.000-მდე. დაფინანსების მიღება შეუძლიათ იმ წარმატებულ სოციალურ საწარმოებს, რომლებიც მდებარეობენ პარამატას თვითმმართველობის ტეროტორიაზე. ეს მიმართულება არის სოციალური საწარმოების მოზიდვის სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი (Social Enterprise Attraction Strategy), რომელიც მიზნად ისახავს პარამატას სოციალური საწარმოებისთვის საუკეთესო ადგილად გადაქცევას⁴²

მხარდაჭერის მექანიზმების პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები

FASES ანგარიშში სოციალური საწარმოების ეკოსისტემის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები გაანალიზდა. ონლაინ კვლევის გარდა, მიგნებები გამყარებული იყო ინტერვიუების მეშვეობით, რომლებიც კვლევის ფერგლებში 75 სოციალურ მეწარმესთან, სოციალური საწარმოს მეჯვრებთან, სოციალური საწარმოების შუამავლებთან და საჯარო მოხელეებთან ჩატარდა.

საჯარო პოლიტიკის გარკვეული საკითხები სოციალური საწარმოებისთვის ქმნის გაფართოების და/ან პოტენციალის სრულად გამოყენების ბარიერებს. სოციალური საწარმოებისთვის ბაზრის განვითარებაში მხარდაჭერა წარმოჩენილი იყო როგორც ადგილობრივი მთავრობის განსაკუთრებული როლი. მაშინ, როცა შტატის და ფედერალური მთავრობის როლი იყო შესაბამისი საჯარო პოლიტიკისა და რეგულაციების გატარება, ორგანიზაციული განვითარების მხარდაჭერა და ინოვაციების სტიმულირება.⁴³

რესპოდენტების უმრავლესობისთვის სოციალური საწარმოების ეკოსისტემა სტარტაპ და განვითარების სტადიაში არაერთგვაროვანია. კვლევამ გამოავლინა შემდეგი ბარიერები:

- მხარდაჭერის მექანიზმების ლიმიტირებული ხელმისაწვდომობა გეოგრაფიული არეალის მიხედვით
- ჯგუფური სწავლების არასაკმარისი შესაძლებლობა (peer-to-peer learning)
- ავსტრალიის მთავრობის მიერ სოციალური საწარმოების განვითარებისადმი არასისტემური მიდგომა
- სოციალური საწარმოებისა და მათი მუშაობის შესახებ ლიმიტირებული საზოგადოებრივი ცნობიერების არსებობა⁴⁴

⁴²http://www.parracity.nsw.gov.au/work/doing_business_in_parra/start_or_grow_your_business/social_enterprise/seed_fund_ing

⁴³Social Traders, Finding Australia's Social Enterprise Sector 2016: Analysis, p. 15.

⁴⁴Ibid., p. 16.

გარდა ამისა, რესპოდენტები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას სოციალური საწარმოების განვითარების სხვადასხვა სტადიებზე დაფინანსების არსებული ფორმებით. რესპოდენტთა 39%-სთვის საერთოდ შეუძლებელი აღმოჩნდა ფინანსების მოძიება, რათა თავიანთი მიზნები განეხორციელებინათ. გარდა ამისა, სოციალური საწარმოებისთვის, რომლებიც ფუნქციონირებენ რეგიონებში და დასავლეთ ავტრალიაში, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა გაცილებით რთულია საკითხია, ვიდრე დიდ ქალაქებში არსებული სოციალური საწარმოებისთვის.⁴⁵

ბენეფიციართა ცხოვრების დონის გაუმჯობესება

SEFA ყოველწლიურად ზომავს სოციალური ზემოქმედების ეფექტს, შესაბამისად შეგვიძლია გავიგოთ, თუ როგორ შეიცვალა ბენეფიციართა ცხოვრების დონე SEFA-ს მხარდაჭერის შედეგად.

თავის ანგარიშში, SEFA გამოყოფს ეფექტის ორ მოდელს: (1) პირდაპირი-ინტეგრირებული მიწოდების მოდელი მოწყვალდი მოსახლეობისთვის სესხების, ინოვაციური დაფინანსებისა და შესაძლებლობების ზრდის (capacity building) მიცემის გზით; და (2) არაპირდაპირი-ეკოსისტემის მხარდაჭერა, სექტორისთვის ახალი ფონდების მოზიდვით და პარტნიორობის შექმნით.

როგორც პირდაპირი ეფექტი, SEFA მოიცავს შემდეგ დონისძიებებს და შედეგებს:

- დამატებითი ფინანსური რესურსების შეთავაზება მოწყვალდი მოსახლეობისთვის: ბოლო წლის განმავლობაში SEFA-მ სასესხო პორტფოლიოს მნიშვნელოვნად გაზარდა შეძლო, რაც გამოვლინდა მომხმარებელთა (ვინც სოციალური ფინანსებით ისარგებლა) რიცხვის ზრდით მთელი ავტრალიის მასშტაბით
- ინოვაციური სოციალური ფინანსების შექმნა და დამწყები ორგანიზაციების მხარდაჭერა: SEFA-მ და ქრადფანდინგ საიტმა StartSomeGood შექმნეს ახალი დაფინანსების პლატფორმა SEFA:Crowdmatch, რომელიც მხარს უჭერს დამწყებ სოციალური ინოვაციების პროექტებს ფინანსების მოძიებაში. ამ კამპანიაში SEFA-ს სესხების ჩართვამ ორგანიზაციების კაპიტალზე ხელმისაწვდომობა გაზარდა
- უნარების გაძლიერება, რომლის მიზანი ფინანსებზე წვდომის გარდა, სექტორისთვის დამატებითი ღირებულების მიცემაა: ადგილობრივ საბჭოებთან და არამომგებიან საწარმოებთან თანამშრომლობით SEFA-მ ჩაატარა უამრავი პრო-ბონო და „იაფი“ ვორქშოფი სოციალური ფინანსების და სოციალური მეწარმეობის თემაზე. ამ მუშაობის მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ SEFA-ს ეს ინსტრუმენტი, რომელიც არის მიმდინარე და მუდმივად განვითარებადი დოკუმენტი, სექტორისთვის უნარების გაძლიერების საუკეთესო პრაქტიკად გადაიქცა

როგორც არაპირდაპირი კრიტერიუმი, SEFA ასევე ზომავს თავიანთი კლიენტების სასესხო პორტფოლიოდან მიღებულ ეფექტებს.

⁴⁵Ibid., p. 17.

რადგანაც SEFA-ს აქვს პირდაპირი ეფექტი სოციალური ინვესტიციების სექტორზე, ახალი ფინანსური რესურსების შეთავაზების და კლიენტების უნარების გაძლიერების მიმართულებით, ის აგრეთვე არის ორგანიზაცია, რომელსაც პირდაპირი ეფექტი აქვს ავსტრალიის საზოგადოების განვითარებაზე.

კანადა

სოციალური მეწარმეობის ლანდშაფტი

სოციალური საწარმოს განმარტება

კანადაში ფედერალურ დონეზე არ არსებობს სოციალური საწარმოს სამართლებრივი განმარტება, თუმცა დაინტერესებული მხარეები და ორგანიზაციები შეჯერდნენ სხვადასხვა განმარტებაზე:

სოციალური საწარმოები არის სათემო ბიზნესები, რომლებიც ბაზარზე ყიდიან პროდუქტს ან სერვისს, რათა მიაღწიონ სოციალურ, კულტურულ ან გარემოსდაცვით მიზნებს; მოგების რეინვესტირებას ახდენენ სოციალური მისიის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით.

(Social Enterprises Canada)⁴⁶

სოციალური საწარმო არის ბიზნესი, რომელსაც ამოძრავებს სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნები.

(Government of Manitoba)⁴⁷

სოციალური საწარმოები არიან ორგანიზაციები, რომლებიც საბაზრო ეკონომიკისათვის აწარმოებენ პროდუქტს ან სერვისს და მოგებას სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევას ახმარენ.

(SEOntario)⁴⁸

სოციალური საწარმო არის ნებისმიერი ორგანიზაცია ან ბიზნესი, რომელიც მისდევს ბაზარზე ორიენტირებულ მეწარმეობას და ყიდის პროდუქტს და/ან სერვისს, რათა მიაღწიოს საზოგადოებრივ სარგებელს.

(Canadian Task Force on Social Finance)⁴⁹

სამართლებრივი ფორმები

კანადაში სოციალურ საწარმოებს შეუძლიათ ოპერირება მოახდინონ სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით. ხშირად ეს ფორმები სრულად არ შეესაბამება სოციალური საწარმოს ძირითად სტრუქტურას. უმთავრესი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ის სამართლებრივი ფორმები, რომლებიც არ აყენებენ ზღვარს შემოსავლის მიღების საკითხში, ართულებენ სოციალური მიზნების მიღწევას. მაშინ, როცა სამართლებრივი ფორმები,

⁴⁶ <https://socialenterprisecouncilcanada.wordpress.com/>

⁴⁷ http://www.gov.mb.ca/jec/social_enterprise/

⁴⁸ <http://seontario.org/what-is-social-enterprise/>

⁴⁹ <http://socialenterprisefund.ca/>

რომლებიც შექმნილია სოციალური მისიის მქონე ორგანიზაციებისათვის, ითვალისწინებენ შემოსავლების მიღების შეზღუდულ შესაძლებლობებს.⁵⁰

ბოლო დრომდე, კანადაში არსებობდა სოციალურ საწარმოებზე მორგებული მხოლოდ ერთი სამართლებრივი ფორმა- კოოპერატივი. კოოპერატივებს გააჩნია მიზნების ფართო სპექტრი- წმინდა კომერციულიდან საქველმოქმედო საქმიანობამდე. მაგალითისათვის, ისინი აერთიანებენ საკრედიტო გაერთიანებებს, ფერმერულ კოოპერატივებს, სასურსათო კოოპერატივებს და სხვა საცალო ვაჭრობის კოოპერატივებს. მათი უმეტესობა ემსახურება მათივე წევრების ინტერესებს, ნაწილი - თემის მიზნებს და ნაწილი -ერთდროულად როგორც წევრების, ასევე თემის ინტერესებს.⁵¹

შესაბამისად, სოციალური საწარმოები, მათი მიზნებიდან გამომდინარე, იყენებენ სხვადასხვა სამართლებრივ ფორმას.⁵² **არამომგებიანი კორპორაცია (Non-Profit Corporation)** არის სოციალური საწარმოების და საქველმოქმედო კორპორაციების (incorporated charities) ფართოდ გავრცელებული სამართლებრივი ფორმა. არამომგებიანი კორპორაციები მოქმედებენ ადგილობრივი პროვინციალური კანონმდებლობით, თუმცა მათი საგადასახადო სტატუსი რეგულირდება ფედერალური საგადასახადო კანონმდებლობით,⁵³ რაც მათ თავისუფლებას აძლევს იმოქმედონ სხვადასხვა სახის ბიზნეს მიმართულებით, რადგანაც არამომგებიანი კორპორაციის მისია არ არის ქველმოქმედება (რომლის შემთხვევაშიც მათ მოუწევდათ საქველმოქმედო ორგანიზაციად დარეგისტრირება). სოციალური საწარმოებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ფედერალური საგადასახადო კანონმდებლობა არამომგებიან ორგანიზაციებს უზღუდავს ბიზნესიდან მიღებული მოგების განკარგვის თავისუფლებას. კანონი დასაშვებად მიიჩნევს ჭარბი შემოსავლის ქონას მანამდე, სანამ ეს რესურსები არის გონივრული და არ აღემატება ორგანიზაციის რეალურ საჭიროებას. ასევე დასაშვებია ინვესტიციიდან მიღებული შემოსავლის არსებობა. კანონმდებლობა მკაცრად უკრძალავს არამომგებიან ორგანიზაციებს დააგროვონ დიდი ოდენობით მოგება, გარდა მკაცრად განსაზღვრული გამონაკლისებისა, რადგანაც ამ შემთხვევაში კანონმდებლობა მათ აღიქვამს როგორც ბიზნესზე ორიენტირებულ საწარმოებს. ეს აკრძალვები ზღუდავს არამომგებიან სოციალურ საწარმოებს დააგროვონ კაპიტალი, ორგანიზაციული განვითარების მიზნით. ასევე, კანონმდებლობა არამომგებიან სოციალურ საწარმოებს საბანკო სექტორისგან საოპერაციო სესხების მიღების დაბალ გარანტიას აძლევს.⁵⁴

ერთ-ერთი სამართლებრივი შესაძლებლობა იმისა, რომ არამომგებიანმა სოციალურმა საწარმოებმა მიიღონ მოგება არის **შვილობილი კომპანიის**, ე.წ. arms-length subsidiaries დაფუძნება, რომლის მიზანია შემოსავალი მოუტანოს დამფუძნებელ ორგანიზაციას. არამომგებიანი საწარმოები, რომლებიც აფუძნებენ მსგავს შვილობილ კომპანიებს ფრთხილად უნდა იყვნენ, რათა არ დაარღვიონ კანონი, რომელიც ეხება ჭარბი მოგების მიღებას.

50 O'Connor, Pauline, The New Regulatory Regime for Social Enterprise in Canada: Potential Impacts on Non-Profit Growth and Sustainability, 6 March 2014, p. 23, available at <http://earningcapacity.ca/files/OConnor-Social-EnterpriseRegRegime.pdf>, last accessed 20 October 2016.

51 Ibid., p. 20.

52 Ibid, p. 7.

53 Ibid, p. 9.

54 Ibid, p. 11.

არამომგენიანი ორგანიზაციის მიერ შვილობილი კომპანიის დაფუძნების შემთხვევაში, დამფუძნებელმა საწარმომ შეიძლება დაბეგვრამდე არსებული მოგების 75%-მდე მიიღოს.⁵⁵

სოციალური საწარმოებისთვის არსებობს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მიღების დამატებითი შესაძლებლობაც, თუ მათი სოციალური მიზანი ესადაგება წინასწარ განსაზღვრულ საზოგადოებრივ/სათემო განვითარების მიზნებს. მსგავსი ორგანიზაციები იწოდებიან **სათემო ეკონომიკის განვითარების საქველმოქმედო ორგანიზაციებად** (Community Economy Development Charities-CED). ბევრი სოციალური საწარმო ხვდება ამ კატეგორიაში, რომელიც მაგალითისათვის მოიცავს შშმ პირების დასაქმებაზე, ტრენინგზე და პრაქტიკაზე ორიენტირებულ ტრანზიტულ საწარმოებს და სხვ. CED საქველმოქმედო აქტივობები ემსახურება ოთხ სამიზნე ჯგუფს: უმუშევრები, ღარიბი მოსახლეობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და კრიზისულ რაიონებში მცხოვრები მოსახლეობა. კანონი ამ სოციალურ საწარმოებს ანიჭებს განსაკუთრებულ ფინანსურ სარგებელს, რათა მიიღონ მოგება და ბიზნესსაქმიანობა მთავარ მიმართულებად გაიხადონ. თუმცა ამ ტიპის სოციალური საწარმოები უმეტესწილად არ არიან მომგებიანები და დამოკიდებული არიან სახელმწიფო დაფინანსებაზე. ამ ტიპის სოციალური საწარმოების მიმდინარე ხარჯები 33%-ით უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი სოციალური საწარმოებისა.⁵⁶

თუ სოციალურ საწარმოებს სურთ მიიღონ მნიშვნელოვანი მოგება, ისინი ირჩევენ **მოგებაზე ორიენტირებულ სააქციო კორპორაციის** იურიდიულ ფორმას. ამ შემთხვევაში მოგებაზე ორიენტირებულ სააქციო სოციალურ საწარმოებს შეუძლიათ იმუშავონ ნებისმიერი მიმართულებით. მაშინ, როდესაც წმინდა მოგებაზე ორიენტირებული სააქციო კორპორაციები არ იქმნება სოციალური მიზნის მისაღწევად. მათ არ შეუძლიათ მიიღონ შემოწირულობა. ისინი ჩვეულებრივ რეჟიმში იხდიან გადასახადებს და სოციალური მიზნის შესრულებისას ვერ სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით. მათ შეუძლიათ მოგების 75%-მდე გასცენ შემოწირულობის სახით საქველმოქმედო ან კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ ორგანიზაციებზე.⁵⁷

სოციალურ საწარმოებს შეუძლიათ მიიღონ **ამხანაგობის** (partnership) სამართლებრივი ფორმა, რომელიც მათ მეტ თავისუფლებას ანიჭებს, ვიდრე მოგებაზე ორიენტირებული სააქციო კორპორაცია. ამხანაგობის წესდება/ხელშეკრულება განსაზღვრავს იმას, თუ რა სახის მიზნები ამოძრავებს, როგორ იმართება ორგანიზაცია, ვისზე და როგორ გადანაწილდება მოგება.

შესაბამისად, ამხანაგობისთვის სოციალური მისიის ასახვა ხელშეკრულებაში გაადვილებულია. თუმცა, როდესაც ერთ-ერთი პარტნიორი იცვლება, შეიძლება ასევე შეიცვალოს წესდება/ხელშეკრულება.⁵⁸

2012-2013 წლებში ბრიტანეთის კოლუმბიის (British Columbia) და ნოვა სკოთიას (Nova Scotia) მთავრობებმა სოციალური საწარმოებისთვის დაამტკიცეს მსგავსი სამართლებრივი ფორმები. ორივე მათგანი დამუშავდა ბრიტანეთის „Community Interest Company“-ის მოდელის მიხედვით. ახალი სამართლებრივი ფორმების მთავარი ინოვაციური ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ ის ახდენს სოციალური მისიის ინტეგრირებას სოციალური საწარმოს

⁵⁵ Ibid, p. 12.

⁵⁶ Ibid, pp. 17-18.

⁵⁷ Ibid, pp. 21-22.

⁵⁸ Ibid, p. 22.

სტრუქტურაში. ამასთანავე, ეს ინიციატივა სოციალურ საწარმოებს მეტ თავისუფლებას ანიჭებს ოპერირება განახორციელონ მოგებაზე ორიენტირებული საწარმოების მსგავსად, როდესაც საქმე ეხება დაფინანსებას, მართვას და ადმინისტრაციულ ვალდებულებებს.⁵⁹

ბრიტანეთის კოლუმბიის მოდელი ასევე იწოდება როგორც **Community Contribution Company (C3**, იგივე CCC). ეს არის კორპორაციის ჰიბრიდული მოდელი, რომლის მიზანია ბიზნეს და არასამეწარმეო სექტორებს შორის სიცარიელის შევსება. C3 სტატუსი შესაძლებლობას აძლევს მეწარმეებს ბიზნეს მიდგომით მიაღწიონ თავიანთ სოციალურ მისიას და პარალელურად მიიღონ მოგება.⁶⁰ ტიპური კერძო კომპანიისგან C3-ს განმასხვავებელი არის „აქტივების ჩაკეტვა“ (asset lock), რაც გულისხმობს მეწილეებზე დივიდენდის განაწილების, ასევე ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში კაპიტალის განაწილების მკაცრ რეგულირებას. C3-

ს ჭარბი მოგება მიმართული უნდა იყოს C3-ის საზოგადოებრივ ინტერესებზე (ან ჩამოყალიბდეს ახალი ერთეული, მაგალითად საქველმოქმედო ორგანიზაცია). ასევე განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს C3-ის მაღალი ანგარიშვალდებულება- მათ უნდა ჰყავდეთ სამი დირექტორი, ნაცვლად ერთისა და ყოველწლიურად უნდა გამოაქვეყნონ განხორციელებული საზოგადოებრივი კონტრიბუციის ანგარიში. ორივე ეს მოთხოვნა მიზნად

ისახავს, რომ C3-ის საზოგადოებრივი მიზნები ნათლად იქნეს წარმოჩენილი და შესრულებული.⁶¹

2016 წელს, ნოვა სქოთიაში ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომელიც სოციალურ საწარმოებს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენოს ახალი სამართლებრივი ფორმა- **'Community Interest Company' (CIC)**. CIC-ის ტიპის საწარმოებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ ბიზნეს საქმიანობაში მოგების მიღების მოტივით, დაფუძნდნენ სააქციო კაპიტალით, მაგრამ აუცილებელია ჰქონდეთ საზოგადოებრივი მიზანი. CIC-ს არ შეუძლია იმოქმედოს პოლიტიკური მიზნით. CIC-ს შეუძლია გასცეს წილი აქციონერებზე, მაგრამ ისინი შეზღუდულნი არიან დივიდენდების იმ წლიური რაოდენობით, რისი გაცემის უფლებაც აქვთ. CIC-ს ასევე არ აქვს უფლება გაასხვისოს ქონება საბაზრო ღირებულებაზე დაბალ ფასად, თუ მიმღები არ არის კვალიფიციური სუბიექტი. ასევე, CIC-ს საერთოდ არ შეუძლია გაასხვისოს ქონება, თუ მის სათემო მიზანში მსგავსი აქტივობა არ არის ნახსენები. ლიკვიდაციის შემთხვევაში CIC-ს არ აქვს ქონების გასხვისების უფლება.⁶²

სოციალური საწარმოების მონაცემები და ფაქტები

კანადის ეროვნული სოციალური საწარმოების სექტორის კვლევის ანგარიშმა (SESS), რომელიც გამოქვეყნდა 2016 წელს, გააანალიზა 1350 სოციალური საწარმო მთელი ქვეყნის მასშტაბით (გარდა კვებეკისა). ქვემოთ მოცემულია მთავარი მიგნებები:

- სოციალური საწარმოების შემოსავალმა შეადგინა დაახლოებით \$1.2 მილიარდი, რომლის 69% გამომუშავებული იყო პროდუქტის ან მომსახურების გაყიდვით.

⁵⁹ Ibid, p. 27.

⁶⁰ <http://www.fin.gov.bc.ca/prs/ccc/>

⁶¹ <http://www.fin.gov.bc.ca/prs/ccc/caq.htm>

⁶² <http://www.lexology.com/library/detail.aspx?g=c0823fd6-9fc6-4b05-90e4-d1e8c2b6cb0a>

გამოკითხულ საწარმოთა წლიურმა წმინდა მოგებამ შეადგინა \$58,5 მილიონი, რაც ერთ სოციალურ საწარმოზე საშუალოდ \$59,000-ს შეადგენდა

- სოციალური საწარმოების საოპერაციო გრანტების წყაროებს შეადგენდნენ პროვინციალური (50%), ფედერალური (30%) და მუნიციპალური მთავრობები (29%). ნულოვანი მოგების ნიშნულს მიაღწია 3/4-ზე მეტმა სოციალურმა საწარმომ, რომელთაგან 40%-ს არ მიუღია გრანტი
- სოციალური საწარმოების 76% არის არამომგებიანი და 55% არის ასევე საქველმოქმედო. 21% არის კოოპერატივი. სოციალური საწარმოების 19% მოგებას ახმარს დამფუძნებელ ორგანიზაციას (მინიმუმ \$14 მილიონი წლიურად)
- სოციალური საწარმოების თითქმის 2/3 (62%) არის 16 წელზე მეტის. სოციალურ საწარმოთა 17%-მა ოპერირება დაიწყო ბოლო 5 წლის განმავლობაში
- სოციალურ საწარმოთა 10% არის საერთაშორისო, მაშინ როდესაც უმეტესობა (61%) ოპერირებს ადგილობრივ/ქალაქის დონეზე
- 30.000 თანამშრომლიდან 76%-ის დასაქმება წარმოადგენდა სოციალური საწარმოების მისიის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს. საშუალოდ ერთი სოციალური საწარმო ასაქმებს 27 თანამშრომელს
- სოციალური საწარმოები სერვისს აწვდის მინიმუმ 5,5 მილიონ ადამიანს, ამ რაოდენობაში არ შედიან კლიენტები
- სოციალური საწარმოები ოპერირებენ სხვადასხვა სექტორში, როგორებიცაა ჯანმრთელობა, სოციალური სერვისები, ვაჭრობა, ფინანსები, კვება, ტურიზმი და სხვა⁶³

მხარდაჭერის სისტემა

SESS-ის მიხედვით კანადის სოციალური საწარმოების გრანტების მთავარ წყაროს წარმოადგენს პროვინციალური მთავრობის გრანტები (50%), მაშინ როდესაც ფედერალური (30%) და მუნიციპალური მთავრობების (29%) გრანტები ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. შესაბამისად, აქცენტი უმეტესწილად გაკეთდება პროვინციალურ მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმებზე, რომლებიც მრავალფეროვანი და მდიდარია. ქვემოთ დეტალურადაა აღწერილი სხვადასხვა პროვინციალური მთავრობის მიერ სოციალური საწარმოების ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

ონტარიო

ინფრასტრუქტურა

ეკონომიკური ზრდის და განვითარების სამინისტრო (Ministry of Economic Development and Growth)⁶⁴: ეს სამინისტრო პასუხისმგებელია სოციალური მეწარმოებისა და მისი განხორციელების საჯარო პოლიტიკაზე.

63Elson, Peter R; Hall, Peter; Wamucii, Priscilla, Canadian National Social Enterprise Sector Survey Report, 2016, pp. 13-15, available at <http://www.sess.ca/english/wp-content/uploads/2016/08/FINAL-National-Report-May-16-2016.pdf>, last accessed 21 October 2016.

64 <https://www.ontario.ca/page/ministry-economic-development-and-growth>

სოციალური საწარმოების ოფისი (Office for Social Enterprise- OSE): OSE შექმნა 2012 წელს ონტარიოს მთავრობის მიერ, რომელიც ეხმარება მათ სოციალური მეწარმეების საკითხებზე კოორდინაცია გაუწიონ სხვადასხვა ღონისძიებას, პროვინციალურ სამინისტროებთან და სააგენტოებთან. OSE ასევე ხელმძღვანელობს სხვადასხვა პროგრამის შექმნასა და განხორციელებას, რათა მხარი დაუჭიროს ონტარიოს სოციალურ მეწარმეებს, რომლებიც იწყებენ ან ზრდიან თავიანთ სარისკო კაპიტალს.⁶⁵ OSE-ის საქმიანობა მიმართულია იმისკენ, რომ მთავრობას მიაწოდოს სრული ინფორმაცია სოციალურ საწარმოებზე, დაარეგულიროს არსებული შესაძლებლობები, რათა უპასუხოს სოციალური მეწარმეების საჭიროებებს და გამოკვეთოს მთავრობის ის შესაძლო როლი, რომელიც უპასუხებს და აღმოფხვრის არსებულ გამოწვევებს.⁶⁶

სპეციალური მრჩეველი (Special Advisor): ჰელენ ბერთინი, „Ontario Trillium Foundation“-ის ყოფილი ხელმძღვანელი, რომელიც OSE-სთან მჭიდრო თანამშრომლობით მუშაობს როგორც სპეციალური მრჩეველი.

საჯარო პოლიტიკა

ონტარიოს **სოციალური საწარმოების სტრატეგია 2016-2021**⁶⁷ განსაზღვრავს პროვინციალური მთავრობის პრიორიტეტებს სამ მთავარ მიმართულებაში:

1. სოციალური საწარმოების გაძლიერება ბიზნესის ძირითადი პრინციპებით. მყარი საფუძვლის შექმნა, რათა ისინი აწმყოსა და მომავლის საზოგადოებას ემსახურონ
2. სოციალური საწარმოების ბაზართან და კაპიტალთან დაკავშირება განვითარების და ზრდისათვის. ახალი ბაზრების და კაპიტალის მოძიება პოტენციალის მაქსიმიზებისთვის
3. სოციალური საწარმოს ღირებულების და სოციალური ფინანსების დემონსტრირება. ინვესტორებისთვის, მთავრობისა და საზოგადოებისთვის მათი პოტენციალის ჩვენება

ონტარიოს მთავრობა განახორციელებს \$6 მილიონის ინვესტიციას განახლებული სტრატეგიის პირველ წელს. ონტარიოს 3 წლიან სოციალურ საწარმოების თავდაპირველ სტრატეგიაში⁶⁸ სახელმწიფომ:

- განახორციელა \$4 მილიონის ინვესტიცია Social Enterprise Demonstration Fund-ში, შექმნა 125 ახალი სამუშაო ადგილი და შეინარჩუნა 65 თანამშრომელი პირველ წელს, მოახდინა დამატებითი \$6 მილიონის ინვესტირება სოციალურ საწარმოებში
- ინიცირება გაუკეთა \$4 მილიონიან Rate Drop Rebate Program-ს⁶⁹, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს 1.100 ადამიანს სამსახურის მოძიებაში და 550 საწარმოს/ბიზნესს ფინანსური პროდუქტების დაბალი პროცენტით მიღებაში

⁶⁵ <http://seontario.org/home/about-social-enterprise-ontario/government-of-ontario-support-for-social-enterprise/>

⁶⁶ <http://seontario.org/social-enterprise-in-ontario/>

⁶⁷ <https://www.ontario.ca/page/ontarios-social-enterprise-strategy-2016-2021>

⁶⁸ <https://www.ontario.ca/page/impact-social-enterprise-strategy-ontario>

⁶⁹ <https://ratedroprebate.com/>

- ონტარიომ Ontario Social Impact Voucher Pilot-ის მეშვეობით ინვეტირება მოახდინა სოციალურ მეწარმეობაში, რომლის ფარგლებში 125 სოციალური მეწარმისთვის ტრენინგისა და მენტორობის 3.000 ვაუჩერი გაიცა
- შემდგომი კვლევისა და განვითარების მიზნით, შეარჩია ორი საუკეთესო Social Impact Bond იდეა. საჯარო იდეების კონკურსმა უზრუნველყო 79 ორგანიზაციის და რიგი სამინისტროების დაინტერესება/ჩართულობა

ფაქტები ონტარიოში არსებული სოციალური საწარმოების შესახებ:

- თითოეული სოციალური საწარმო საშუალოდ 38 ადამიანს ასაქმებს
- თითოეული სოციალური საწარმო საშუალოდ გამოიმუშავებს \$1,2 მილიონს, საიდანაც \$0,9 მილიონი შეადგენს გაყიდვებს
- ფუნქციონირებს დაახლოებით 10.000 სოციალური საწარმო
- არამომგებიანი სოციალური საწარმოების 45%-ის მისიას სიღარიბის შემცირება წარმოადგენს⁷⁰

Social Enterprise Demonstration Fund

SEDF⁷¹ სოციალური საწარმოებისთვის დაფინანსების გამოყოფით მხარს უჭერს სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკურ ზრდას. ფონდი გამოყოფს \$2 მილიონიან ტრანშეს, რომელიც მხარს დაუჭერს ფინანსურად მდგრად და განვითარებად სოციალურ საწარმოებს, რათა უპასუხონ მათ მთავარ გამოწვევებს, როგორებიცაა, მაგალითად, კაპიტალთან წვდომა. SEDF აფინანსებს სოციალური საწარმოების მხარდაჭერ ექსპერტ არამომგებიან (not-for-profit) ორგანიზაციებს. ეს ორგანიზაციები სოციალურ საწარმოებს აფინანსებენ ორი გზით:

1. სოციალური საწარმოების მხარდაჭერა მენტორობისა და რეპეტიტორობის/კოუჩინგის გზით
2. სოციალური საწარმოებისთვის დაფინანსების მიცემა გრანტის, კრედიტის და სხვა სახით

არამომგებიანმა ორგანიზაციებმა ასევე უნდა მოიძიონ დამატებითი თანხები თანადაფინანსების სახით, რათა მიიღონ სამინისტროს დაფინანსება.⁷²

Ontario Social Impact Voucher Program

OSIV⁷³ პროგრამა პროვინციის დონეზე მხარს უჭერს სოციალური საწარმოების ფინანსურ მდგრადობასა და გაძლიერებას რესურსებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შექმნით. OSIV პროგრამა გამოყოფს ორასამდე \$3.000 ღირებულების ვაუჩერს ონტარიოში რეგისტრირებული სოციალური საწარმოებისა და მეწარმეებისათვის. ვაუჩერები გაიცემა

⁷⁰ CCEdNet, Enterprising Change, Report of the 2015 Social Enterprise Survey for Ontario, available at <https://ccednet-rcdec.ca/sites/ccednet-rcdec.ca/files/2015-se-survey-ontario-report-enterprising-change.pdf>, last accessed 21 October 2016.

⁷¹ <https://www.ontario.ca/page/social-enterprise-demonstration-fund>

⁷² <https://www.ontario.ca/page/social-enterprise-demonstration-fund>

⁷³ <http://www.oce-ontario.org/programs/entrepreneurship-programs/osiv-program/how-it-works>

შუამავალი ორგანიზაციების მეშვეობით (delivery organization), რომელსაც ირჩევს Ontario Centres of Excellence (OCE).

შერჩეული შუამავალი ორგანიზაციები (DO) სოციალურ საწარმოებს და მეწარმეებს სთავაზობენ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამას, რათა აამაღლონ მათი ბიზნეს შესაძლებლობები. DO პასუხისმგებელი არიან დახმარება გაუწიონ სოციალურ საწარმოებს და მეწარმეებს, რომლებმაც მიიღეს ვაუჩერები (Social Impact Voucher), რათა სრულყოფილად შეავსონ განაცხადის ფორმები. ღონისძიებები, რომლებიც დაფინანსებულია OSIV პროგრამის ვაუჩერებით მოიცავს სხვადასხვა ფორმატს, ტრენინგს, სერვისის მიწოდებას, პროდუქტის/სერვისის განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს ვაუჩერის მიმღების გამარტივებას.

ეს ინიციატივა ფოკუსირდება საწარმოს განვითარების სტრატეგიის იდენტიფიკაციასა და განხორციელებაზე, რომელიც მოიცავს:

- მომხმარებლის მონაცემთა ბაზების შედგენას
- კაპიტალის ზრდას
- ახალი ბაზრების გამოვლენა/გაფართოებას
- ეკონომიკური და სოციალური გავლენის შეფასებას
- სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი სხვა საჭირო დამატებითი ღირებულებების გამოვლენას

Social Impact Bonds Pilot Program

ონტარიოს მთავრობამ ინიცირება გაუკეთა საპილოტე პროგრამას **Social Impact Bonds (SIB)**,⁷⁴ რათა ფინანსური რისკების შემცირების და მოსახლეობისთვის უკეთესი პროდუქტების მიწოდების მიზნით გამოავლინოს ინოვაციური გადაწყვეტილებები. 2014 წელს 83-მა კერძო პირმა და ორგანიზაციამ (არასამეწარმეო ორგანიზაციები და მუნიციპალიტეტები) შეიტანა განაცხადი SIB-ის მიღებაზე, რათა პასუხი გაეცათ ქვემოთ მოცემული ერთი ან რამდენიმე სოციალური გამოწვევისთვის:

1. უსახლკაროთა პრობლემების მოგვარება
2. ახალგაზრდები რისკის ჯგუფიდან
3. დასაქმების შესაძლებლობების ამაღლება

მთავრობამ მკაცრი შეფასების საფუძველზე, რომელშიც ჩართული იყო შესაბამისი სამინისტროები, შეარჩია 4 პოტენციური SIB იდეა, რომელიც გაგრძელდა ბიზნეს ქეისების განვითარებით. ამჟამად 2 იდეა აქტიური განვითარების პროცესშია და პოტენციური პარტიორების მხრიდან საჭიროებს დამატებით გამოცდას და შეფასებას, რათა დაზუსტდეს მათი სიცოცხლისუნარიანობა SIB პროგრამაში. დანარჩენ ორ ლიდერ იდეას შეიძლება აღარ დასჭირდეს სატესტო ეტაპი.

74 <https://www.ontario.ca/page/social-impact-bonds>

2 ლიდერი SIB იდებს, როგორც პოტენციური საპილოტე პროექტების, სიცოცხლისუნარიანობის შეფასებისთვის, მთავრობამ დაიქირავა დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაცია R.A. Malatest & Associates Ltd⁷⁵. თუ შეფასების შედეგად მთავრობა გადაწყვეტს გაარძელოს ერთი ან ორივე SIB იდეს განხორციელება, მაშინ R.A. Malatest & Associates Ltd მთავრობას გაუწევს ტექნიკურ დახმარებას შემდეგი გზით:

- შეფასების სისტემის განვითარება, რათა გაიზომოს ინტერვენციის ეფექტი, რომელიც ასევე მოიცავს იმ სარგებლის/დანაზოგის გაზომვას, რასაც ონტარიოს მთავრობა მიიღებს ამ პროექტის განხორციელებით
- შეაფასოს და გაზომოს ინტერვენციის ეფექტი სრული SIB კონტრაქტის განმავლობაში. პროცესი მოიცავს შედეგების გაზიარებას იმის შესახებ, თუ რამდენად აღწევენ სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნილებებს, ასევე ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეფასების პროცესის განხორციელებას

Ontario Trillium Foundation

OTF⁷⁶ არის ონტარიოს მთავრობის სააგენტო და კანადის ერთ-ერთი უდიდესი გრანტის გამცემი ფონდი, რომელიც ბოლო 30 წლის განმავლობაში ჯანსაღი და ძლიერი საზოგადოების გასაძლიერებლად აფინანსებს სათემო ინიციატივებს. ყოველწლიურად, 3.000 განაცხადიდან ფონდი აფინანსებს 1.000-მდე პროექტს, რომლის ბიუჯეტი შეადგენს \$136 მილიონს.

OTF გასცემს სხვადასხვა სახის გრანტებს, რომელიც პასუხობს აპლიკანტების მოთხოვნებს:

Seed grants – მხარს უჭერს პროექტებს საწყის ეტაპზე (მაგ.: ახალი კვლევების ჩატარება, ახალი მიდგომების გამოცდა, ახალი იდეების განვითარება და სხვ).

გრანტის მოცულობა: \$5.000-\$75.000

პერიოდი: 1 წელი

Grow grants - მხარს უჭერს არსებული ღონისძიებების განვითარებას (მაგ.: კარგად აპრობირებული მოდელის განმეორება, ადაპტირება ან განვითარება და სხვ).

გრანტის მოცულობა: \$50.000-\$250.000

პერიოდი: 2-3 წელი

Capital grants - ხელმისაწვდომობის გაზრდა, საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება და ენერგოეფექტურობის სტიმულირება (მაგ.: აღჭურვილობის შექმნა/მონტაჟი, სარემონტო სამუშაოების დაფინანსება, ტექნოლოგიური რესურსების უკეთ გამოყენება და სხვ).

გრანტის მოცულობა: \$5.000-\$150.000

პერიოდი: 1 წელი

Collective Impact Grants- მხარს უჭერს ინიციატივებს, რომლის მიზანია საზოგადოების კომპლექსური პრობლემების მოგვარება და ცვლილება.

გრანტის მოცულობა: \$500.000-მდე

პერიოდი: მაქს. 5 წელი

75 <http://www.malatest.com>

76 <http://www.otf.ca>

Ontario Catapult Microloan Fund for Social Enterprises

OCMFSE⁷⁷ არის შემდეგი ორგანიზაციების გაერთიანება:
სოციალური ინოვაციების ცენტრი- Centre for Social Innovation (CSI),
ონტარიოს პროვინცია- Province of Ontario,
Alterna Savings,
Microsoft Canada,
TD Bank Group, KPMG,
Social Capital Partners.

ფონდი შექმნილია იმისთვის, რათა დაეხმაროს სოციალურ მეწარმეებსა და ინოვატორებს, კაპიტალზე ხელმისაწვდომობის ზრდით. ფონდი შემოსავალზე ორიენტირებულ საწარმოებს სთავაზობს \$5,000-\$25,000 (5%-8%) სესხებს ხუთ წლამდე ვადით. ამასთანავე, ფონდი თავის თავზე იღებს ინვესტიციის ეფექტის შეფასებას 2 წლის განმავლობაში. ამ სერვისით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ონტარიოში არსებულ სოციალურ მეწარმეებს, რომელთაც ჰყავთ არაუმეტეს 25 თანამშრომლისა და რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება \$2 მილიონს. ასევე სოციალური საწარმოები უნდა იყვნენ CSI⁷⁸ წევრები და სთავაზობდნენ co-working სივრცესა და სერვისებს სხვა სოციალურ მეწარმეებს.

როდესაც სოციალური საწარმო განაცხადს აკეთებს OCMFSE პროგრამაში, მას ასევე შეუძლია ავტომატურად დარეგისტრირდეს ორ დამატებითი პროგრამაში:

1. Futurpreneur Canada - სთავაზობს \$15,000-მდე სესხს სოციალურ საწარმოებს, რომელთა ხელმძღვანელის ასაკი არის არა უმეტეს 39 წლისა
2. Youth Social Innovation Capital Fund აფინანსებს საწარმოებს \$25,000-მდე, რომელთა ხელმძღვანელის ასაკი არის 18-35 წელი.

განაცხადები განიხილება ყოველთვიურად CSI-ს, მისი პარტნიორებისა და დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარი საბჭოს მიერ.

Social Enterprise Ontario

Social Enterprise Ontario (Conseil de la coopération de l'Ontario, CCO)⁷⁹ არის ინოვაციური პროგრამა, რომელიც აერთიანებს საჯარო-კერძო-სათემო დაფინანსებას ბიზნესის მაღალი ხარისხის ჩართულობით.

გარემოსდაცვით ან სოციალური მიზნების მქონე სოციალურ საწარმოებს, ბიზნესის წამოწყების ან განვითარების მიზნით, შესაძლებლობა აქვთ განაცხადი გააკეთონ \$16,000-მდე

⁷⁷ <http://socialinnovation.ca/catapult>

⁷⁸ <https://socialinnovation.org>

⁷⁹ <http://cco.coop/fr>

გრანტზე ან \$40.000-მდე სესხზე. მათ ასევე შესაძლებლობა აქვთ მიიღონ მორგებული ბიზნეს დახმარება. სოციალურმა საწარმოებმა უნდა წარმოადგინონ ინოვაციური გადაწყვეტილებები, Francophone focus-ის გათვალისწინებით.⁸⁰

Social Venture Exchange

SVX⁸¹ არის ადგილობრივი პლატფორმა, რომელიც აერთიანებს ვენჩერულ ინვესტიციებს (impact venture), ფონდებს და ინვესტორებს. მისი მიზანია კაპიტალის მოძიება იმ ადგილობრივი ინიციატივებისთვის, რომელთაც აქვთ სოციალური და/ან გარემოსდაცვითი ეფექტი. ესენი შეიძლება იყვნენ არასამეწარმეო ორგანიზაციები, კოოპერატივები და მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები. SVX-ის პლატფორმის ინიცირება მოხდა 2007 წელს, რათა მოეზიდა კაპიტალი ისეთი სახის ინიციატივების დასაფინანსებლად, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სიღარიბის შემცირებას. 2008 წელს ეს იდეა მოიწონა და დაამტკიცა ონტარიოს მთავრობის, როგორც სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი და მხარი დაუჭირა სხვადასხვა სააგენტოს მეშვეობით (Social Innovation Generation (SiG) at MaRS, the Ontario Ministry of Research and Innovation (MRI), Causeway Social Finance and TMX Group Inc.).⁸² SVX არის მულტისექტორული თანამშრომლობის მოდელი, რომელიც აერთიანებს მთავრობის, საზოგადოების და კერძო სექტორის ჩართულობას.

SVX ხელმისაწვდომია აკრედიტირებული ინვესტორებისათვის, რომლებსაც სურთ ინვესტიციის განხორციელებით მოახდინონ პოზიტიური სოციალური და/ან გარესმოდაცვითი გავლენა.

ის აკრედიტირებული ინვესტორები, რომლებიც საზოგადოებასა და გარემოზე დადებითი გავლენის მოხდენის მიზნით (მაგალითად გავლენის ინვესტიციები) ინვესტირების ახალ შესაძლებლობებს ეძებენ, წარმოადგენს სოციალური ორგანიზაციებისა და გავლენის ფონდების დაკავშირების საშუალებას, დაცული და რეგულირებული კერძო ონლაინ პლატფორმის გამოყენებით. ზრდად და ამავდროულად ფრაგმენტულ ზეგავლენის ინვესტიციის ბაზარზე, SVX უზრუნველყოფს დაბანდების ხელმისაწვდომ შესაძლებლობებს ინვესტორებისთვის, სოციალურ ორგანიზაციებსა და ზეგავლენის ფონდებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და/ან მათი მისიის წარმატების მიზნით, კერძო თანასწორი დაფინანსების გზით. SVX იყენებს ამ სოციალური ორგანიზაციებისა და ზეგავლენის ფონდების დაყადაღების გზებსაც, მკაცრი და გამჭვირვალე ხელმისაწვდომობის მექანიზმების გამოყენების საშუალებით მანამ, სანამ ეს ინფორმაცია განთავსდება ონლაინ პლატფორმაზე და ხელმისაწვდომი გახდება კვალიფიცირებული აკრედიტირებული ინვესტორებისთვის.⁸³ SVX ეძებს ონტარიოში დაფუძნებულ ხარისხის ზეგავლენის სოციალური ორგანიზაციებს, ფონდებსა და ინვესტორებს. მიზნის მისაღწევად კი მათ მორგებული განათლების სერვისს, მექანიზმებსა და სტანდარტებს სთავაზობს. მას შემდეგ, რაც მოსამზადებელი სამუშაოები დამთავრდება, SVX განიხილავს თითოეულ სოციალურ

⁸⁰ <http://www.canadabusiness.ca/programs/social-enterprise-ontario-1/>

⁸¹ <https://svx.ca>

⁸² <https://svx.ca/en/about>

⁸³ <https://svx.ca/en/faqs>

ორგანიზაციასა და ფონდს და ქმნის დაცულ კავშირს ონლაინ პლატფორმის, მასტიმულირებელი ფესტივალებისა და შეხვედრების ტექნიკების გამოყენებით.⁸⁴

Toronto Enterprise Fund

ტორონტოს მეწარმეობის ფონდი (TEF)⁸⁵ არის ამხანაგობა შემდეგი ორგანიზაციებისა:

- გაერთიანებული გზა ტორონტო- United Way Toronto
- ქალაქ ტორონტოს თვითმმართველობა- City of Toronto
- ონტარიოს თემის სოციალური სერვისების სამინისტრო- Ontario Ministry of Community & Social Services
- მიუსაფართა ამხანაგობის სტრატეგია- *Homelessness Partnering Strategy*, ფედერალური მთავრობის პროგრამა, რომელსაც კოორდინაციას უწევს ქ. ტორონტოს თვითმმართველობა.

TEF დაარსდა 2000 წელს, რათა მხარი დაეჭირა სოციალური საწარმოებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მოწყვლადი მოსახლეობის ტრანზიტულ ან სტაბილურ დასაქმებას, ან დასაქმებაზე ორიენტირებულ ტრენინგებს. სოციალურ საწარმოში დასაქმებით, მონაწილეები იუმჯობესებენ ეკონომიკურ შესაძლებლობებს, სამუშაო გამოცდილებას, შემოსავალს, პროფესიულ უნარ-ჩვევებს, საკუთარი თავის თვითშეფასებას და კავშირს სამუშაო ძალასთან და ადგილობრივ თემთან. ეკონომიკური პოტენციალისა და სიღარიბის შემცირების პარალელურად, სოციალური საწარმოები ხელს უწყობს უსახლკარობის შემცირებას ტორონტოში. TEF არსებული სოციალური საწარმოებისთვის ყოველწლიურად საოპერაციო გრანტების გაცემას ითვალისწინებს, ასევე სტარტაპ გრანტებს 2-3 ინიციატივის განხორციელებაზე. სოციალური საწარმოების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ფონდი საწარმოებს სთავაზობს ბიზნესის განვითარების ფართო მხარდაჭერის მექანიზმებს, რომელსაც ზომავს მიმდინარე შეფასებათა სისტემებით.⁸⁶

TEF-ს გააჩნია დაფინანსების სამი მიმართულება:

- **ბიზნეს გეგმების კონკურსი (Business Plan Competition):** გამოყოფს ყოველწლიურ სტარტაპ გრანტებს სოციალური საწარმოების დაფუძნებისთვის, რომელიც მოწყვლად მოსახლეობას დასაქმებას ან დასაქმებაზე ორიენტირებულ ტრენინგებს შესთავაზებს
- **საოპერაციო გრანტები (Operating grants):** მხარს უჭერს სოციალურ საწარმოებს სამწლიანი განახლებადი დაფინანსების შეთანხმების საფუძველზე. სტარტაპ გრანტის მიმღებ სოციალურ საწარმოებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ 3 წლიანი დაფინანსება პირველი საოპერაციო წლის შემდეგ. TEF-ს პრაქტიკაში აქვს სოციალური საწარმოების ხანგრძლივი მხარდაჭერაც, რომელიც ზოგჯერ 12 წლითაც კი განისაზღვრება. ფონდი ამ საწარმოებს ეხმარება, რომ ნაკლებად დამოკიდებულნი იყვნენ გრანტებზე და ფინანსური დამოუკიდებლობა მოიპოვონ მიღებული ბიზნეს საქმიანობებიდან. TEF-ით

⁸⁴ <https://svx.ca/en/about>

⁸⁵ <http://www.torontoenterprisefund.ca>

⁸⁶ <http://www.torontoenterprisefund.ca/about-tef/what-is-the-toronto-enterprise-fund>

დაფინანსებული სოციალური საწარმოები ადგენენ სოციალური და ბიზნეს შედეგების ინდიკატორებს, რომლებიც გადაიხედება ყოველწლიურად

- **შერეული კაპიტალის შესაძლებლობების ფონდი (Mixed Capital Opportunities Fund):**

სთავაზობს გრანტისა და კრედიტის ჰიბრიდს, \$30.000-მდე, Alterna Savings-თან თანამშრომლობით იმ სოციალურ საწარმოებს, რომელთაც გააჩნიათ ბიზნეს განვითარების გეგმა⁸⁷

მანიტობა

Jubilee Fund

87

88 JF88

ამოქმედდა 2000 წელს ქ. ვინიპეგში ათასწლეულის სახელმწიფო ვალებისგან განთავისუფლებისგან აღსანიშნავად (millennium celebration for debt relief). ეს არის კოალიცია, რომელიც სარისკო კაპიტალის გრანტის უზრუნველყოფით აკრედიტებს სათემო ეკონომიკური განვითარების ისეთ პროექტებს, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში ვერ მიიღებდნენ დაფინანსებას ბანკებიდან ან საკრედიტო გაერთიანებებიდან.⁸⁹ JF არ გასცემს გრანტებს. ის აფინანსებს ინდივიდების ან ორგანიზაციების ისეთ პროექტებს, რომლებიც ერთმანეთში აერთიანებს კარგ ბიზნეს პოტენციალს და სოციალურ მიზანს.

ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები ხვდება შემდეგ სამ კატეგორიაში:

- **მცირე ბიზნესი (Small Business)**- JF ქ. ვინიპეგის და ახლომდებარე რეგიონების მცირე მეწარმეებს და კოოპერატივებს სთავაზობს საკრედიტო გრანტიებს, რომლის მეშვეობითაც მათ შესაძლებლობა ეძლევათ საფინანსო ინსტიტუტებიდან მიიღონ კრედიტი
- **ხელმისაწვდომი საცხოვრებელი პრიობები (Affordable Housing)**- ფონდი სათემო ორგანიზაციებთან და ბინათუზრუნველყოფის კოოპერატივებთან ერთად გასცემს ტრანზიტულ დაფინანსებას და კრედიტებს სარემონტო და სამშენებლო მიზნებისთვის, რათა დაკმაყოფილდნენ დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები, სპეციალური საჭიროების მქონე ჯგუფების წარმომადგენლები და ხანდაზმულები
- **სათემო პროექტები (Community Projects)**- მოიცავს არასამეწარმეო დღის ცენტრების ოპერირების, დასაქმებაზე ორიენტირებული ტრენინგების, გასართობი პროგრამების და სხვა სათემო სერვისების განვითარებასა და გაფართოებას⁹⁰

Community Enterprise Development (CED) Tax Credit Program

CED პროგრამა ხელს უწყობს მანიტობას პროვინციაში ინვესტორებს და შესაბამისი უფლების მქონე კორპორაციებს (თუ ისინი მუდმივად ოპერირებენ მანიტობას პროვინციაში და სახელფასო ბიუჯეტის 25%-ს მაინც გაცემენ მანიტობას მაცხოვრებლებზე) განახორციელონ ინვესტიციები სათემო ორგანიზაციებში ან სათემო განვითარების მიმართულებით. ამ

87 <http://www.torontoenterprisefund.ca/what-we-do/grants>

88 <http://www.jubileefund.ca>

89 <http://www.jubileefund.ca/faq.php>

90 <http://www.jubileefund.ca/fund.php>

ყოველივეს მიზანია მხარი დაუჭიროს სათემო ორგანიზაციებს საკუთარი კაპიტალის გაზრდაში.

შესაძლო კანდიდატები არიან:

- მანიტობაში მცხოვრები ინვესტორები ან შესაბამისი უფლების მქონე კოპორაციები, რომელთაც სურთ ყოველწლიურად მინიმუმ \$60.000-ის ინვესტიცია
- საწარმოები, რომლებსაც აქვთ \$10.000-ის ღირებულების სუფთა აქტივები (net asset), ხოლო მათი აქტივების საერთო თანხა (gross asset) \$25 მილიონს შეადგენს და რომელიც ასაქმებს არაუმეტეს 200 თანამშრომლისა (მანიტობას მაცხოვრებელთა მინიმუმ 25%)

ეს მხარდაჭერა გათვალისწინებული არ არის ტრადიციულ ბიზნეს საწარმოებისთვის, მადნეულის მოპოვებისთვის, სეზონური/გასართობი ღონისძიებებისთვის და სავაჭრო წარმოების ქონების გაძლიერებისთვის.

მხარდაჭერის შესაძლო პაკეტი:

- ინვესტორები ღებულობენ გადასახადების 45%-ის შეღავათს \$60.000-იანი ინვესტიციის განხორციელებისას (მაქსიმუმ \$27.000 საგადასახადო შეღავათი)
- შესაბამისი ორგანიზაციები, რომელთაც შეუძლიათ მიიღონ მაქსიმუმ \$3 მილიონი უკან დასაბრუნებელი კაპიტალი⁹¹

Neighbourhood Alive! Tax Credit

NATC შექმნილია, რათა წახალისოს თემის ეკონომიკური განვითარება ახალი სოციალური საწარმოების შექმნით და დასაქმების შესაძლებლობის გაზრდით დაძლიოს უმუშევრობის პრობლემა მანიტობას მაცხოვრებლებს შორის.

ეს ინიციატივა მხარს უჭერს კორპორაციებს საქველმოქმედო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დააარსონ სოციალური საწარმოები და სთავაზობს 30 პროცენტთან საგადასახადო შეღავათს (corporate income tax). კორპორაციებს NATC ინიციატივის ფარგლებში შეუძლიათ მიიღონ მაქსიმუმ \$15.000 სარგებელი, თუ წინა წელს კვალიფიციურ საქველმოქმედო ორგანიზაციაში განხორციელებული აქვთ მინიმუმ \$50.000 შემოწირულობა და არამატერიალურ მხარდაჭერას განაგრძობს მიმდინარე წელსაც, რათა დაეხმარონ საქველმოქმედო ორგანიზაციებს განავითარონ და მართონ ახალი სოციალური საწარმო.

თუ კორპორაციას გამომუშავებული აქვს საგადასახადო შეღავათი, მაგრამ არ გამოუყენებია მიმდინარე წელს, შეუძლია ჩაითვალოს წარსული სამი წლის პერიოდზე ან გადაიტანოს მომდევნო 10 წელზე. შესაძლებელია რამდენიმე კომპანიამ გაიღოს შემოწირულობა ერთი და იმავე სოციალურ საწარმოსთვის, მაგრამ თითოეული მათგანი უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ კრიტერიუმებს, ესენია:

კორპორაციები:

- განხორციელოს მინიმუმ \$50.000 შემოწირულობა ნაღდი ფულის სახით; კომპანიას აქვს 4 წელი დონაციის მინიმალურ ზღვრის მისაღწევად

- საქველმოქმედო ორგანიზაციებს შემოწირულობის განხორციელებიდან მომდევნო წელს შესთავაზოს არამატერიალური სერვისები, რომლებიც მიმართული იქნება სოციალური საწარმოების მართვისა და განვითარებისკენ

ახალი დაფუძნებული სოციალური საწარმოები:

- დაწყებული უნდა ჰქონდეთ ოპერირება 2011 წლის 12 აპრილის შემდეგ
- ოპერირებდნენ მანიტობას პროვინციაში და მართვის სრული უფლებამოსილება იყოს მანიტობაში რეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელში
- ჰქონდეთ მანდატი დასაქმონ მანიტობას მაცხოვრებლები, რომელთაც აქვთ დასაქმების ბარიერი და აჩვენონ, რომ დასაქმებულთა 25% ამ სამიზნე ჯგუფს წარმომადგენელია
- ჰქონდეს საქველმოქმედო მიზნები
- გამოიმუშავოს მოგება დამფუძნებელი საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის

კორპორაციას შეუძლია წინასწარ, პირველსავე წელს, განახორციელოს \$200.000 შემოწირულობა, შესთავაზოს არამატერიალური სერვისები და ისარგებლოს საგადასახადო შეღავათებით მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.⁹²

კვებუკი

Wage Subsidy Program

ხელფასის სუბსიდირების პროგრამა (Wage Subsidy Program)⁹³ სთავაზობს ფინანსურ დახმარებას იმ დამსაქმებლებს, რომლებსაც შეუძლიათ დასაქმების ბარიერის მქონე პირების დასაქმება. სუბსიდია ნაწილობრივ მოიცავს რეკრუტის ხელფასს, ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება ნაწილობრივ ფარავდეს ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია რეკრუტის ტრენინგთან ან ზედამხედველობასთან (მაგალითად, ტრენერის ან მენტორის ხელფასი).

ჩვეულებისამებრ, სუბსიდია გაიცემა მაქსიმუმ 30 კვირის პერიოდზე. სოციალური საწარმოებისთვის სუბსიდირების პერიოდი არის 52 კვირა, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს დაფინანსების კლებადი ფორმულით.⁹⁴

კოლექტიური მეწარმეობის დაფინანსება

Investissement Québec კოოპერატივებსა და არამომგებიან ორგანიზაციებს სთავაზობს სხვადასხვა სახის დაფინანსებას:

- სესხებს კონკურენტული განაკვეთით
- კრედიტებს სხვა კრედიტორებთან პარტნიორობით

⁹² <http://prdp2.ctt.gov.mb.ca/Databases/BRC/ProgServ.nsf/f43d4db6edd8f1ee86256e4700593d7c/2688e607592fbf7086257d1e006ca7cb?OpenDocument>

⁹³ <http://www.emploiquebec.gouv.qc.ca/entreprises/recruter/aide-financiere-a-lembauche/subventions-salariales-pour-employes/>

⁹⁴ <http://www.canadabusiness.ca/programs/employment-integration-wage-subsidies-1/>

- საკრედიტო გარანტიებს: საფინანსო ინსტიტუტის წმინდა დანაკარგის სრულად ანაზღაურება, რაც წარმოიშვა საწარმოს დაფინანსების შედეგად
- სუბორდინირებული ვალი
- კოოპერატივის აქციების შექმნა

დაფინანსება ფარავს პროექტის 100%-მდე ხარჯებს. დაფინანსების მინიმალური ზღვარია \$50.000, რომელიც შეიძლება იყოს როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიანი (25 წლამდე ვადით ძირითადი კაპიტალის შემთხვევაში). გადასახდელი თანხის გადავადება შესაძლებელია მაქსიმუმ 24 თვით. შესაძლო პროექტების მაგალითებია:

- შენობის შექმნა, გაფართოება, აშენება ან მოდერნიზება
- მანქანა-დანადგარების და აღჭურვილობის შექმნა
- მიმოქცევის საშუალებები
- თანამშრომლების მფლობელობაში არსებული კოოპერატივების დაფინანსება, დამსაქმებლისგან აქციების გამოსყიდვის მიზნით
- რეფინანსირება
- ახალ ბაზრებზე შესვლა
- არამატერიალური აქტივების შექმნა (სავაჭრო ნიშანი, პატენტი და სხვ).

ამ სერვისებით სარგებლობისთვის კოოპერატივები თუ არამომგებიანი ორგანიზაციები უნდა ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში, მიუხედავად მათი მიმართულებისა. გარდა ამისა, Investissement Québec ბიზნესზე ორიენტირებულ სოციალურ საწარმოებს სთავაზობს კაპიტალიზირებად სესხებს კაპიტალის სხვა წყაროების შესავსებად. დამატებითი ფინანსური ბერკეტების შეთავაზებით კომპანიებს შესაძლებლობა ექმნებათ უზრუნველყონ აუცილებელი დაფინანსება ხელსაყრელი პირობებით.⁹⁵

Chantier de l'économie sociale Trust

2006 წლიდან მოყოლებული, CEST უმთავრესი მისიაა მხარი დაუჭიროს კოლექტიური საწარმოების გაფართოებას და განვითარებას, მათთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის და სოციალური ეკონომიკის მქონე საწარმოებისთვის კაპიტალის გაზრდით. CEST ქმნის ინოვაციურ გრძელვადიან ფინანსურ პროდუქტებს და ახალისებს კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობას.⁹⁶

CEST სთავაზობს გრძელვადიან კრედიტებს 15 წლიანი საშეღვათო პერიოდით, რომლებიც ხელს უწყობს სტარტაპ და განვითარებად პროექტებს და უძრავი ქონების ინვესტიციას. \$50.000-დან \$1.5 მილიონამდე ოდენობის კრედიტები გაიცემა ორი ფორმით:

⁹⁵ <http://www.investquebec.com/quebec/en/financial-products/cooperatives-and-NPOS/financing-for-collective-entrepreneurship.html>

⁹⁶ <http://fiducieduchantier.qc.ca/about-us/our-mission/?lang=en>

- **Operations Patient Capital:** გარანტიის გარეშე ფარავს ისეთ ხარჯებს, როგორცაა კაპიტალის ბრუნვის ზრდა, ბაზარზე ახალი პროდუქტების ჩაშვება, კომპიუტერული ტექნიკის და მანქანა-დანადგარების შეძენა
- **Real Estate Patient Capital:** აფინანსებს უძრავი ქონების შეძენის, აშენების და გარემონტების ხარჯებს. ამ სახის ინვესტიციები დატვირთულია უძრავი ქონების უზრუნველყოფით

ამ სახის კრედიტები წარმოადგენს ფინანსური პაკეტის ნაწილს, რომელიც არ აღემატება პროექტის ხარჯების 35%-ს.⁹⁷

ალბერტა

Social Enterprise Fund

97

98..

დაარსდა 2008 წელს ქ. ედმონტონის თვითმმართველობის და ედმონტონის საზოგადოების ფონდის თანამშრომლობით. ფონდის კონტრიბუტორთა შორის არიან United Way, Alberta Real Estate Foundation და სხვა კერძო კომპანიები. თავდაპირველად, SEF სთავაზობდა ფინანსურ დახმარებას სესხის სახით იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ქ. ედმონტონში ინიცირებას უკეთებდნენ ან აფართოებდნენ სოციალურ საწარმოებს, თუმცა მოგვიანებით, ეს სერვისები გავრცელდა ალბერტას პროვინციის მასშტაბით კორპორაციული სტრუქტურის მქონე ნებისმიერ კლიენტზე.

SEF წარმოდგენილია როგორც გრძელვადიანი კრედიტორი, რომელიც მცირე და დიდი სესხებით მხარს უჭერს სოციალურ საწარმოებს, რათა მათ თავიანთ ფინანსურ საჭიროებებს უპასუხონ. სესხის უკან დაბრუნება ხდება პროცენტთან ერთად. პროცენტის განაკვეთი შეფასებულია საინვესტიციო რისკით, რომელიც უმეტესწილად 1-2.5 პუნქტით აღემატება საშუალო საბანკო განაკვეთს.⁹⁹

SEF ასევე აქტიურად მუშაობს ფართო საზოგადოებაში იმ მხარეებთან, რომელიც დაინტერესებულნი არიან სოციალური მეწარმეობით. ის პროვინციის და ქვეყნის მასშტაბით სოციალური მეწარმეობის ცნების ამაღლებას ცდილობს, ასევე სოციალურ საწარმოებს სთავაზობს სხვადასხვა სახის ტრენინგს.¹⁰⁰

97 <http://fiducieduchantier.qc.ca/our-products/financial-products/?lang=en>

98 <http://socialenterprisefund.ca>

99 http://socialenterprisefund.ca/?page_id=129

100 http://socialenterprisefund.ca/?page_id=14

ბრიტანეთის კოლუმბია

Social Impact Purchasing Guidelines

სოციალური განვითარებისა და სოციალური ინოვაციების სამინისტრომ (SDSI) 2015 წელს ინიცირება გაუკეთა **Social Impact Purchasing (SIP) Guidelines-ს**¹⁰¹, რათა წახალისებინა სოციალური საწარმოების ან სოციალური გავლენის მქონე ორგანიზაციებისგან პროდუქტების და სერვისების შეძენა. SDSI-სთვის არსებობს ორი ტიპის სოციალური გავლენის შესყიდვა:

1. სოციალური საწარმოსგან ან სოციალური გავლენის მქონე ბიზნესისგან პროდუქტის ან სერვისის შეძენა
2. სატენდერო წინადადებაში სოციალური ღირებულების დანამატის გაკეთება¹⁰²

შესყიდვის პროცესი	აღწერილობა	SIP განაცხადი
პირდაპირი შესყიდვა (შუამდგომლობის გარეშე)	მიმწოდებლის შერჩევა კონკურსის გარეშე	სოციალური საწარმოს არჩევა მომწოდებლად (თუ შესაძლებელია)
სამი ზეპირი ან წერილობითი ფასის შეთავაზება	სამი ფასნადების მიღება პოტენციური მომწოდებლებისგან	პროცესში მინიმუმ ერთი სოციალური საწარმოს ჩართვა (თუ შესაძლებელია)

სამინისტრო სახელმძღვანელოში განსაზღვრავს თუ როგორ უნდა განხორციელდეს SIP. მაგალითისათვის, ის განმარტავს თუ როგორ შეიძლება გაკეთდეს სოციალური ღირებულების/ფასის ჩამატება სატენდერო წინადადებაში. რადგანაც უმეტესწილად მცირე ზომის სოციალური საწარმოები გვხვდება, შესაძლოა, მათ არ ჰქონდეთ დიდი ზომის შეკვეთების განხორციელების საშუალება. შესაბამისად, სამინისტრო მხარეებს სთავაზობს თავიანთ მოთხოვნაში აღწერონ, როგორ უზრუნველყოფენ სოციალური საწარმოებისთვის სუბკონტრაქტირების შესაძლებლობას (subcontracting opportunities) და ზოგადად როგორ გამოიწვევენ პოზიტიურ სოციალური გავლენას.¹⁰³

SDSI იქნება პირველი სამინისტრო, რომელიც გამოიყენებს SIP მიდგომას. შესყიდვის პროცესის მონიტორინგი კი სავალდებულო იქნება, რათა მან სხვა სამთავრობო ორგანოებს აჩვენოს ამ პრაქტიკის განხორციელებადობა და ეფექტურობა.¹⁰⁴

¹⁰¹ <http://www2.gov.bc.ca/assets/gov/employment-business-and-economic-development/business-management/social-innovation/si-purchasing-guidelines.pdf>

¹⁰² Ministry of Social Development and Social Innovation, Social Impact Purchasing Guidelines, November 2014, British Columbia, p. 7, available at <http://www2.gov.bc.ca/assets/gov/employment-business-and-economic-development/business-management/social-innovation/si-purchasing-guidelines.pdf>, last accessed 24 October 2016.

¹⁰³ Ibid, p. 10.

¹⁰⁴ Ibid, p. 12.

ატლანტიკური კანადა

Social Enterprise Loan

ფინანსურ და ტექნიკური სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით, სათემო ბიზნეს განვითარების კორპორაციების ატლანტიკური ასოციაცია (CBDC)¹⁰⁵ დახმარებას უწევს მცირე ბიზნესების შექმნას და არსებული ბიზნესების გაფართოებას. CBDC ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია სწრაფად განვითარებადი საზოგადოების შექმნა, სადაც ხალხს თავიანთ რეგიონში ცხოვრება, მუშაობა და სოციალური აქტივობებით სიამოვნების მიღება შეეძლება.

CBDC სოციალური საწარმოების სესხის მიღება (SEL)¹⁰⁶ შეუძლიათ არამომგებიან საწარმოებს, რომლებიც მოიცავენ საქველმოქმედო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს ან საზოგადოებებს, რომლებსაც ბიზნესში ხელის შეწყობა (სესხის ან სასესხო გარანტიის ფორმით) სჭირდებათ. დაფინანსებით შესაძლებელია აქტივების შექმნა, ასევე სოციალური საწარმოების მოდერნიზება, გაფართოება ან ახლის შექმნა. CBDC სესხები გამიზნულია იმისთვის, რომ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინოს ოფიციალურად დარეგისტრირებულ ბიზნესზე ორიენტირებულ არამომგებიან საწარმოებს. სესხის მაქსიმალური ოდენობა არის \$150.000, თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევებში ის შეიძლება გაიზარდოს. მოქმედებს კონკურენტული სესხის საპროცენტო განაკვეთის და უკან დაბრუნების მექანიზმი. სასესხო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მაქსიმუმ 10 წლის ვადით. ხანგრძლივობა დამოკიდებულია სოციალური საწარმოს მიერ შეძენილი აქტივის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე.

სესხის მიღება შეუძლიათ სოციალურ საწარმოებს თუ ისინი ოპერირებენ ატლანტიკური კანადის რეგიონებში, როგორებიცაა: Newfoundland and Labrador, Prince Edward Island, Nova Scotia, New Brunswick.

მხარდაჭერის მექანიზმების პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები

ონტარიოს 2015 წლის სოციალური საწარმოების კვლევის რესპოდენტებმა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შემდეგი გამოწვევებზე ისაუბრეს¹⁰⁷:

- სახელმწიფოს, როგორც მთავარი დამფინანსებლის დაკარგვა გახდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მთავარი გამოწვევა. სოციალური საწარმოებისთვის დაფინანსების არსებულ წყაროებზე ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო გაართულდა, რადგან ხშირად ისინი ვერ ერგებიან დაფინანსების ტრადიციულ მოდელს
- ჩვეულებრივ, დამფინანსებლები სოციალურ საწარმოებს არ აღიქვამენ როგორც მოდელს, რომელიც პასუხობს საზოგადოების/თემის საჭიროებებს- ის უფრო მეტად აღიქმება ტრადიციულ ბიზნესზე ორიენტირებულ საწარმოდ, რომელიც სთავაზობს განსაზღვრულ

¹⁰⁵ <http://www.cbdc.ca>

¹⁰⁶ <http://www.cbdc.ca/en/atlantic-association-of-cbdcs/programs/cbdc-social-enterprise-loan>

¹⁰⁷ CCEDNet, Enterprising Change, Report of the 2015 Social Enterprise Survey for Ontario, pp. 69-70.

საზოგადოებრივ ღირებულებას. ამგვარი შეხედულება მიუთითებს სოციალური საწარმოების, როგორც ბრენდის ცნობადობის გამოწვევებზე

- არსებული დაფინანსების მექანიზმები წარმოშობს დამატებით პრობლემებს. მთავარი დამატებლობა დაკავშირებულია სოციალური საწარმოების დამფინანსებლების მოლოდინთან, რომ საწარმო უზრუნველყოს სერვისების მიწოდებას და შეინარჩუნებს მდგრადობას. ხშირად ეს არარეალისტურია, რადგან როდესაც სოციალური საწარმო ოპერირებს არამომგებიანი ორგანიზაციის ქოლგის ქვეშ მას პარალელურად უამრავი პროგრამის და სერვისის განხორციელება უწევს
- სერვისის ხარჯები ხშირად ძვირდება, როდესაც ის ნაკლებად კონკურენტუნარიანი კადრების დასაქმებასთანაა დაკავშირებული. ამ შემთხვევაში ის ასახვას საწარმოს მოგებაზე ჰპოვებს
- საგრანტო მოთხოვნები მუდმივად იცვლება და ხშირად ძალიან სპეციფიკურია, რაც ართულებს სოციალური საწარმოების შესაძლებლობა მიიღონ ცალკეული პროექტების დაფინანსება (მაგ.: აღჭურვილობის შესაძენად)

კანადას, როგორც ფედერალურ სახელმწიფოს, პროვინციულ დონეზე დაფინანსების მრავალფეროვანი სისტემა აქვს. მათგან ონტარიო გამოირჩევა დაფინანსების მდიდარი და მრავალფეროვანი სისტემით, რომელიც სოციალურ საწარმოებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის დაფინანსების ინსტრუმენტს. OTF, როგორც გრანტების გამცემი სახელმწიფო სააგენტო, ბოლო ათწლეულის განმავლობაში წარმოადგენდა სოციალური მეწარმოების მხარდამჭერ მთავრ სახელმწიფო მამომრავებელ ძალას.

თუმცა OTF-ის გარდა არსებობდა სოციალური საწარმოების მხარდამჭერი მცირე ზომის სახელმწიფო დაფინანსებები, რომლებმაც კარგი საფუძველი ჩაუყარა ამ სექტორის განვითარებას.¹⁰⁸ წარსულში ონტარიოს მთავრობა ხშირად ხდებოდა კრიტიკის ობიექტი და ბრალად ედებოდა, რომ პოლიტიკის დონეზე სათანადო ყურადღებას არ უთმობდა საქველმოქმედო და არამომგებიანი სექტორების განვითარებას. ბოლო დროს სოციალური მეწარმოების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რომლებიც დიდი ალბათობით მოქმედებაზე ორიენტირებულ ურთიერთობას ჩამოაყალიბებენ ონტარიოს მთავრობასა და აღნიშნულ სექტორს შორის.

პროვინციის მხრიდან სოციალური საწარმოების მხარდაჭერას წარსულში აღწერდნენ როგორც “ქვეწარმავლისა და კიბის თამაშს“ (a game of snakes and ladders), რომელიც არასწორ მოლოდინებს ბადებდა.¹⁰⁹ მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის დონეზე მრავალი სასიკეთო ცვლილებაა, მისაღწევი ჯერ კიდევ ბევრია.¹¹⁰

¹⁰⁸ Peter R. Elson, Andres Gouldsborough, and Robert Jones, Building Capital, Building Community: A comparative analysis of access to capital for social enterprises and nonprofits in Ontario and Quebec (Toronto: University of Toronto Social Economy Centre, 2009), pp. 11-12, available at <http://www.csef.ca/Social%20Enterprises%20in%20Ontario%20and%20Quebec%20-%20A%20Comparison%20Report.pdf>, last accessed 25 October 2016.

¹⁰⁹ Ibid, p. 17.

¹¹⁰ SEOntario, ‘Social Enterprise in Ontario’, available at <http://seontario.org/social-enterprise-in-ontario/>, last accessed 25 October 2016.

იტალია

სოციალური საწარმოების ლანდშაფტი

სოციალური საწარმოების განმარტება

ტერმინი სოციალური საწარმო პირველად იტალიაში 1980 წელს გამოიყენეს, რათა განსაზღვრულიყო ინოვაციური კერძო ინიციატივები, შექმნილი მოხალისე ჯგუფების მიერ, იმისათვის, რომ შეეთავაზებინათ სოციალური მომსახურება ან ხელი შეეწყოთ სოციალურად დაუცველი ადამიანების შრომის ბაზარზე ინტეგრაციისთვის. ეს ინიციატივები თავდაპირველად შექმნილი იყო არსებული არა-სამეწარმეო იურიდიული ფორმების სახით (ასოციაციები, ფონდები ან კოოპერატივები), რომლებმაც მკაფიოდ განსაზღვრული იურიდიული სტატუსი შეიძინეს, 1991 წელს სოციალური კოოპერატივების შესახებ კანონის მიღების შემდეგ (კანონი. 381/1991).

კანონმა სოციალური კოოპერატივების შესახებ, მოახდინა არსებული კოოპერატივების ფორმის ადაპტირება, რაც ამ ორგანიზაციებს ეხმარება „საერთო საზოგადოებრივი ინტერესების მიზნისთვის მუშაობაში, რომლის მიზანია პიროვნული ზრდა, ადამიანების ინტეგრაცია საზოგადოებაში, სოციალური და საგანმანათლებლო სერვისების მიწოდება და სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, რათა ხელი შეეწყოს სოციალურად დაუცველი ადამიანების დასაქმებას“ (კანონი 381/1991 ნაწილი.1).

კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს ორი ტიპის სოციალურ კოოპერატივს:

- კოოპერატივი, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ, ჯანდაცვის და საგანმანათლებლო მომსახურებას (კანონით განსაზღვრული **A ტიპის სოციალური კოოპერატივი**);
- კოოპერატივი, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი ადამიანების ჯგუფის¹¹¹ ინტეგრირებას შრომის ბაზარზე (**B ტიპის სოციალური კოოპერატივები**).

იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს სოციალური საქონლის და სერვისის წარმოებას და სექტორის საქმიანობების დივერსიფიკაცია¹¹², 2005 წელს მიღებულ კანონში სოციალურ საწარმოებს მიენიჭათ იურიდიული კატეგორია და სტატუსი (კანონი 155/2006). **კანონი სოციალური საწარმოების შესახებ** არ ქმნის არც ახალ სამართლებრივ ფორმის ან ახალი ტიპის ორგანიზაციას, მაგრამ საშუალებას აძლევს ორგანიზაციას იქნეს აღიარებული როგორც სოციალური საწარმო, მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა, თუ იგი დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ეს არის კერძო იურიდიული პირი
- ის მუდმივად მონაწილეობს საქონლის და მომსახურეობის შექმნაში და გაცვლაში, რომელსაც აქვს სოციალური სარგებელი (social utility) და იღწვის საზოგადოებრივი

¹¹¹Namely, people with physical or mental disability, present or former psychiatric patients, drug addicts, alcoholics, young workers from troubled families, and criminals subject to alternatives to detention.

¹¹²There are legal restrictions on the activities that social cooperatives can engage in.

მიზნების და სარგებლის მოპოვებისათვის, და არა მოგების მიღებისთვის (ორგანიზაცია ითვლება სოციალურ საწარმოდ იმ შემთხვევაში, თუ ის თავისი შემოსავლის მინიმუმ 70%-ს დებულობს სამეწარმეო საქმიანობიდან, რაც გულისხმობს საქონლის და სოციალური სარგებლის მომტანი სერვისის წარმოება/გაცვლას

- საწარმოს შეუძლია ჰქონდეს მოგება, მაგრამ არ შეუძლია მისი განაწილება წევრებს ან მფლობელებს შორის. მოგება უნდა იყოს ინვესტირებული საწარმოს მთავარ საქმიანობის განვითარების (საჯარო სარგებელი) ან აქტივების გაზრდის მიზნით

გარდა ამისა, სოციალურმა საწარმომ პატივი უნდა სცეს კარგი მმართველობის პრინციპებს, როგორცაა გამჭვირვალობა, ღიაობა და გადაწყვეტილებების მიღებაში თანამონაწილეობა.

სოციალური კოოპერატივის იურიდიულ ფორმასთან შედარებით, სოციალური საწარმოს იურიდიული კატეგორია მოიცავს საქმიანობის უფრო ფართო სპექტრს, მაგალითად: 1) კეთილდღეობა; 2) ჯანმრთელობა; 3) სოციალური დაცვა; 4) განათლება და პროფესიული სწავლება; 5) გარემოს და ეკო სისტემის დაცვა; 6) კულტურული მემკვიდრეობის განვითარება;

7) სოციალური ტურიზმი; 8) აკადემიური და პოსტ-აკადემიური განათლება; 9) კვლევა და კულტურული სერვისის მიწოდება; 10) კლასგარეშე სწავლება; 11) სოციალური საწარმოების მხარდაჭერა.¹¹³

სამართლებრივი ფორმები

კანონმა სოციალური საწარმოების შესახებ დანერგა ცნება „სოციალური საწარმო“ როგორც იურიდიული კატეგორია და არა როგორც ახალი სამართლებრივი ფორმა ან ახალი ტიპის ორგანიზაცია. ეს გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერ კვალიფიციურ ორგანიზაციას, კოოპერატივს, ბიზნეს კორპორაციას, ასოციაციას თუ ფონდს შეუძლია მიიღოს აღნიშნული იურიდიული კატეგორია, თუ იგი აკმაყოფილებს განსაზღვრულ კრიტერიუმებს.¹¹⁴ შესაბამისად სოციალურ საწარმოებს იტალიაში შეუძლიათ მიიღონ სხვადასხვა სამართლებრივი ფორმა, თუმცა სოციალური კოოპერატივი მათ შორის ყველაზე პოპულარულია.

სოციალური საწარმოების სტატუსი ნაკლებად წარმატებული გამოდგა რამდენიმე მიზეზის გამო:

- რეგისტრაციისთვის საჭირო ხანგრძლივი ადმინისტრაციული პროცესი
- კანონის მიერ დაკისრებული ხარჯები და დამატებითი მოვალეობები, მაგალითად მინიმალური კაპიტალისა და სოციალური ანგარიშების მოთხოვნები და ა.შ

113 European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Italy, October 2014, pp. 1-3, available at <http://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=es&catId=89&newsId=2149>, last accessed 16 September 2016.

114 La innovación social en Chile y el rol del estado en su desarrollo, Escuela de Administración Pontificia Universidad Católica de Chile, Santiago, Chile, Enero 2012, pp. 125-126, available at http://www.economia.gob.cl/wp-content/uploads/2012/05/170212_Informe-Final-Estudio-Innovacion-Social.pdf, last accessed 9 September 2016.

- ფისკალური შედეგების არარსებობა (მაშინ, როდესაც ფისკალური წახალისებები ხელმისაწვდომია სოციალური კოოპერატივებისთვის)¹¹⁵

სოციალური საწარმოს მონაცემები და ფაქტები

2015 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით იტალიაში არსებობდა კანონით განსაზღვრული 792 სოციალური საწარმო და 14 342 სოციალური კოოპერატივი.¹¹⁶ ამ კოოპერატივებიდან 60.4% იყო A-ტიპის, 30.8% -B-ტიპის, 5,2% -A+B-ტიპის და 3.6% - სოციალური კოოპერატივების კონსორციუმი.¹¹⁷

სხვა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით სოციალური საწარმოების რაოდენობა იტალიაში არის შემდეგი:¹¹⁸

		ორგანიზაციის ტიპი	სავარაუდო ციფრი
კანონით აღიარებული საწარმოები	სოც.	სოციალური კოოპერატივები (2011)	11 264
		ex lege სოციალური საწარმოები (2013)	1 348 ¹¹⁹
დე-ფაქტო სოც. საწარმოები		სხვა ბიზნესები, რომლის დასახელებაშიც ტერმინი „სოციალური საწარმო“ ფიგურირებს (შესაძლებელია რეგისტრაციის პროცესში, როგორც იურიდიულად აღიარებული სოციალური საწარმო) (2011)	404
		ფონდები(2011)	2 799
		ასოციაციები (2011)	10 252
		კოოპერატივები (გარდა სოციალური კოოპერატივებისა) (2011)	1 576
		მოგებაზე ორიენტირებული რომლებიც თავიანთ ახორციელებენ სოციალური სექტორში (2009)	საწარმოები, საქმიანობას მეწარმეობის 8 545

ჯამი 34 840

იურიდიულად აღიარებული სოციალური საწარმოები არ წარმოადგენენ სოციალური საწარმოების სრულ სპექტრს იტალიაში. დამატებით, სოციალური საწარმოების

¹¹⁵European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Italy, October 2014, p. 23.

¹¹⁶ Associazione Isnet, Contaminazioni Profit/Non Profit per l'Economia Sociale, p. 2, available at http://www.impresasociale.net/osservatorio/presentazione_10_edizione_osservatorio_isnet_sull_impresa_sociale.php, last accessed 16 September 2016.

¹¹⁷Ibid., p. 3.

¹¹⁸European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Italy, October 2014, p. 20.

¹¹⁹Source: research conducted by Euricse on data included in the registers of Italian Chambers of Commerce.

მახასიათებლების მქონე ორგანიზაციებს შეიძლება შევხვდეთ ასოციაციებს, ფონდებს, კოოპერატივებს და ჩვეულებრივ საწარმოებს შორის.¹²⁰

სოციალური კოოპერატივების კანონის მიღების შემდეგ საგრძნობლად მოიმატა სოციალური კოოპერატივების რაოდენობამ, ორი ათწლეულის მანძილზე 2 000-იდან 11 264-მდე (2011).¹²¹

სოციალური კოოპერატივების უმრავლესობის მიერ განხორციელებული საქმიანობები შედგება შემდეგი სოციალური მომსახურებებისგან, (Istat, Censimento Industria Servizi, 2014):¹²²

- სოციალური ზრუნვა და სამოქალაქო დაცვა (სოციალური საწარმოების 40% მუშაობას ამ სექტორში)
- ეკონომიკური განვითარება და სოციალური კავშირი (მოიცავს „B ტიპს“ და სამუშაოზე ორიენტირებულ სოციალურ კოოპერატივებს- 32%)
- ჯანმრთელობა (11%)
- განათლება და კვლევა (8%)

საქმიანობა, რომლითაც სოციალური კოოპერატივები არიან დაკავებულები მოიცავს შემდეგ სფეროებს: სოციალურ-სამედიცინო შინ მოვლა; საგანმანათლებლო აქტივობები და რეაბილიტაცია; სოციალური და კულტურული ღონისძიებები; საბავშვო ბაღების და საადმინისტრაციო მომსახურების მართვა; სათემო ცენტრების და სახლების მართვა; ცენტრების და საცხოვრებელი ადგილების მართვა; ტრენინგი და სწავლება სოციალურად დაუცველი ადამიანების დასაქმებისთვის და ა.შ. სოციალური კოოპერატივები ასევე მონაწილეობენ იმ პროექტების შექმნასა და განხორციელებაში, რომლებიც მიმართულია ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთათვის.¹²³

მხარდამჭერი სისტემის სტრუქტურა

ინფრასტრუქტურა

დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო¹²⁴ პასუხისმგებელია არასამეწარმეო სექტორის საქმიანობის, მათ შორის სოციალურ საწარმოების, ზედამხედველობაზე, რომლისთვისაც ეროვნულ დონეზე ორი ძირითადი პოლიტიკის სფერო არსებობს: (i) შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა და (ii) სოციალური ჩართულობის პოლიტიკა. ამ სფეროში

¹²⁰ European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Italy, October 2014, p.

20.

¹²¹ Ibid., p. 23.

¹²² ISTAT CensimentoIndustriaServizi <http://dati-censimentoindustriaeservizi.istat.it/#>

¹²³ Ibid., p. 24.

¹²⁴ <http://www.lavoro.gov.it>

ინტერვენცია მოიცავს ხელსაყრელ სამართლებრივი ჩარჩოს და საგადასახადო რეჟიმის ამოქმედებას ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც აქვთ სოციალური მიზანი.¹²⁵

Italia Lavoro¹²⁶ არის შრომის და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს ქვედანაყოფი, რომელიც არეგულირებს მეწარმეობის და სოციალური საწარმოების სფეროს. ეს ერთეული შეიქმნა 1997 წელს სახელმწიფო სახსრებით, მაგრამ იმართება კერძო აგენტების მიერ. მისი ძირითადი მიზანი არის სამუშაო ადგილების შექმნა და აქცენტს შრომის ბაზარზე არსებული მარგინალური ჯგუფების წარმომადგენელთა (ყოფილი მსჯავრდებულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ა.შ.) დასაქმებაზე აკეთებს. Italia Lavoro მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალი სოციალური საწარმოების შექმნასა და მხარდაჭერაში. ის კოოპერატივებთან მჭიდრო ურთიერთობის საფუძველზე მუშაობს უმუშევართა ინტეგრაციისთვის, რომელთათვისაც სოციალური საწარმოების დაფუძნების მიზნით ხშირად მოქმედებს, როგორც რისკზე წამსვლელი მეწარმე (venture capitalist). ეს ერთობლივი სამუშაო იგეგმება 3 წლის პერიოდით, რომლის დროსაც მთავრობა, როგორც წესი, ყიდის თავის წილს კომპანიაში.¹²⁷

საჯარო პოლიტიკა

კანონი სტატუსის მქონე სოციალურ საწარმოებს არ ანიჭებს კონკრეტულ ფისკალურ სარგებელს, თუმცა ისინი სარგებლობენ რიგი უპირატესობებით, რომელიც უკავშირდება საჯარო ტენდერებსა და გრანტებს და რეგულირდება კანონის 155/06 შესაბამისად.¹²⁸ ამის მიუხედავად, სოციალური კოოპერატივები სარგებლობენ ხელსაყრელი საგადასახადო პირობებით. გამომდინარე მათი მახასიათებლებიდან, სოციალური კოოპერატივები ან თავისუფლდებიან კორპორატიული საშემოსავლო გადასახადებისგან ან სარგებლობენ შემცირებული განაკვეთით. ეს შეღავათები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად (Di Diego, 2011 და 2012¹²⁹):

- ქეისი 1: კოოპერატივის წევრების ხელფასები წამოადგენს ორგანიზაციის მთლიანი ხარჯების 50%-ს, გარდა ნედლეულისა და დამხმარე მასალების ხარჯებისა. ამ შემთხვევაში კოოპერატივი გათავისუფლებულია კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისგან
- ქეისი 2: კოოპერატივის წევრების ხელფასები წამოადგენს ორგანიზაციის მთლიანი ხარჯების 25%-ს, გარდა ნედლეულისა და დამხმარე მასალების ხარჯებისა. ამ შემთხვევაში სარგებელს წარმოადგენს გადასახადის განაკვეთის შემცირება (ჩვეულებრივი საგადასახადო განაკვეთის 50%, რომელიც შეადგენს 27,5%-ს) და დასაბეგრი შემოსავლის ხელსაყრელი პირობებით გაანგარიშება (მაგალითად მოგების 90%, რომელიც მიდის რეზერვებში არ იბეგრება)

¹²⁵European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Italy, October 2014, p.

4.

¹²⁶ <http://www.italialavoro.it>

¹²⁷La innovación social en Chile y el rol del estado en su desarrollo, Escuela de Administración Pontificia Universidad Católica de Chile, Santiago, Chile, Enero 2012, p. 123.

¹²⁸ EFSEIIS, Social Enterprise, Social Innovation and Social Entrepreneurship in Italy: A National Report, November 2014, p. 7, available at <http://www.fp7-efeseiis.eu/national-report-italy>, last accessed 19 September 2016.

¹²⁹Di Diego, S., Il nuovo reime fiscale delle cooperative, 2011, available at

http://www.reteomeo.it/uploads/media/il_nuovo_regime_fiscale_di_s._didiego.pdf, last accessed 17 September 2016.

- ქეისი 3: კოოპერატივის წევრების ხელფასები წამოადგენს ორგანიზაციის მთლიანი ხარჯების 25%-ზე ნაკლებს. ეს საკითხი მეორე ქეისის ანალოგიურია იმ განსხვავებით, რომ გამოიყენება ჩვეულებრივი საგადასახადო განაკვეთი (შემცირებული საგადასახადო განაკვეთის ნაცვლად)

გარდა ამისა, სოციალური კოოპერატივები, რომლებიც განისაზღვრებიან „B ტიპით“ იგივე „დასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური საწარმოები“ თავისუფლდებიან სოციალურად დაუცველი დასაქმებულების ეროვნული დაზღვევის გადასახადებისგან. სოციალური კოოპერატივებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის კერძო შემოწირულობების შემთხვევებში არსებობს საგადასახადო შეღავათები.

სოციალური კოოპერატივები სარგებლობენ შემცირებული დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) განაკვეთით, თუ ისინი აწვდიან სამედიცინო, სოციალურ და საგანმანათლებლო სერვისებს: ამჟამად მოქმედებს მინიმუმ 4%-იანი ზღვარი მაშინ, როდესაც შემცირებული 10%-იანი ზღვარი მოქმედებს სხვა სფეროებში, როგორცაა ტურისტული სერვისის შეთავაზება. დღგ-ს ჩვეულებრივი ზღვარი კი 21%-ს შეადგენს.

სოციალური კოოპერატივების შესახებ კანონის მიღების შემდეგ, კოოპერატივებს ადგილობრივი ხელისუფლების მირ გამოცხადებულ შესყიდვებში პრივილეგირებული პროვაიდერების სტატუსი მიენიჭათ. მანამ, სანამ ეს საკითხი გამოწვევის წინაშე იდგა, „B ტიპის“ სოციალური კოოპერატივებისთვის ევროკავშირთან შეთანხმების საფუძველზე დაუშვეს გამონაკლისი, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებებს 300.000 ევრომდე ღირებულების პირდაპირი კონტრაქტების გაფორმების უფლებას აძლევს.

დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ეროვნული დონის ორ (ყოფილი) მხარდაჭერის ინიციატივაზე:

- 1) სოციალური საწარმოების მხარდაჭერა **Sostegno alle imprese sociali** და
- 2) სოციალური საწარმოების სტარტაპი **Start-up di imprenditoria sociale**

მნიშვნელოვანი სიახლე არის ის, რომ 2016 წლის ივნისში იტალიის პარლამენტმა მიიღო კანონი მესამე სექტორის რეფორმის შესახებ. კანონის ძალაში შესვლიდან 12 თვის განმავლობაში, მთავრობამ უნდა გასცეს განკარგულებები გარკვეულ თემებზე, რომლებიც მოიცავს:

- არასამეწარმეო იურიდიული პირების ყოვლისმომცველი შეფასება, საგადასახადო მიზნებისათვის
- სასარგებლო საგადასახადო სისტემის დანერგვა, რომელიც გაითვალისწინებს ამ ორგანიზაციების სოციალური მიზანს და მათ სოციალურ გავლენას
- შემოსავლებიდან შემოწირულობების რაციონალური გამოქვითვის შესაძლებლობა, საგადასახადო მიზნებისათვის
- გამარტივებული საბუღალტრო პროცედურების რაციონალიზაცია
- არასამთავრობო ორგანიზაციების სასჯელის რევიზია

- კონტროლი და ზედამხედველობა მესამე სექტორის ორგანიზაციებზე, რაც შრომის სამინისტროს დაევალა

გარდა ამისა, მოსალოდნელია ხელისუფლებამ გადახედოს სოციალური საწარმოების რეგულირების საკითხს. კვალიფიციურ სოციალურ საწარმოებად ჩაითვლებიან ორგანიზაციები, რომლებიც:

- მიზნის მისაღწევად კანონით დელეგირილებულ ბიზნეს საქმიანობას წარმართავენ,
- მოგებას და ზედმეტ შემოსავალს გამოიყენებენ უპირველესად სოციალური მიზნებისთვის
- ნერგავენ პასუხისმგებლიან და გამჭირვალე მმართველობას
- უზრუნველყოფენ თანამშრომლების, მომხმარებლებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას თავიანთ საქმიანობაში

მთავრობამ უნდა განსაზღვროს ის სფეროები, რომელშიც სოციალურ საწარმოებს შეუძლიათ მუშაობა; სოციალურად დაუცველი თანამშრომლები, რომლებიც შეიძლება ჩართულნი იყვნენ ასეთ ბიზნესში; ყოველწლიური ფინანსური ანგარიშის გამოცემის მეთოდოლოგია; არამომგებიანი ორგანიზაციების კანონმდებლობის კოორდინაცია და აუდიტორთა დანიშვნა საქმიანობის მონიტორინგისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით და დებულებით.¹³⁰

მაგალითები, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე

ბევრმა რეგიონულმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ შექმნა სოციალურ საწარმოებზე გათვლილი მხარდაჭერის სქემები.¹³¹ გარდა ამისა, ადგილობრივმა ხელისუფლებებმა ითამაშეს მთავარი როლი სოციალური კოოპერატივების სამართლებრივი ფორმის ჩამოყალიბებაში, ორგანიზაციებისთვის სხვადასხვა სერვისის გადაცემის კუთხით, განსაკუთრებით ჯანდაცვის სფეროში (მაგ. სოციალური დახმარება), განათლება (მაგ. ბაგა-ბალი) და მომსახურება (მაგ. დასუფთავების სამსახური). ამ სცენარის მიხედვით საჯარო ტენდერის კრიტერიუმები გადამწყვეტი გახდა. ადგილობრივი ხელისუფლებები ხშირად აცხადებენ სოციალური კოოპერატივებზე ორიენტირებულ ტენდერებს. თუმცა, კონკურენტული ტენდერები არ არის ყველაზე ხელსაყრელი ინსტრუმენტი სოციალური საწარმოებისთვის, რომლებიც დაბალი ბიუჯეტით მუშაობენ და მოგების დაბალი მარჟა აქვთ.¹³²

2011 წელს ტრენტოს პროვინციამ ხელი შეუწყო ახალ ინიციატივას სახელწოდებით „Intervento 18“, რომლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე იყო თანამშრომლობა სოციალურ საწარმოებსა და საჯარო სექტორს შორის. Borzaga და Depedri-მ¹³³ (2013) დაადგინა, რომ „Intervento 18“ საჯარო

¹³⁰ Agostini, Sara, La riforma del terzo settore è legge: novità per associazioni e imprese sociali, 9 June 2016, available at http://www.diritto24.ilsole24ore.com/art/dirittoCivile/2016-06-10/la-riforma-terzo-settore-e-legge-novita-associazioni-e-imprese-sociali-174522.php?refresh_ce=1, last accessed 16 September 2016.

¹³¹ European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Italy, October 2014, p.

4.

¹³² EFSEIIS, Social Enterprise, Social Innovation and Social Entrepreneurship in Italy: A National Report, November 2014, p. 29.

¹³³ Borzaga, C. and Depedri, S. 'When Social Enterprises do it Better: Efficiency and Efficacy of Work Integration in the Italian Social Cooperatives' in S. Denny, F. Seddon (a cura di), Social Enterprise. Accountability and Evaluation around the World, London: Routledge, 2013, p. 85-101.

სექტორისთვის აწარმოებს წელიწადში €6.000 ევროს დანაზოგს სოციალურად დაუცველ მუშაკზე. Borzaga და Depedri-ს შეფასება მოიცავს როგორც საჯარო სექტორის ხარჯებს (მათ შორის სახელმწიფოს მიერ კოოპერატივებზე მინიჭებულ სუბსიდიებს), ასევე სარგებელს საჯარო სექტორის ხარჯების შემცირების თვალსაზრისით. ხარჯების შემცირება სოციალურ და სამედიცინო მომსახურებაზე მიიღწევა სოციალურად დაუცველი მუშაკების ჯანმრთელობის გაუმჯობესების და სოციალური ჩართულობის ფონზე. თანამშრომლობის საჭიროება მხარდაჭერილი იქნა ექსპერტთა მიერ „Intervento 18“ ინიციატივის განხილვის დროს. განხილვის დროს განისაზღვრა შემდეგი საუკეთესო პრაქტიკები (სოციალური მეწარმეობის ქსელი, 2013¹³⁴):

- საქმიანობის ეფექტურობის და ეფექტიანობის მონიტორინგი: სუბსიდიები გაიცემა შემდეგი ფაქტორების შეფასების შედეგად:
 - კოოპერატივის წლიური სტრატეგიული გეგმა
 - ორგანიზაციის ეკონომიკური მდგრადობა
 - თანხვედრა სამეწარმეო საქმიანობასა და შრომითი ინტეგრაციის მიზნებს შორის
 - ურთიერთობა ჩვეულებრივ და სოციალურად დაუცველ თანამშრომლებს შორის
 - მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება სოციალურად დაუცველი თანამშრომლების ინტეგრაციისა და მომზადებისათვის
 - ინვესტიციები ხელშემწყობ საქმიანობებში, როგორცაა მასწავლებლები და სოციალური პასუხისმგებლობა
- თანამშრომლობა და თანადაგეგმარება: ტრენტოს პროვინციის ადგილობრივი დასაქმების სააგენტო, სოციალურ საწარმოებთან და ზოგიერთ ადგილობრივ სოციალურ სერვისის მიმწოდებელთან ერთად, მონაწილეობს ფინანსური პროექტების დაგეგმარებაში. მაგალითად, სააგენტოს შეუძლია ითანამშრომლოს მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირების პროცესში, ასევე შესაძლო პარტნიორების მოძიებაში, რომლებიც დაიქირავებენ გადამზადებულ თანამშრომლებს მოწყვლადი ჯგუფებიდან. სააგენტო ასევე პასუხისმგებელია მხარდაჭერილი პროექტების მიღწეული შედეგების ყოველწლიურ მონიტორინგსა და შეფასებაზე.¹³⁵

დაფინანსების სისტემის დადებითი და უარყოფითი ეფექტები

იტალიური სოციალური საწარმოების მხარდაჭერის სისტემას აქვს სხვადასხვა დადებითი მხარე და მახასიათებელი. თუმცა, ზოგიერთი მახასიათებელი უნდა აგანვითარდეს ან შეიცვალოს იმისთვის, რათა ყველა სახის სოციალურმა საწარმომ ისარგებლოს საჯარო ფინანსური მხარდაჭერით.

ევროპული კომისიისთვის განხორციელებულმა საკონსულტაციო კვლევამ გამოავლინა, რომ სოციალური საწარმოების მხარდაჭერის განვითარებისა და განხორციელების პროცესში

134 Social Entrepreneurship Network, Public programs supporting work integration in the Trento province –Intervento 18, 2013, available at <http://socialeconomy.pl/node/99>, last accessed 17 September 2016.

135 European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Italy, October 2014, p.

საჯარო ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობა ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს. კოოპერატივებმა განმარტეს, რომ მათ სჭირდებათ ურთიერთობა იმ საჯარო მოხელეებთან, რომლებსაც აქვთ საკმარისი ცოდნა სოციალური საწარმოების სექტორის თავისებურებების შესახებ და რომლებიც ჩართულნი არიან პროექტის მიწოდების პროცესში.¹³⁶

სისტემის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მარცხი, 2006 წელს მიღებული სოციალური საწარმოების კანონი იყო, რომელიც კანონით განსაზღვრული ფინანსური მხარდამჭერი მექანიზმების სიმცირის გამო, ერთგვარად „დაიკარგა“, იმ დროს, როდესაც სოციალური კოოპერატივები ათწლეულობის განმავლობაში¹³⁷ კარგად დამკვიდრებული ფინანსური მხარდამჭერის სისტემით სარგებლობდნენ. როგორც ჩანს ეს „ხარვეზი“ შესწორდება ახლად მიღებულ კანონში მესამე სექტორის რეფორმის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს პოზიტიური ცვლილებებს სოციალური საწარმოების საგადასახადო სისტემაში.

ყველაზე პრობლემატური საკითხები სოციალური მეწარმეობის კანონმდებლობის სფეროში არის შემდეგი:

- სოციალური კოოპერატივების სიძლიერე
- კანონი არ იზიდავს არამომგებიან ორგანიზაციებს (ძირითადად ასოციაციებს) იმ დამატებითი ხარჯების და პასუხისმგებლობის გამო, რომელსაც ის გულისხმობს ყოველგვარი სარგებლის შეთავაზების გარეშე
- ასევე არ იზიდავს იმ მეწარმეებს, რომლებიც მუშაობენ ტრადიციულ სამეწარმეო სფეროებში, ვინაიდან ისინი ხედავენ ძალიან ბევრ შეზღუდვას და სურთ უფრო მეტი თავისუფლება, განსაკუთრებით კომპანიის მოგების განაწილების საკითხში
- ინვესტორებისთვის კანონმდებლობის მკაცრი მოთხოვნები, საქმიანობის დადგენილი წესები და შეზღუდული წახალისებები მიმზიდველი არ არის. მხოლოდ ფისკალური სარგებელი კი საკმარისად მიმზიდველი არ ჩანს
- სტატუსის მქონე სოციალური საწარმოების მიერ სარისკო კაპიტალის მოზიდვის სირთულეები, რაც გამოწვეულია მათი მოგების განაწილების შეზღუდვით (განსხვავებით მოგების ნაწილობრივი განაწილების დაშვებისგან, რაც ნებადართულია სოციალური კოოპერატივებისთვის);
- ჩვეულებრივი მეწარმეებისთვის სოციალური საწარმოების მართვაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის არარსებობა¹³⁸

¹³⁶ Ibid.

¹³⁷ Building enabling ecosystems for social enterprises, Capacity Building Seminar, Brussels, 22-23 April 2015, Moderator's report, p. 6, available at <https://www.oecd.org/cfe/leed/CBS-ecosystem-22-23-Apr15-Sum-report.pdf>, last accessed 17 September 2016.

¹³⁸ European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Italy, October 2014, pp. 29-30.

2012 წელს 250-მა სოციალურმა კოოპერატივმა მიიღო მონაწილეობა გამოკითხვაში, რომელსაც უნდა შეესწავლა მათი ფინანსური საჭიროებები (UBI Banca and AICCON, 2012).¹³⁹ ძირითადი შედეგები მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

- კონსულტაციების მიმღებთა უმეტესობისთვის (სოციალური კოოპერატივების 55% და კონსორციუმების 40%) შემცირდა გრანტებზე, შემოწირულობებსა და საჯარო ადმინისტრაციის სუბსიდიებზე ხელმისაწვდომობა. უფრო დიდი დეფიციტი გამოიკვეთა ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში
- მოსალოდნელი იყო შემოსავლების შემცირებას გავლენა მოეხდინა სხვადასხვა სექტორზე, განსაკუთრებით, კერძო ბაზარზე არსებულ საგანმანათლებლო და სატრენინგო მომსახურების სექტორსა (73% აფიქსირებს შემცირებას) და საჯარო სექტორისთვის განკუთვნილ სოციალური და ჯანდაცვის სერვისებზე (50%)¹⁴⁰

იტალიის მთავრობის მიერ ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ განხორციელებული დანახარჯების მიმოხილვამ გამოიწვია საჯარო რესურსების ხელმისაწვდომობის შემცირება იმ სექტორებში, რომლებიც ფუნდამენტურია სოციალური საწარმოებისთვის, როგორცაა მაგალითად, კეთილდღეობა. ამან თავის მხრივ შეამცირა სოციალური საწარმოების გაფართოების შესაძლებლობა, ვინაიდან მოთხოვნა საჯარო მომსახურებაზე შემცირდა. მეორეს მხრივ, კი შეიქმნა წინაპირობა სოციალური საწარმოებისთვის, რათა მათ შეძლონ დივერსიფიკაცია ახალ ბაზრებზე და გახდნენ უფრო ინოვაციურები.

სოციალური საწარმოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიის მიერ ჩატარებულ კვლევებში გამოავლინეს, რომ ერთ-ერთ ძირეულ პრობლემას საჯარო ადმინისტრაციებისათვის მიწოდებული სერვისების დაგვიანებით ანაზღაურება წარმოადგენს. ეს პრობლემა მნიშვნელოვნად აისახება სოციალური საწარმოების მდგრადობაზე. მაგალითად, გამოკითხულთაგან ერთ-ერთმა განაცხადა, რომ საჯარო ადმინისტრაციების მხრიდან საშუალო დაგვიანება შეადგენს 36 თვეს. ამ საყურადღებო დაყოვნებებმა გამოიწვია სოციალური საწარმოების დავალიანებების გაზრდა ბანკის მიმართ, რამაც გავლენა იქონია თანამშრომლებისთვის დროული ანაზღაურების გაცემაზე. მაგალითად, ერთ-ერთი სოციალური საწარმოს თანახმად, 2011 წლამდე მდგრადობის ეს პრობლემა არ არსებობდა: ორგანიზაციების თანამშრომელთა დაახლოებით 90%-ს ჰქონდა მუდმივი, ხოლო მხოლოდ 10%-ს- დროებითი კონტრაქტი. ანაზღაურების დაგვიანების ფაქტების გახშირების გამო, 2013 წელს, 30%-მდე გაიზარდა იმ თანამშრომლების რაოდენობა, რომლებსაც დროებითი კონტრაქტი ჰქონდათ.

კიდევ ერთი ბარიერი, სოციალური საწარმოების განვითარების გზაზე, არის როგორც სამოქალაქო ასევე ფისკალური საკანონმდებლო ჩარჩოს ფრაგმენტაცია და სირთულე, რომელიც არეგულირებს არასამთავრობო ორგანიზაციების (გარდა სოციალური კოოპერატივებისა, რომლებიც სარგებლობენ კარგად ჩამოყალიბებული სამართლებრივი

¹³⁹ UBI Banca, AICCON, *Osservatorio UBI BANCA su "Finanza e Terzo Settore"* - Indagine sui fabbisogni finanziari della cooperazione sociale in Italia, 2012, available at http://www.ubibanca.com/page/c/document_library/get_file?uuid=f1290f04-deca-4274-b794-268003b73ecc&groupId=526501, last accessed 17 September 2016.

¹⁴⁰ European Commission, *A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Italy*, October 2014, p.

ჩარჩოთი), კომპანიებისა და სტატუსის მქონე სოციალური საწარმოების ოპერირებას. ამან შეიძლება წარმოშვას რთული და შეზღუდული ბიუროკრატიული და ადმინისტრაციული მოვალეობები, რაც გაართულებს საწარმოების მართვას.

ხელფასები სხვა „ბაზართან“ შედარებით საკმაოდ დაბალია და სოციალურ საწარმოებს უჭირთ ეფექტური მენეჯერების მოზიდვა, მათი ბიზნესის შემდგომი განვითარებისთვის. შემოსავლის განაწილების შეზღუდვა ართულებს ახალი ინვესტიციების მოზიდვას კერძო ინვესტორებისგან, ასევე აღინიშნება კერძო პირებისგან სოციალური საწარმოებისთვის განკუთვნილი შემოწირულობების სიმცირე, რაც გამოწვეულია ფისკალური შეღავათების ნაკლებობით. კომერციულ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ გააკონტროლონ სტატუსის მქონე სოციალური საწარმოები, რაც აფერხებს მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბებას ამ ორ სექტორს შორის. გარდა ამისა, კანონი ამ უკანასკნელს კომერციული ინსტიტუციების კონტროლს უკრძალავს, თუ მათ აქვთ სოციალური საწარმოს სტატუსი. კომერციული კომპანიები და საჯარო სექტორის ორგანიზაციები შედიან ბაზარზე, რომელსაც ტრადიციულად ფარავს სოციალური კოოპერატივები, მათ შორის სოციალური დახმარების და ჯანდაცვის სექტორები, რომლებიც სერვისებს სთავაზობენ სოციალურად დაუცველ ადამიანებს. შედეგად, კომერციული კომპანიები უფრო სოციალურ კოოპერატივებსა და სხვა არა-მომგებიან ორგანიზაციებს მზარდ კონკურენციას უწევენ, რათა შეინარჩუნონ კონტრაქტები საჯარო ადმინისტრაციებთან. (Venturi and Zandonai, 2012a¹⁴¹ and 2012b¹⁴²). კვლევამ ცხადყო, რომ კომერციული ორგანიზაციების მხრიდან მზარდი კონკურენცია სოციალური კოოპერატივებისთვის ერთ-ერთ მთავარ სირთულეს წარმოადგენდა. სოციალურმა საწარმოებმა განმარტეს, რომ დღესდღეობით საჯარო შესყიდვებისადმი წვდომა გართულდა, ეს ყველაფერი გამოიწვია კონკურენციის ზრდამ და სახელმწიფო ორგანოების წინადადების ჩავარდნამ, რომლის მიხედვითაც სოციალური საწარმოებისთვის საჯარო შესყიდვების საკითხის მხარდამჭერი მექანიზმები უნდა შემუშავებულიყო.¹⁴³

2013 წელს ასოციაცია Isnet-მა გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა 1000-ზე მეტი სოციალური საწარმოს (მათ შორის, ასოციაციები, ფონდები, სოციალური კოოპერატივები და სტატუსის მქონე სოციალური საწარმოები) წარმომადგენელი. კვლევა მიზნად ისახავდა შეესწავლა სამომავლო ღონისძიებების მნიშვნელობა და შესაძლებლობება, რომლებსაც განახორციელებს იტალიის ხელისუფლება სოციალური საწარმოების განვითარების მხარდაჭერისთვის. კვლევის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მხარდაჭერის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება დღგ-ს არსებული მინიმალური 4%-იანი განაკვეთის შენარჩუნება, რაც ვრცელდება სოციალურ კოოპერატივებზე. სხვა ინიციატივები, რომლებმაც მნიშვნელობის შეფასების კუთხით

141 Venturi, P. and Zandonai, F., Social enterprise in Italy, executive summary, 2012a, available at http://www.irisnetwork.it/wp-content/uploads/2010/04/exsum_reportiris_socent_1-ENG.pdf, last accessed 17 September 2016.

142 Venturi, P. and Zandonai, F., 2012b. Social Innovation and Social Enterprises: the Italian perspective, available at http://www.aiccon.it/file/convdoc/Social_Innovation_and_Social_Enterprises.pdf, last accessed 17 September 2016.

143 European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Italy, October 2014, p.

მაღალი ქულები (8 ქულაზე მეტი, ათ ქულიანი შკალის ფარგლებში) მიიღეს შემდეგში მდგომარეობს:

- კონკრეტული წინადადებების შემუშავება სოციალური საწარმოებისთვის სახელმწიფო შესყიდვების საკითხში
- რეგიონული სოციალური ფონდების აღდგენა, მათ შორის რეგიონალური ხელისუფლებების მიერ ადგილობრივ დონეზე სოციალური ინიციატივების მხარდასაჭერად ფონდების გამოყოფა; და
- ინოვაციური გამოცდილების მქონე, თვითორგანიზებული არასამეწარმეო სექტორის წახალისება¹⁴⁴

¹⁴⁴Ibid., p. 7.

ლიტვა

სოციალური საწარმოების ლანდშაფტი

სოციალური საწარმოების განმარტება

ლიტვაში „სოციალური საწარმოს“ ცნება სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებს განსხვავებულად ესმით. პოლიტიკოსების უმეტესობა სოციალური მეწარმეობას განმარტავს ვიწრო გაგებით (იურიდიული განმარტების თანახმად, რომელიც ეხება შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოებს), მაშინ, როდესაც სოციალური სექტორის წარმომადგენლები ცდილობენ განმარტონ ეს კონცეფცია უფრო ფართოდ და გულისხმობენ ძირითადად „სოციალურ მეწარმეობას“.

ლიტვაში არსებობს „სოციალური საწარმოების“ სამართლებრივი აღიარება. კანონი სოციალური საწარმოების შესახებ მიიღეს 2004 წელს (შესწორებულია 2011 წელს), რომლის მიხედვითაც „სოციალური საწარმო“ ეს არის ნებისმიერი საწარმო, რომელიც შექმნილია ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად იმ ადამიანებისათვის, რომლებიც შრომის ბაზარზე არათანაბარი პირობებით სარგებლობენ. კანონის შესაბამისად „სოციალური საწარმოების მიზანია სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების მოზიდვა, რომლებიც მითითებულია კანონში და რომლებმაც დაკარგეს თავიანთი პროფესიული და ზოგადი შრომისუნარიანობა, ეკონომიკურად აღარ არიან აქტიურები და შრომის ბაზარზე თანაბარ პირობებში ვეღარ უწევენ კონკურენციას სხვა სუბიექტებს, ამ ადამიანების კვლავ შრომის ბაზარზე დაბრუნება, მათი სოციალური ინტეგრაცია და სოციალური იზოლაციის შემცირება“.¹⁴⁵

კანონი განასხვავებს ორი ტიპის სოციალურ საწარმოს:

1. სოციალური საწარმო, რომლის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის (ერთი წლის განმავლობაში) მინიმუმ 40% არის განსაზღვრული სამიზნე ჯგუფიდან და ამ თანამშრომელთა რაოდენობა არის მინიმუმ 4 (სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნება: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხანგრძლივად უმუშევრები, პირები რომლებსაც საპენსიო ასაკამდე ხუთ

¹⁴⁵ Republic of Lithuania. Law on Social Enterprises. 1 June 2004 No. IX-2251 (as last amended on 1 December 2011 – No. XI-1771, 2011-12-01, Žin., 2011, Nr. 155-7352 (2011-12-20)).

წელიწადზე ნაკლები დარჩათ, მარტოხელა მშობლები,¹⁴⁶ ყოფილი პატიმრები,¹⁴⁷ ნარკოტიკზე დამოკიდებული პირები, რომელთაც გაიარეს რეაბილიტაცია).

2. შშმ პირების სოციალური საწარმოები - თანამშრომლები, რომლებიც განეკუთვნებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამიზნე ჯგუფს და შეადგენენ დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის არანაკლებ 50%-ს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომლებსაც დაუდგინდათ მძიმე ან საშუალო ხარისხის ქმედუნარობა და რომელთა შრომისუნარიანობა არ აღემატება 40%-ს, ან რომლებიც შეფასდნენ, როგორც მაღალი ან საშუალო დონის სპეციალური საჭიროებების მქონე პირები- წლიურად დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის არანაკლებ 40% და ამ თანამშრომლეთა რაოდენობა არის მინიმუმ 4. დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობენ თვეში მინიმუმ 80 საათს.

გარდა ამისა, ორივე ტიპის სოციალური საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ წინაპირობას იმისათვის, რომ მიიღოს სოციალური საწარმოს სტატუსი:

1. კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტები, მისია და ხედვა მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს ადამიანების დასაქმებას, რომლებიც მიეკუთვნებიან მიზნობრივ ჯგუფებს, მათი თანამშრომლების ტექნიკური და სოციალური უნარების განვითარებასა და მათ სოციალურ ინტეგრაციას;

2. კომპანია არ ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც არ წარმოადგენს მხარდაჭერ აქტივობას სოციალური საწარმოებისთვის¹⁴⁸, მთავრობის ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი დოკუმენტაციის განსაზღვრების მიხედვით, ან შემოსავალი ასეთი

¹⁴⁶ დედა (დედობილი) ან მამა (მამობილი) ან ბავშვის კანონიერი მეურვე ან მეურვე, რომელიც მარტო უვლის და ზრდს 8 წლამდე ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (ან აყვანილ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს) 18 წლამდე ასაკის ბავშვს (აყვანილი ბავშვი), ან სხვა ადამიანი, რომელიც ოჯახის ავადმყოფ ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრს უვლის, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობისა და დასაქმების უნარის შემფასებელი ოფისის, რომელიც ლიტვის რესპუბლიკის სოციალური დაცვისა და შრომის სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ ფუნქციონირებს, სპეციალური დახმარების სერვისის მიმღებია, რომლის ბაზაშიც ეს ადამიანი ლოკალური შრომის გაცვლის ოფისის დაარსების შემდეგ 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში დაუსაქმებელადაა დარეგისტრირებული.

¹⁴⁷ ადამიანები, რომლებიც სასჯელადსრულების დაწესებულებიდან დაბრუნდნენ, სადაც ისინი 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იხდიდნენ სასჯელს და დარეგისტრირებულნი იყვნენ ლოკალურ შრომის გაცვლის ინსტიტუტში სასჯელადსრულების დაწესებულებიდან გამოსვლამდე 6 თვემდე ვადის პერიოდში ანუ აღნიშნულ ოფისში მინიმუმ 6 თვის წინ დარეგისტრირდნენ.

¹⁴⁸ აქტივობები, რომელიც არ არის მხარდაჭერილი: 1) ნადირობა, მახის დაგება ან მსგავს აქტივობებთან დაკავშირებული ქმედებები; 2) სამთო მრეწველობა და მადნის მოპოვება; 3) სასმლის წარმოება; 4) თამბაქოს პროდუქტების წარმოება; 5) ბენზინისა და ბირთვული საწვავის წარმოება; 6) გემების წარმოება და შეკეთება; 7) სამშენებლო ან შენობების დასანგრევი ტექნიკის დაქირავება; 8) ტრანსპორტის გაყიდვა, მოტოციკლეტებისა და ავტომობილების საწვავის საცალი გაყიდვა; 9) საბითუმო და საკომისიო ვაჭრობა, მექანიკური ტრანსპორტისა და მოტოციკლეტების გარდა; 10) საცალო ვაჭრობა, მექანიკური ტრანსპორტისა და მოტოციკლეტების გარდა; პერსონალური ან საოჯახო ნივთების შეკეთება; 11) ტრანსპორტირება და შენახვა; 12) ფინანსური შუამავლობა; 13) უძრავი ქონება, გაქირავება; 14) კანონიერი აქტივობები; 15) გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული აქტივობები; 16) ორგანიზაციული ახარტული თამაშები ან სანაძლეოსთან დაკავშირებული აქტივობები; წყარო: Source: Government of the Republic of Lithuania. Decree of the No. 1501 of 29 November 2004 on the approval of a List of non-supported activities of the social enterprises.

საქმიანობიდან საგადასახადო პერიოდისთვის არ შეადგენს საერთო შემოსავლის 20%-ზე მეტს.¹⁴⁹

გარდა იურიდიულად აღიარებული სოციალური საწარმოებისა, არსებობს სხვა კომპანიები და ორგანიზაციები, რომლებიც ფორმალურად არ არიან აღიარებულები როგორც სოციალური საწარმოები, მაგრამ ახორციელებენ სოციალური საწარმოებისთვის დამახასიათებელ საქმიანობებს (დე ფაქტო სოციალური საწარმოები): არასამთავრობო ორგანიზაციები (ასოციაციები, საქველმოქმედო და მხარდაჭერის ფონდები, საჯარო დაწესებულებები), რომლებიც ორიენტირებულნი არიან წარმოებაზე და აქვთ სოციალური მიზანი; და სხვა ორგანიზაციები (მცირე და საშუალო ბიზნესები, სხვა კომპანიები), რომლებიც ჩართული არიან „სოციალურ საქმიანობაში“ ან თავიანთ ბიზნეს მოდელში აკეთებენ „სოციალური მისიის“ ხაზგასმას.¹⁵⁰

აქედან გამომდინარე, სამთავრობო უწყებების მთავარი დაინტერესებული მხარეები სოციალურ საწარმოს განსაზღვრავენ ვიწროდ, როგორც ეს აღწერილია კანონში. გარდა ამისა, სოციალური საწარმოს არსებული სამართლებრივი ცნება, არ შეესაბამება სოციალური საწარმოს ხშირად გამოყენებულ ცნებებსა და მოთხოვნებს. არსებული სამართლებრივი ჩარჩოს შესაბამისად სოციალური საწარმოები არ არიან ვალდებულნი მოგების რეინვესტირება მოახდინონ სოციალურ მიზნებში, არ არსებობს იმის საჭიროება, რომ სოციალური მიზნები მიმართული იყოს კომერციული მიზნებისკენ და უმეტეს შემთხვევაში სოციალური საწარმოები ძლიერ არიან დამოკიდებულნი სპონსორებზე, გრანტებსა და საქველმოქმედო ფონდებზე.¹⁵¹ თუმცა, გარდა იურიდიულად აღიარებული სოციალური საწარმოებისა, კომპანიები, რომლებსაც აქვთ სოციალური საწარმოების გარკვეული მახასიათებლები, მაინც არ არის აღიარებული ლიტვაში. როგორც წესი, ეს არის კერძო ინიციატივები, რომლებიც უმეტესად ფინანსდება ინდივიდუალური პირების მიერ და არა სახელმწიფო ფონდებიდან.

თუ შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად ლიტვაში სოციალური საწარმო განისაზღვრება ვიწროდ, ორიენტირი კეთდება იმ კომპანიებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს და წინაპირობებს ადამიანების დასაქმებისთვის, რომლებიც დაუფლებლნი არიან შრომის ბაზარზე (ძირითადად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები).¹⁵²

2015 წლის აპრილს ლიტვის მთავრობამ დაამტკიცა სოციალური ბიზნესის კონცეფცია,¹⁵³ რომელიც განმარტავს „სოციალურ ბიზნესს“ და უზრუნველყოფს განსხვავებების შეფასებას ზოგადად სოციალურ ბიზნესსა და უკვე დაკანონებულ სოციალურ საწარმოებს შორის, რომელიც რეგულირდება სოციალური საწარმოების შესახებ კანონის მიერ. სოციალური

149 European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Lithuania, October 2014, pp. 1-2, available at <http://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=es&catid=89&newsId=2149>, last accessed 18 September 2016.

¹⁵⁰ Ibid., p. 22.

¹⁵¹ Pečiulaitis R. Ministry of Economy, Project Manager of SME Department. Selected material for scoping Lithuanian case on social enterprises, 2013, cited in European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Lithuania, October 2014.

¹⁵² European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Lithuania, October 2014, pp. 2-3.

¹⁵³ Edict No. 4-207, 3 April 2015, Minister of Economy.

ბიზნესი- ეს არის ბიზნეს მოდელი, რომელშიც ხორციელდება სოციალური ინოვაციები საბაზრო მექანიზმების გამოყენებით, ხოლო მოგება უკავშირდება სოციალურ მიზნებს და პრიორიტეტებს, კომპანიის საქმიანობა ეფუძნება სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელ ბიზნესს და საჯარო-კერძო პარტნიორობას. სოციალური ბიზნესი მოიცავს სამ ძირითად ასპექტს: მეწარმეობა (მუდმივი კომერციული საქმიანობა), სოციალურ მიზნებზე ორიენტირებულობა და მენეჯმენტი (მოგების ლიმიტირებული განაწილება, გამჭვირვალე მართვა).¹⁵⁴

სამართლებრივი ფორმები

ლიტვაში სოციალური მიზნების მქონე ყველა ბიზნესს და არასამთავრობო ორგანიზაციას რომლებიც ოპერირებენ ბიზნეს მოდელით, შეუძლიათ იმოქმედონ, როგორც სოციალურმა საწარმოებმა. თუმცა, იმისათვის რომ იურიდიულად აღიარებული იყვნენ როგორც სოციალური საწარმოები და ჰქონდეთ უფლება მიიღონ სახელმწიფო დაფინანსება და სხვა სარგებელი, სოციალურმა საწარმომ უნდა მიიღოს ცალკე WISE სტატუსი.¹⁵⁵

სოციალური საწარმოს მონაცემები და ფაქტები

2014 წლის ბოლოსთვის ლიტვაში 141 სოციალური საწარმო ოპერირებდა, მათგან 66 იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური საწარმო. 2014 წლის განმავლობაში რვა იურიდიულ პირს მიენიჭა სოციალური საწარმოს სტატუსი. აღნიშნულ პერიოდში, სოციალურ საწარმოებში დასაქმებული იყო 2 635 ადამიანი სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფიდან. 2014 წლის ივნისის მდგომარეობით სოციალურ საწარმოებში ჯამში დასაქმებული იყო 6 093 ადამიანი, მათგან: 4 780 შშმ პირი, 1 309 შეზღუდვის არმქონე პირი (რომელიც არ ღებულობდა სუბსიდიას) და 4 პირი სხვა სამიზნე ჯგუფებიდან (მარტოხელა მშობელი, დიდი ხნით უმუშევარი, ყოფილი მსჯავრდებული). შესაბამისად, შშმ პირები შეადგენდნენ დასაქმებულთა 78,45%-ს, საშუალოდ კი სოციალური ფირმები ასაქმებენ 31 ადამიანს.¹⁵⁶ 2005 წლიდან 2015 წლამდე ლიტვაში არსებული მოქმედი სოციალური საწარმოები 5 ათასზე მეტ ადამიანს დაეხმარნენ სამუშაო ადგილების შენარჩუნებაში, შეიქმნა 771 ახალი სამუშაო ადგილი, მათგან 147 სამუშაო ადგილი შეიქმნა სპეციალურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის (წყარო: Lietuvos Darbo Birza [ლიტვის შრომის ბირჟა]). მონაცემების შეჯამების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სოციალური საწარმოების განვითარება

¹⁵⁴ Avada, VSEMVS, Contemporary Research on Organization Management and Administration, CROMA Journal, ISSN (Online) 2335-7959, p. 19, available at http://journal.avada.lt/images/dokumentai/2015/croma_2015_3.1.pdf, last accessed

¹⁵⁵ European Center for Not-for-profit Law, Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, August 2015, p. 8, available at <http://ecnl.org/wp-content/uploads/2015/10/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>, last accessed 18 September 2016.

¹⁵⁶ A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Lithuania, October 2014, p. 24.

წარმატებულად მიმდინარეობს, რადგან იგი მოიცავს სოციალურად დაუცველ ადამიანებს და ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს.

სოციალური საწარმოების უმეტესობა ლიტვაში ორიენტირებულია დასაქმებაზე. თუმცა, სოციალური საწარმოების მონაწილეობა სოციალური და საჯარო მომსახურებების უზრუნველყოფაში გაცილებით დაბალია, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. საკვანძო ჯგუფი ბენეფიციარებისა არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხოლო სხვა სოციალურად დაუცველი ჯგუფები და ადგილობრივი თემების საჭიროებები ჯერ კიდევ არ მოექცა სოციალური საწარმოების საქმიანობის ყურადღების ცენტრში.¹⁵⁷

მხარდამჭერი სისტემის სტრუქტურა

ინფრასტრუქტურა

სოციალური საწარმოების მხარდაჭერის სისტემას ჰყავს შემდეგი აქტორები:

შრომის და სოციალური დაცვის სამინისტრო (ფინანსური მხარდაჭერა): ემსახურება სოციალური ინკლუზიის მხარდაჭერის, უმუშევრობის პრობლემის გადაჭრას ახალგაზრდებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა მიზნობრივი ჯგუფების შრომითი ინტეგრაციას, სოციალური სერვისების მოდერნიზებას.

ეკონომიკის სამინისტრო (ფინანსური მხარდაჭერა): მეწარმეობის და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროცესისთვის ხელის შეწყობისათვის.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ფინანსური მხარდაჭერა): სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერისთვის სასოფლო თემებში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო (ფინანსური მხარდაჭერა): სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა ურბანულ თემებში.¹⁵⁸

საჯარო პოლიტიკა

2004 წელს ევროკავშირში გაწევრიანებასთან ერთად, ლიტვამ წვდომა მიიღო დახმარების სტრუქტურულ ფონდებთან. მას შესაძლებლობა მიეცა მიეღო დახმარება სოციალური კომპანიებისთვის, სახელმწიფო სუბსიდიების ხარჯზე, ევროპული სოციალური ფონდისგან

157 Moskva, Julia, Social Enterprises as a Tool of Social and Economic Policy. Lithuanian Case, 2013, in ENTREPRENEURSHIP AND SUSTAINABILITY ISSUES, ISSN 2345-0282 (online), <http://jssidoi.org/jesi/aims-and-scope-of-research/>, 2013 Volume 1(1): 45–54, [http://dx.doi.org/10.9770/jesi.2013.1.1\(5\)](http://dx.doi.org/10.9770/jesi.2013.1.1(5)), p. 53.

158 Social Entrepreneurship Support Network of the Baltic Sea Region, Social Enterprise Sector Snapshot Around the Baltic Sea: Stakeholders, Education, Impact Analysis, p. 53, available at <http://kooperationen.dk/media/114998/social-enterprise-sector-snapshot-around-the-baltic-sea-stakeholders-education-impact-analysis.pdf>, last accessed 18 September 2016.

(ESF). სოციალური საწარმოების კანონმა (2004) შექმნა შშმ პირების სოციალური საწარმოების გადარჩენისა და ახალი სოციალური საწარმოების დაარსებისთვის ხელსაყრელი პირობები. გარდა ამისა, შეიცვალა სახელმწიფო დაფინანსების მიღების შერჩევის კრიტერიუმები,¹⁵⁹ რომლებიც უკვე მეტად შეესაბამებოდა ამ ტიპის კომპანიებს.¹⁶⁰

ლიტვაში არსებობს ორი კანონი, რომლებიც განსაზღვრავს სოციალურად დაუცველი პირების სახელმწიფო მხარდაჭერას: დასაქმების მხარდაჭერის კანონი¹⁶¹ და სოციალური საწარმოების კანონი. ლიტვაში ეს არის ძირითადი კანონები დამსაქმებლების მხარდასაჭერად, რომლებიც სამუშაოდ იღებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და სხვა სამიზნე ჯგუფების წევრებს (მათ შორის ხანგრძლივი დროით უმუშევრები, საპენსიო ასაკთან მიახლოებული ადამიანები, ყოფილი პატიმრები, მარტოხელა მშობლები და წამალზე დამოკიდებული პირები). კერძო და საჯარო სექტორის დამსაქმებლები იღებენ მხარდაჭერას დასაქმების კანონის (2006) 26-ე მუხლის თანახმად, რომელიც სთავაზობს ხელფასის სუბსიდირების სქემას და ეფუძნება სამუშაო საათების რაოდენობას, ლიტვის მინიმალურ საათობრივ ანაზღაურებას.

სოციალური საწარმოების კანონის მე-13 მუხლის თანახმად, შესაბამის კომპანიებს, თავიანთი სტატუსიდან გამომდინარე, აქვთ სახელმწიფო მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა (დაფინანსების სქემები). ყველა სოციალურმა საწარმომ შეიძლება მიიღოს კონკრეტული ტიპის სახელმწიფო დახმარება, ასევე სხვა ტიპის სახელმწიფო დახმარება, განსაკუთრებით შშმ პირების სოციალურმა საწარმოებმა.

სოციალური საწარმოებისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი სახის სახელმწიფო დახმარებები (სოციალური საწარმოების კანონის შესაბამისად):

სოციალური საწარმოები (სოციალური საწარმოები და შშმ პირების სოციალური საწარმოები):

- ხელფასის და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანის ნაწილობრივი ანაზღაურება
- სუბსიდირება შშმ პირებისთვის სამუშაო ადგილების შექმნის, გარემოს ადაპტირებისათვის და ადაპტირებული სამუშაო ალჭურვილობის შექმნისთვის
- თანამშრომელთა, რომლებიც მიეკუთვნებიან კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებს, გადამზადებისთვის ხარჯების სუბსიდირება.

დამატებითი სახელმწიფო დახმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური საწარმოებისთვის:

¹⁵⁹Until 2004 there were about 20 organisations of the disabled, which could be established only by public institutions, received funding only from state budget depending on organisation's energy costs and on the total amount of social security contributions paid. There were no preconditions created to establish other type of enterprise.

European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Lithuania, October 2014, p. 4.

¹⁶⁰Republic of Lithuania. Law on Employment Support. 15 June 2006 No. X-694 (last amended on 12 December 2013 – No. X-694).

¹⁶¹Republic of Lithuania. Law on Employment Support. 15 June 2006 No. X-694 (last amended on 12 December 2013 – No. X-694).

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამუშაო გარემოს, შენობის და მოსასვენებელი ოთახების ადაპტირებისთვის ხარჯების სუბსიდიება
- დამატებითი ადმინისტრაციული და სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება
- ასისტენტის ხარჯების სუბსიდირება (ქესტების ენის თარჯიმანი).¹⁶²

ხელფასის და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანების ნაწილობრივი ანაზღაურება დამოკიდებულია თანამშრომელთა შეზღუდული შესაძლებლობების ხარისხზე და განსაკუთრებულ საჭიროებებზე და მერყეობს 60-დან (შეზღუდული შესაძლებლობის საშუალო და სპეციალური საჭიროების დაბალი ხარისხი) 75 პროცენტამდე (შეზღუდული შესაძლებლობების ძალზედ დიდი და სპეციალური საჭიროების მაღალი ხარისხი). თანამშრომლებს, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვა სამიზნე ჯგუფს შეუძლიათ მიიღონ ხელფასის ნაწილობრივი ანაზღაურების და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანის 50%-იანი შეღავათი.

იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანამშრომლის შრომისუნარიანობა 45-დან 55 პროცენტის ფარგლებშია, დამსაქმებელს აქვს უფლება მიიღოს ფიქსირებული სუბსიდია 12 თვემდე ვადით და ბონუსი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანისთვის. სუბსიდიის თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს ორი თვის მინიმალურ ხელფასს, რაც სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებულია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. დამსაქმებელს, რომელიც დროებით ასაქმებს შშპ პირს, შესაძლებლობა აქვს მიიღოს ხელფასის სუბსიდია და ბონუსი მაქსიმუმ 3 თვით. დამსაქმებელს, რომელიც მუდმივად ასაქმებს შშპ პირს, შესაძლებლობა აქვს მიიღოს მუდმივი ხელფასის სუბსიდია და ბონუსი რა პერიოდის განმავლობაშიც შშპ პირი იქნება დასაქმებული.

დამსაქმებლებს, რომლებიც სამუშაოდ იღებენ პირებს სხვა მიზნობრივი ჯგუფებიდან, უფლება აქვთ მიიღონ სახელმწიფო სუბსიდია მათი დასაქმებისთვის, 12 თვის განმავლობაში; თუ მათი უმუშევრობა შრომის ტერიტორიულ ბაზარზე რეგისტრირებულია და არ აღემატება 2 წელიწადს. ამ შემთხვევაში პიროვნება შეიძლება მხარდაჭერილი იქნეს 24 თვის განმავლობაში მისი დასაქმების შემდეგ.

მუდმივი შრომითი ხელშეკრულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანამშრომელთან შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი დაასაბუთებს, რომ თანამშრომლის “შენახვა” იმოქმედებს კომპანიის რესურსებზე. შტატების შემცირების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანამშრომლის გაფრთხილება ხდება წინასწარ ოთხი თვით ადრე (ნაცვლად ორი თვისა). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანამშრომლებს ასევე წლიურად აქვთ ხუთ კვირიანი ანაზღაურებადი შვებულება (ნაცვლად ოთხისა) და საშემოსავლო გადასახადზე სარგებლობენ ბონუსებით.¹⁶³ როგორც შეზღუდული

¹⁶²Sources: Republic of Lithuania. Law on Social Enterprises. 1 June 2004 No. IX-2251 (as last amended on 1 December 2011 – No. XI-1771, 2011-12-01, Žin., 2011, Nr. 155-7352 (2011-12-20)) cited in European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Lithuania, October 2014, p. 8.

¹⁶³ European Blind Union. Information for countries: Lithuania. Work and Employment - Article 27. <http://www.euroblind.org/convention/article-27--work-and-employment/nr/130> cited in European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Lithuania, October 2014, p. 9.

შესაძლებლობის მქონე თანამშრომლებს, ასევე თვითდასაქმებულ შშმ პირებს შეუძლიათ მიიღონ ბონუსები საშემოსავლო გადასახადებსა და სოციალური დაზღვევის შენატანებზე.

ლიტვის მთავრობა სთავაზობს ბონუსს (ერთჯერადი თანხა) ყოველი ახალი პოზიციის შექმნისთვის. სამუშაო ადგილის შექმნისთვის სუბსიდია მერყეობს საერთო ხარჯის 65 პროცენტიდან (ზომიერი შეზღუდული შესაძლებლობები / სპეციალური საჭიროებების დაბალი ხარისხი) 80 პროცენტამდე (მალიან მძიმე შეზღუდული შესაძლებლობები / სპეციალური საჭიროებების მაღალი ხარისხი). თუმცა, სუბსიდია არ შეიძლება აღემატებოდეს მთავრობის მიერ არსებულ პერიოდში მოქმედი მინიმალური ხელფასის ორმოცმაგ ოდენობას.¹⁶⁴

სუბსიდები იმ თანამშრომლების გადამზადებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებიან სამიზნე ჯგუფებს, შემდეგნაირად ნაწილდება: (1) ზოგადი ტრენინგი¹⁶⁵ - საჭირო ხარჯების 60 პროცენტი; (2) სპეციალური ტრენინგი¹⁶⁶ - საჭირო ხარჯების 35 პროცენტამდე. სუბსიდია შეიძლება გაიზარდოს 10 პროცენტით საშუალო ზომის საწარმოების შემთხვევაში და 20 პროცენტით, თუ დახმარება განკუთვნილია მცირე ზომის კომპანიებზე.

კანონი "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის შესახებ" (2004), რომელიც არეგულირებს პროფესიულ რეაბილიტაციას და სწავლებას, ვრცელდება აგრეთვე თვითდასაქმებულ შშმ პირებზეც. ამდენად, მათ შეუძლიათ მიიღონ გრანტი ტრენინგისა და ქოუჩინგისთვის, რომელიც ეხება თვითდასაქმების ბიზნეს პროექტებს.¹⁶⁷

სუბსიდია შშმ პირის სამუშაო გარემოს, საწარმოო შენობებისა და მოსასვენებელი ოთახების ადაპტირებისთვის მერყეობს საერთო ხარჯების 70-დან 80 პროცენტამდე, რაც აუცილებელია ამ მიზნისთვის და დამოკიდებულია შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საჭიროებების ხარისხზე. სუბსიდია არ შეიძლება აღემატებოდეს მთავრობის მიერ არსებულ პერიოდში მოქმედი მინიმალური ხელფასის ექვსმაგ ოდენობას და შეიძლება მიენიჭოს ყოველ 36 თვეში ერთხელ.

სუბსიდია ადმინისტრაციული და სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე არ უნდა აღემატებოდეს ამ საერთო ხარჯების რაოდენობის 70 პროცენტს. სუბსიდია ასისტენტის (ქვსტების ენის თარჯიმანი) ხარჯების ასანაზღაურებლად დამოკიდებულია შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საჭიროებების ხარისხზე და შეიძლება მერყეობდეს მინიმალური საათობრივი ანაზღაურების 20-დან 40 პროცენტამდე, რომელიც სუბსიდიის

¹⁶⁴ Social enterprises. Information provided at the website of the Ministry of Social Security and Labour. - <http://www.socmin.lt/lt/darbo-rinka-uzimtumas/uzimtumo-ir-darbo-z6qc/socialines-imonos.html> cited in European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Lithuania, October 2014, p. 9.

¹⁶⁵ ტრენინგი, რომელიც ადამიანის მიერ შესრულებული სამუშაოს ტიპთან და სოციალურ საწარმოში მის მიერ დაკავებულ პოზიციასთან არ არის კავშირში ან ტრენინგი, რომელიც ზრდის ადამიანების კომპეტენციას, რათა მათ სხვა სამსახურში შეძლონ დასაქმება.

¹⁶⁶ ტრენინგი, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული ადამიანის მიერ შესრულებული სამუშაოს ტიპთან და რომელიც დამსწრე ანიჭებს კომპეტენციას, რომელიც მხოლოდ ამ კონკრეტული კომპანიისთვის არის რელევანტური და არ მიემართება სხვა კომპანიის სპეციფიკას.

¹⁶⁷ European Blind Union, Information for countries: Lithuania. Work and Employment - Article 27. <http://www.euroblind.org/convention/article-27-work-and-employment/nr/130> cited in European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Lithuania, October 2014, p. 9.

გაცემის მომენტისთვის არსებობს, დამტკიცებულია მთავრობის მიერ და უტოლდება შპმ თანამშრომელის მიერ დახარჯულ რეალურ დროს.

სოციალური საწარმოების კანონის 22-ე მუხლი, რომელიც უფუძნება ევროკავშირის სტანდარტებს, აწესებს რომ სახელმწიფო დახმარების მთლიანი თანხა, რომელსაც გასცემს თითოეულ კომპანიაზე არ უნდა აღემატებოდეს 51.75 მილიონ ლიტს (€14.99 მილიონი) მომდევნო სამი წლის განმავლობაში, ხოლო ერთი წლის განმავლობაში 17.25 მილიონ ლიტს (€4.99 მილიონი). პროფესიონალური მომზადებისთვის სახელმწიფო დახმარება არ უნდა აღემატებოდეს 6.9 მილიონ ლიტს (€1.99 მილიონი) ერთ სასწავლო პროექტზე. თუმცა, ლიტვის კონტექსტში, ეს მაჩვენებელი ძალიან მაღალია, ვინაიდან მთავრობის საერთო ხარჯები სოციალური საწარმოებისთვის 2013 წელს შეადგენდა 44.03 მილიონ ლიტს (€12.75 მილიონი).

გარდა სახელმწიფო მხარდაჭერის სქემებისა, სუბსიდიების სახით (სახელმწიფო დახმარება) სოციალურ საწარმოებს შეუძლიათ მიიღონ სახელმწიფო მხარდაჭერა სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, მათ შორის მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერის ფარგლებში, ასევე სოციალური პროგრამებიდან, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მონეტარული ფონდებიდან. ლიტვის კორპორატიული სამემოსავლო გადასახადის კანონის (მიიღეს 2001 წელს და შესწორდა 2013 წელს)¹⁶⁸ მე-5 მუხლის თანახმად, სოციალური საწარმოები სარგებლობენ ნულოვანი საგადასახადო პირობებით, თუ ერთობლივად შესრულდება შემდეგი პირობები:

- საგადასახადო პერიოდის განმავლობაში, სოციალურად დაუცველი თანამშრომლების რაოდენობა არ უნდა იყოს 40%-ზე ნაკლები
- საგადასახადო პერიოდის განმავლობაში, ორგანიზაციამ არ უნდა განახორციელოს საქმიანობა, რომელსაც არ გააჩნია მხარდაჭერა კანონის შესაბამისად ან ასეთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ უნდა აღემატოს 20%-ს
- საგადასახადო პერიოდის ბოლო დღეს, სუბიექტებს უნდა ჰქონდეთ სოციალური საწარმოების სტატუსი.

ლიტვის სახელმწიფო შესყიდვების 91-ე მუხლის შესაბამისად (მიიღეს 1996 წელს და შესწორდა 2013 წელს),¹⁶⁹ შესყიდვები სოციალური საწარმოებისგან შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული წესით. გარდა ამისა, სახელისუფლებო ორგანოებმა გამარტივებული შესყიდვების დროს, შესყიდვების მთლიანი ღირებულების მინიმუმ 5% უნდა შეიძინონ სოციალური საწარმოებისგან (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სოციალური საწარმოების ჩათვლით). ერთი მხრივ, ეს აიოლებს სოციალური საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქტების და მომსახურებების გაყიდვას. მეორე მხრივ, ეს არის სისტემის მთავარი ნაკლოვანება - ის ქმნის გაცილებით სასარგებლო პირობებს სოციალური საწარმოებისთვის და ამახინჯებს საბაზრო პირობებს.

¹⁶⁸ Republic of Lithuania. Law on Corporate Income Tax. 20 December 2001 No. IX-675 (last amended on 12 December 2013 – No. IX-675).

¹⁶⁹ Republic of Lithuania. Law on Public Procurement. 13 August 1996 No. I-1491 (last amended on 22 October 2013 – No. I-1491).

ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების მართვის, გამოყენების და განკარგვის კანონის 13-ე მუხლი (მიღებული 1998 წელს და შესწორებული 2013 წელს)¹⁷⁰ ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო და მუნიციპალური შენობები შეიძლება დროებითი გამოყენებისა და განკარგვისთვის უფასოდ გადაეცეთ სოციალურ საწარმოებს. ხარჯები, რომლებსაც სოციალური საწარმოები დაზოგავენ შენობების უფასო გამოყენებისთვის, ითვლება რეალურ სახელმწიფო დახმარებად.

გარდა ამისა, სოციალურ საწარმოებს უფლება აქვთ მიიღონ უფასო ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ინსტიტუტებისგან. სოციალურ საწარმოებს ისევე, როგორც სხვა იურიდიულ პირებს თანაბრად შეუძლიათ ისარგებლონ სხვა პრივილეგიებით ლიტვის კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

2008 წლიდან სახელმწიფო სუბსიდიების მნიშვნელოვანი ნაწილი ფინანსდება ESF ფონდიდან. ძირითადი განსხვავება სახელმწიფო ხარჯებს შორის არის ის, რომ ESF ფონდის თანხები გამოიყენება ხელფასის ნაწილობრივი ანაზღაურებისთვის და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანისთვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მათი დამხმარებისთვის, რომლებიც მუშაობენ სოციალურ საწარმოებში. ყველა დანარჩენი სუბსიდია გამოიყენება ხელფასის ნაწილობრივი ანაზღაურებისთვის და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანისთვის (თანხების მცირე ნაწილი გამოიყენება ამ მიზნისთვის) ასევე სამუშაო ადგილების ადაპტაციისა და შენარჩუნებისათვის, თანამშრომლების ტრენინგისთვის, სატრანსპორტო და სოციალური საწარმოების სხვა ადმინისტრაციული ხარჯებისთვის. გარდა ამისა, სოციალურ საწარმოებს ისევე, როგორც სხვა სამართლებრივ სუბიექტებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა კონკურსებში, ტენდერებში და მიიღონ გრანტები ESF ან ERDF ფონდებისგან და სერვის კონტრაქტები თავიანთი პროექტების განსახორციელებლად.

თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილი სარგებელი და სუბსიდიები არ ვრცელდება ნებისმიერ სხვა ორგანიზაციაზე, რომელსაც აქვს სოციალური მიზნები, მაგრამ არ არის აღიარებული იურიდიულად როგორც "სოციალური საწარმო".

სოციალურ კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ მხარდაჭერა მიიღონ დამწყებ/საწყის ეტაპზე სუბსიდიების შემდეგი სქემის ფარგლებში: სამუშაო ადგილის შექმნისთვის, შშმ პირისთვის სამუშაო ადგილის ადაპტირებისთვის, ასევე მათი სამუშაო ადგილზე სუბსიდიების შემენა/ადაპტირებისთვის; ასევე შშმ პირებისთვის სამუშაო გარემოს, საწარმოო შენობების და მოსასვენებელი ოთახების ადაპტირებისთვის. გარდა ამისა, სოციალურ კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ მხარდაჭერა მიიღონ ბიზნესისგან. მაგალითისათვის, ადამიანური რესურსების განვითარების #1 პრიორიტეტის შესაბამისად სამიზნე ჯგუფის თანამშრომლების

¹⁷⁰ Republic of Lithuania. Law on State and Municipal Property Management, Use and Disposal, 12 May 1998 No. VIII-729 (last amended on 25 June 2013 – No. VIII-729).

ზოგიერთი ტრენინგი (უმთავრესად პროფესიული უნარების გაუმჯობესებისკენაა მიმართული) ESF-ის დაფინანსებით ორგანიზდა.¹⁷¹

სოციალური საწარმოები საჯარო დახმარებას ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოებისგან იღებენ 2012 წლის 9 მარტის კანონის შესაბამისად, რომელიც დაამტკიცა სოციალური დაცვის და შრომის მინისტრმა № A1-135 ბრძანების საფუძველზე. თითოეულ შემთხვევაში, საჯარო და ადგილობრივი ორგანო ხელს აწერს სახელმწიფო დახმარების ფარგლებში გაცემული გრანტის განკარგვის პროცედურებს.

2014 წლის მანძილზე სახელმწიფო დახმარების სახით გამოიყო 53.8 მილიონი ლიტი (€15.5 მილიონი), რომლიდანაც:

- 19.2 მილიონი ლიტი (€5.5 მილიონი) იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან
- 34.6 მილიონი ლიტი (€10 მილიონი) დაფინანსებული იყო ESF ფონდიდან:
- სახელფასო და სოციალური დაზღვევის შენატანის სუბსიდიები - 51.9 მილიონი ლიტი (€15 მილიონი) (მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 17.6 მილიონი ლიტი)
- 1.3 მილიონი ლიტი (€376 000) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადანაწილდა გრანტების სახით ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის და მათთვის საჭირო ტექნიკით უზრუნველყოფისთვის
- 204 000 ათასი ლიტის (€59 100) სუბსიდია სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სამუშაო ადგილების შენარჩუნებისთვის და მათი სამუშაო აღჭურვილობის შეძენა/ადაპირებისათვის იქნა გაცემული
- 28 000 ლიტის (€8 100) სუბსიდია გაიცა დამატებითი ადმინისტრაციული ხარჯებისთვის
- 1 736 000 ლიტის (€502 800) სუბსიდია გაიცა სატრანსპორტო ხარჯებისთვის
- 3 038 000 ლიტის ოდენობს (€879 800) სუბსიდია გაიცა ასისტენტის ხარჯებისთვის (ყესტების ენის თარჯიმანი) (რომლიდანაც 744 000 ლიტი იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან) (ლიტვის რესპუბლიკის სოციალური დაცვის და შრომის სამინისტროს 2014 წლის მოხსენების თანახმად).¹⁷²

2014 წლის განმავლობაში მხარდაჭერა მიიღო და დაფინანსდა 139 სოციალური საწარმო (ჯამში). 2014 წელს 10-მა სოციალურმა საწარმომ მიიღო National Responsible Business Awards-ის ჯილდო, თავიანთი მიღწევებისთვის 2013 წელს, პასუხისმგებლიანი პრაქტიკის ხელშეწყობისთვის და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისთვის.¹⁷³

2007-2013 წლების ფინანსურ პერიოდში სოციალურ საწარმოებს და სხვა მცირე და საშუალო ზომის ბიზნეს წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ გრანტები შემდეგი პროგრამების ფრგლებში:

¹⁷¹European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Lithuania, October 2014, pp. 8-12.

¹⁷²Avada, VSEMVS, Contemporary Research on Organization Management and Administration, CROMA Journal, ISSN (Online) 2335-7959, p. 17.

¹⁷³ibid., p. 16.

- Operational Programme for the Economic Growth for 2007–2013 (2007-2013 წლების ეკონომიკური ზრდის პროგრამა) (ბიზნესის მხარდაჭერა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება);
- Operational Programme for the Development of Human Resources for 2007–2013 (2007-2013 წლების ადამიანური რესურსების განვითარების პროგრამა), #1 პრიორიტეტი „დასაქმება და სოციალური ინკლუზია“, მიღებულ იქნა ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს დასაქმებას და სოციალური ექსკლუზიის შემცირებას, უნარ-ჩვევების და კომპეტენციების განვითარებას. იმ ღონისძიებების უმეტესობა, რომლებიც ფინანსდებოდა ESF ფონდიდან, ასევე ხელმისაწვდომი იყო სოციალური საწარმოებისთვის.
- Operational Programme for the Promotion of Cohesion for 2007–2013 (სამოქმედო პროგრამა ერთობის გაძლიერებისთვის 2007-2013 წლებში, პრიორიტეტი 2 „საჯარო მომსახურების ხარისხი და ხელმისაწვდომობა“, ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდის გრანტები (ERDF) ხელმისაწვდომი იყო სოციალურ საწარმოებისთვის, პროფესიული რეაბილიტაციის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის შენაერთების ტექნიკური დახმარების, ინტეგრაციის ცენტრების ინფრასტრუქტურისა და ჟესტების ენის და სხვა საკითხების განვითარებისათვის. გარდა ამისა, სოციალურმა საწარმოებმა ისარგებლეს სხვა პროგრამებით, რომლებიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, ადგილობრივ და ურბანული თემებში, რეგიონალური თანამშრომლობისთვის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისთვის.

2014-2020 წლებში დაგეგმილია დაფინანსება Operational Programme of the EU Structural Funds Investment ფარგლებში: განიხილება ცალკე პრიორიტეტები მცირე და საშუალო ბიზნესების კონკურენტუნარიანობის განვითარებისთვის (პრიორიტეტი 3), დასაქმების ხელშეწყობა და შრომის ბაზარზე მონაწილეობა (პრიორიტეტი 7), სოციალური ინკლუზიის გაზრდა და ბრძოლა სიღარიბის წინააღმდეგ (პრიორიტეტი 8) და ა.შ.

სოციალურ საწარმოებს, რომლებიც არიან მცირე ან საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, შეუძლიათ გამოიყენონ ფინანსური ინსტრუმენტები ბიზნესის გაფართოებისთვის, რომელსაც ადმინისტრირებას უწევს ლიტვის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო იმავე პირობებით, რომლებითაც სხვა იურიდიული პირები. 2007-2013 წლების ეკონომიკური ზრდის პროგრამის ფარგლებში (მეწარმეობის მხარდაჭერა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება) შემუშავდა ფინანსური ინჟინერიის (financial engineering)¹⁷⁴ და სხვა ინსტრუმენტები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.¹⁷⁵ ასეთი ინსტრუმენტების უპირატესობას წარმოადგენს დაბრუნებადი ინვესტიციები, რომლის გამოყენება კვლავ შეიძლება იმავე მიზნებისათვის, რათა ხელი შეეწყოს მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებას.¹⁷⁶

¹⁷⁴<http://www.investopedia.com/terms/f/financialengineering.asp>

¹⁷⁵ Ministry of Economy. Financial instruments for business expansion. -

http://www.ukmin.lt/web/en/eu_support/2007_2013_EU_assistance/financial_instruments cited in European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Lithuania, October 2014, p. 17.

¹⁷⁶ A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Lithuania, October 2014, p. 17.

ფინანსური ინჟინერიის და სხვა შესაბამისი ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა მცირე და საშუალო ბიზნესებისათვის (მათ შორის სოციალური საწარმოები) ლიტვაში:

ბიზნესის გაფართოების კრედიტები შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად:

- Small Credits II ფაზა- მცირე სესხები 350 000 ლიტამდე (დაახლოებით €100 000) გათვალისწინებული მცირე და საშუალო ბიზნესისთვის
- Open Credit Fund (OCF)- ოპერირებს როგორც ღია საკრედიტო ფონდი ფინანსურ შუამავლებთან (ბანკებთან), რომლებიც გასცემენ კრედიტებს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებზე. ბანკებმა OCF-სგან შეიძლება მიიღოს კრედიტის საერთო თანხის მაქსიმუმ 75%; შერჩეულმა ბანკებმა კრედიტებზე უნდა გააკეთონ 25%-იანი შენატანი საკუთარი სახსრებიდან. მცირე და საშუალო ბიზნესების სუბიექტებზე კრედიტები შეიძლება გაიცეს საბრუნავი კაპიტალის გაზრდის და განვითარებისთვის. OCF-ის მიერ გაცემული კრედიტი არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მილიონ ლიტს (€0.44 მილიონი ევრო)
- Funded Risk Sharing Product: კრედიტები 16.5 მილიონ ლიტამდე (€4.78 მილიონი), ძირითადად გაიცემა კარგად ფუნქციონირებად მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტებზე, რომლებიც არიან ნორმალური საკრედიტო რისკის სპექტრში. კრედიტები გაიცემა ინვესტირების და საბრუნავი თანხების გაჩენის მიზნით, თუ ეს გამოიწვევს კომპანიის განვითარებას. სესხები იმართება კომერციული ბანკების მეშვეობით.

სარისკო კაპიტალის ინსტრუმენტები ხორციელდება შემდეგი სამი ფონდის მეშვეობით:

- Risk Capital Fund: 2010 წელს დაარსდა სარისკო კაპიტალის ორი ფონდი: ლიტვის მცირე და საშუალო ბიზნესების ფონდი («BaltCap») და „LitCapital I“. ეს ფონდები ხელს უწყობს ლიტვის მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების, რომლებსაც აქვთ განვითარების პოტენციალი, დაფინანსებას მათი დაარსებისა და განვითარებისთვის. კრედიტების გაცემის სანაცვლოდ ფონდი იღებს 10.35 მილიონ ლიტამდე ღირებულების აქციას (€3 მილიონი) (მათ შორის კერძო ინვესტორების საერთო ინვესტიციების 30 პროცენტი)
- Co-Investment Fund (Business Angels): თანა-ინვესტირების ფონდი (ბიზნეს ანგელოზები) დაარსდა 2010 წელს და ინვესტირებას ახდენს ინდივიდუალური ინვესტორებთან ერთად თანაბარი წილითა და ერთნაირი პირობებით 1.38 მილიონ ლიტამდე (€0,4 მილიონი) ერთ მცირე და საშუალო ზომის ბიზნეს სუბიექტზე. მათი სამიზნე ჯგუფებში შედიან საექსპორტო ბაზრებზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები, რომლებსაც ჰყავთ ძლიერი და წარმატებული მმართველი გუნდი
- Seed and Venture Capital Fund: აერთიანებს დამწყებ და სარისკო კაპიტალის ინდივიდუალურ ფონდებს, რომელებსაც მართავს ერთი ფონდის მენეჯერი, ამასთან ერთად დამწყები ფონდი (Seed Fund) აფინანსებს მხოლოდ საწყის კაპიტალს, ხოლო სარისკო კაპიტალის ფონდი (Venture Capital Fund) აფინანსებს როგორც საწყის კაპიტალს, ასევე სტარტაპს და გაფართოებას. დამწყები ფონდის ინვესტიცია ერთ საწარმოში არ უნდა აღემატებოდეს 690 560 ლიტს (€200 000) და სარისკო კაპიტალის ფონდის ინვესტიცია არ უნდა აღემატებოდეს 5.17 მილიონ ლიტს (€1.5 მილიონი) დროის ნებისმიერ მონაკვეთში 12 თვის განმავლობაში.

არსებობს ბიზნესის განვითარების გარანტიის სამი სახე:

- **Guarantee Fund: INVEGA¹⁷⁷** საკრედიტო ორგანიზაციებს აძლევს კრედიტის ანაზღაურების გარანტიას ყველა ძირითადი სესხის 80 პროცენტამდე. დარჩენილი ნაწილი გარანტირებულია დამატებითი უზრუნველყოფით, რომელიც უძრავი ქონების სახით შემოთავაზებულია მეწარმის მიერ, რომელიც ამ უკანასკნელს საკრედიტო ფონდებისგან იძენს
- **Portfolio Guarantees:** ვინაიდან მცირე და საშუალო ბიზნესი სათანადო უზრუნველყოფის სიმცირისა და მაღალ რისკ ჯგუფში ყოფნის გამო ხშირად აწყდება ფინანსების ხელმისაწვდომობის პრობლემას, ამ ინსტრუმენტის მიზანია საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით მცირე და საშუალო ბიზნესის სესხებით მხარდაჭერა. ეს გარანტიები იმართება კომერციული ბანკების მიერ
- **Portfolio Guarantees for Leasing:** ფინანსური გარანტია (ლიზინგით 80 პროცენტამდე) რომელიც მოიცავს ახალი მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების სალიზინგო პორტფოლიოს დანაკარგებს (ერთ SME-ზე 6.47 მილიონ ლიტამდე, €1.87 მილიონი).

საგრანტო საპროცენტო განაკვეთის კომპენსაცია- ეროვნული ინსტიტუტი INVEGA ადმინისტრირებას უწევს სესხის პროცენტის დაფინანსებას და მხოლოდ INVEGA-ს კრედიტებს აქვთ სესხის პროცენტის კომპენსაციის გარანტია. მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების გადახდილი სესხის პროცენტის 50% ექვემდებარება კომპენსაციას (95% მეწარმეობის მხარდაჭერის ფონდის კრედიტებისთვის), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს წლიურ 5 პროცენტს. იმისათვის, რომ სუბიექტი კვალიფიცირდეს სესხის პროცენტის ნაწილობრივ კომპენსაციაზე, თანხის ძირითადი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2.5 მილიონ ლიტს (€0.72 მილიონი).

გარდა ამისა, INVEGA ოპერირებას უწევს დასაქმების ხელშეწყობის ფონდს,¹⁷⁸ რომლის მიზანია ხელსაყრელი პირობები შექმნას მიკრო და მცირე საწარმოებისთვის, კერძო პირებისთვის, რათა დაიწყონ თავიანთი საკუთარი ბიზნესი და ასევე სოციალურ საწარმოებისთვის ბიზნესის ფინანსური ინჟინერიის ინსტრუმენტის გამოყენებით განვითარებისთვის. ის ხელს უწყობს მეწარმეობის განვითარებას, თვითდასაქმებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. სესხის ან სესხის პროცენტის ნაწილობრივი ანაზღაურება (პროცენტის თანხის 95%) და სახელფასო სუბსიდიები კომბინირებულია დამწყები ბიზნესმენების გადამზადებითა და კონსულტაციებით, რომლებიც ხელს უწყობს ბიზნეს გეგმების განვითარებას და განხორციელებას. შედავითანი სესხები ხელმისაწვდომია 86 000 ათას ლიტამდე (€24 900 ევრო) ყოველგვარი ადმინისტრაციული ხარჯების გარეშე. მიმდინარე

177 INVEGA -სთან დაკავშირებული აქტივობების მიზანი ლიტვაში SME-ს განვითარების პრომოუტირებაა, რათა მათ ფინანსურ წყაროებზე ხელმისაწვდომობა გაუადვილდეთ. INVEGA გამოყოფს ე.წ რბილ სესხებს (მცირე ოდენობის სესხებს, მიკრო სესხებს და ადმინისტრირებას უწევს სესხის გაცემის სხვა საკითხებს) ახალგაზრდა ბიზნესმენების start up-ებისთვის, უზრუნველყოფს გარანტიებს, სოციალური კაპიტალის ინვესტირებას, სესხის საპროცენტო განაკვეთის ნაწილობრივ დაფინანსებას. გარდა ამისა, მხარდაჭერას უცხადებს პირველი სამსახურის მაძიებელ ახალგაზრდებს, ახორციელებს ფინანსური ინჟინერიის გაზომვებს და ასრულებს სხვა დაკისრებულ ფუნქციებს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: : <http://www.invega.lt/en.htm>.

178 INVEGA. Entrepreneurship Promotion Fund. - <http://www.invega.lt/paslaugos/lengvatines-paskolos/verslumo-skatinimo-fondas.htm>.

პროექტის ფარგლებში შეღავათიანი სესხები ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის სექტემბრის ბოლომდე. კვალიფიციური კანდიდატები ორიენტირებულნი უნდა ყოფილიყვნენ მოგებაზე, შესაბამისად ასოციაციებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ შეეძლოთ განაცხადის გაკეთება. არსებულ სოციალური საწარმოთა უმეტესობა მოგებაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მათ აქვთ უფლება გააკეთონ განაცხადი. მიკრო სესხების ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ლიტვის ცენტრალური საკრედიტო კავშირი, რომელიც არის საკრედიტო ორგანიზაცია და წარმოადგენს კოოპერატივის საფუძველზე არსებულ საკრედიტო ინსტიტუციას, რომელიც დაფუძნებულია იურიდიული პირების, საკრედიტო კავშირების და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობის მიერ.¹⁷⁹

დაფინანსების სისტემის დადებითი და უარყოფითი ეფექტები

სახელმწიფო დახმარება (სუბსიდიის სახით) საგადასახადო წახალისება და შეღავათები შესყიდვების პროცესში განისაზღვრება როგორც ყველაზე დიდი შესაძლებლობა სოციალური საწარმოებისთვის.¹⁸⁰ თუმცა, ამჟამად ზოგიერთი სოციალური საწარმოს მუშაობა უფრო მეტად ეკონომიკურ ასპექტებზეა ორიენტირებული, ვიდრე სოციალურ მიზნებზე (სხვა საქმიანი კომპანიების ანალოგიურად) თუმცა მათ ბევრად უკეთესი ხელმისაწვდომობა აქვთ სახელმწიფო დაფინანსებაზე და საგადასახადო შეღავათებზე.¹⁸¹

მიუხედავად 2011 წელს განხორციელებული შესწორებებისა, კანონი ჯერ კიდევ გარკვეული ხარვეზებით მუშაობს. ძირითადი მიზეზები, რის გამოც სოციალური საწარმოების ამჟამინდელი ვითარება ჯერ კიდევ განიხილება საზოგადოებაში არის შემდეგი:

- სოციალურ საწარმოებში მხარდაჭერილი თანამშრომლების მუდმივად მზარდი რაოდენობის გამო სუბსიდიებზე მოთხოვნა უფრო იმატებს. 2004 წელს კანონის მიღების შემდეგ, რეგისტრირებული სოციალური საწარმოების რაოდენობა ხუთჯერ გაიზარდა, ხოლო მათი თანამშრომლების რაოდენობა - შვიდჯერ. სახელმწიფო სუბსიდიები 10 წლის განმავლობაში გაიზარდა 20-ჯერ (1.96 მილიონი ლიტიდან (€570 000) 2004 წელს 40 მილიონ ლიტზე მეტი (€11,58 მილიონი) დაგეგმილი 2014 წელს. 2008 წლიდან ამ სუბსიდიები დიდი ნაწილი გამოიყოფა ESF ფონდის თანხებიდან. მაგალითად, 2013 წელს 44,03 მილიონი ლიტი (€12,75 მილიონი) სუბსიდიებზე დაიხარჯა, 15,88 მილიონი ლიტი (€4,6 მილიონი) - სახელმწიფო ბიუჯეტიდან და 28.15 მილიონი ლიტი (€8.15 მილიონი) - ESF ფონდებიდან. მეტიც, თუ არსებული მარეგულირებელი ჩარჩო უცვლელი დარჩება, პროგნოზის მიხედვით 3 წლის შემდეგ სოციალური საწარმოების რაოდენობა (სოციალური საწარმოების კანონის შესაბამისად) მნიშვნელოვნად აღარ გაიზარდება (5-6 სტარტაპი წელიწადში). თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანამშრომლების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს 7000-მდე. ამდენად, მოთხოვნა სახელმწიფო სუბსიდიებზე შეიძლება გაიზარდოს 65 მილიონ ლიტამდე (€18,83 მილიონი) და გახდეს

¹⁷⁹ A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Lithuania, October 2014, pp. 17-19.

¹⁸⁰ Ibid., p. 31.

¹⁸¹ Ibid., p. 2.

დაახლოებით 1,5-ჯერ მეტი, ვიდრე 2014 წელს იყო. სავარაუდოდ, აღნიშნული ზრდა შემდგომშიც გაგრძელდება

- სახელმწიფო მხარდაჭერა ნაწილდება ადეკვატურად, რადგან მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის სოციალურად დაუცველი ადამიანები, რომლებიც მუშაობენ სოციალურ საწარმოებში, იღებენ პირდაპირ მხარდაჭერას. სოციალურ საწარმოებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეადგენენ ყველა თანამშრომლის 99 პროცენტზე მეტს, სამიზნე ჯგუფების (ძირითადად გრძელვადიანი უმუშევრები) სხვა თანამშრომლები შეადგენენ 0.1 პროცენტზე ნაკლებს (4 თანამშრომელი). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, რომლებიც იღებენ შეზღუდული შესაძლებლობების პენსიებს, (დაკარგული სამუშაოსთვის) რაოდენობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანამშრომელთა სრული რაოდენობასთან შეფარდებაში სულ 2-3 პროცენტს შეადგენს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, რომლებიც მუშაობენ სხვა კომპანიებში არ იღებენ არანაირ სახელმწიფო მხარდაჭერას, იმ დროს როდესაც სხვებს ურჩევნიათ საერთოდ არ იმუშაონ და მაინც მიიღონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთათვის განკუთვნილი პენსია¹⁸²
- დეფაქტო სოციალურ საწარმოები, რომლებსაც არ გააჩნიათ სოციალური საწარმოს de jure სტატუსი ვერ იღებენ სახელმწიფო წახალისებებს (როგორცაა სუბსიდიები, საგადასახადო შეღავათები და ა.შ), რათა დაკმაყოფილდეს დაფინანსების მათი მოთხოვნა. ისინი ეძებენ გარე დაფინანსებას ან თავად ახდენენ საკუთარი თანხების ინვესტირებას. არ არსებობს არანაირი კვლევა და სხვა მონაცემი დეფაქტო სოციალური საწარმოების და სხვა საწარმოების, რომლებსაც აქვთ „სოციალური მეწარმეობის“¹⁸³ გარკვეული მახასიათებლები, სოციალური დაფინანსების არსის, რაოდენობის და სფეროს შესახებ.

სოციალური საწარმოს განვითარების ეტაპზე მთავარი პრობლემა მიღწეული სტატუსის შენარჩუნებაა. იმ კომპანიებისთვის, რომლებიც მუშაობენ ამ სფეროში და ჰყავთ თანამშრომლების გარკვეული რაოდენობა მიზნობრივი ჯგუფებიდან, იურიდიული სტატუსის შენარჩუნება საკმაოდ ადვილია. თუმცა, თუ კომპანიები მხოლოდ სახელმწიფო დახმარების მიზნით იქმნებიან - ისინი ამ სტატუსს სწრაფად კარგავენ. კომპანიები, რომლებიც არ არიან შემოსავლიანები ძალიან არიან დამოკიდებულები სახელმწიფო დახმარებაზე.

ლიტვაში სოციალური საწარმოების განვითარების ძირითადი ბარიერებია: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანამშრომლების მცირე რაოდენობა შრომის ბაზარზე (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ძალიან ბევრ ადამიანს არ აქვს მუშაობის მოტივაცია შეზღუდული შესაძლებლობების პენსიის გამო); სოციალური საწარმოების ვიწრო სამართლებრივი ჩარჩო, კონკრეტული ფინანსური მხარდაჭერის ნაკლებობა დეფაქტო სოციალური საწარმოებისთვის; სოციალური საწარმოების მონიტორინგის ნაკლებობა (მაგალითად კვლევები ამ საკითხებთან დაკავშირებით ქვეყანაში არ არსებობს) და ზოგიერთი კონკრეტული საკითხი (მათ შორის ფართო სია საქმიანობისა, რომელსაც არ აქვს მხარდაჭერა

¹⁸² Ibid., p. 4.

¹⁸³ Ibid., p. 20.

და მოთხოვნები, რომ შენარჩუნდეს მიზნობრივი ჯგუფების პირთა რაოდენობა კანონის შესაბამისად).

დაინტერესებული მხარეების უმეტესობა უკმაყოფილოა სოციალური საწარმოების ამჟამინდელი მდგომარეობით, რის მთავარ მიზეზსაც საჯარო დაფინანსებაზე- მუდმივად მზარდი მოთხოვნა წარმოადგენს.¹⁸⁴

მთავრობამ განმარტა ძირითადი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან სოციალურ საწარმოებს:

- სოციალური ფირმის სტატუსის სივიწროვე
- სოციალური ინოვაციების, მეწარმეობის და სოციალური პრობლემების გადაჭრის ნაკლებობა
- სოციალური მეწარმეების ხელშეწყობის ახალი გზების ნაკლებობა (გარდა სუბსიდიებისა და საგადასახადო შეღავათებისა)
- კომუნიკაცია და თანამშრომლობა კერძო და საჯარო სექტორებს შორის
- სოციალური საწარმოს ცნობიერების ნაკლებობა¹⁸⁵

სოციალური საწარმოების კონცეფციას, რომელიც მთავრობამ 2015 წლის აპრილში დაამტკიცა, აქვს სამი ძირითადი მიზანი¹⁸⁶:

1. შეიქმნას ხელსაყრელი სამართლებრივი გარემო სოციალური მეწარმეობისთვის
2. შეიქმნას ხელსაყრელი ფინანსური და საგადასახადო მხარდაჭერის სისტემა;
3. და მიღწეულ იქნას ამ ფენომენის ცნობადობა საზოგადოებაში.

მესამე დავალება მოიცავს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მხარდაჭერის პროგრამებისა და სიახლეების განმტკიცებას, რომლის ფარგლებშიც ხელი შეეწყობა და გაფართოვდება სოციალური საწარმოების შექმნა და განვითარდება სოციალური ინოვაციები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონსულტაციის გაწევის პროგრამას და ინფორმაციას სოციალური ბიზნესის შექმნისთვის, საუკეთესო მაგალითების, ბიზნეს მოდელების, სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამების გაცვლას. ეს სტიმულები პოლიტიკურ დონეზე წარმოადგენს სოციალური მეწარმეობის მნიშვნელობის აღიარებას ლიტვაში და დგამს პირველ

¹⁸⁴ Ibid., p. 31.

¹⁸⁵ Social Enterprise Training for Work, 2012-1-GB2-LEO05-07968, A Needs Analysis Report, Lithuanian Case, p. 2, available at <http://www.adam-europe.eu/pri/9708/prd/11/1/3.17%20-%20Result%2030%20Need%20Analysis%20Lithuania.pdf>, last accessed 18 September 2016.

¹⁸⁶ LR Ūkio ministerija/ Lithuanian Ministry of Economy, *Socialinio verslo koncepcija/ The concept of social entrepreneurship*, 2015 at http://www.ukmin.lt/uploads/documents/Verslo%20aplinka/Smulkus%20verslas/Socialinio_verslo_koncepcija_2015_%C4%AFs_akymas.pdf.

ნაბიჯებს შემდგომი განვითარებისთვის როგორც პოლიტიკურ, ასევე სამართლებრივ დონეზე.¹⁸⁷

¹⁸⁷ Greblikaite, Jolita, Development of Entrepreneurship in Lithuania: Becoming Social Entrepreneurs, Entrepreneurship and Firm Performance. New York : Nova Science Publisher's, 2016, p. 6, available at https://www.researchgate.net/publication/283910505_Greblikaite_J_Development_of_Entrepreneurship_in_Lithuania_Becoming_Social_Entrepreneurs_Entrepreneurship_and_Firm_Performance_New_York_Nova_Science_Publisher's_2016_ISBN_9781634843232, last accessed 18 September 2016.

პოლონეთი

სოციალური საწარმოების ლანდშაფტი

სოციალური საწარმოების განმარტება

პოლონეთში არ არსებობს სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი განმარტება, ვინაიდან კანონპროექტი სოციალური მეწარმეობის შესახებ ჯერ არ არის მიღებული. ამ კანონპროექტის თანახმად სოციალური საწარმო არის მცირე და საშუალო ზომის საწარმო სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით, რომელიც დასაქმების შესაძლებლობას აძლევს იმ ადამიანებს, რომლებიც მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან (მინიმუმ 50%), ან უზრუნველყოფს საჯარო ინტერესების სერვისის მიწოდებას.¹⁸⁸

სოციალური მეწარმეობის შესახებ კანონი შექმნის სოციალური მეწარმის სტატუსს (ორგანიზაციებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ, როგორც სოციალური მეწარმეები, იმ პირობით თუ დააკმაყოფილებენ კონკრეტულ მოთხოვნებს). მთავრობის განმარტება სპეციალური სამართლებრივი სტატუსის შექმნისთვის შემდეგნაირად ჟღერს:

- სოციალური საწარმოების განსაზღვრება და ლეგიტიმაცია
- იმ იურიდიული პირების ნათელი იდენტიფიკაცია, რომლებიც არის საჯარო პოლიტიკის სპეციფიკური საგანი
- შესაბამისი იურიდიული პირების დახმარება მოახდინონ თავიანთი პოზიციონირება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება სოციალური საწარმოების, მათი როლის და სერვისების შესახებ- როგორც საქონლისა და სერვისის პროვაიდერების და როგორც პოტენციური დამსაქმებლების¹⁸⁹

სამართლებრივი ფორმები

შემდეგი ორგანიზაციული/სამართლებრივი ფორმები მოიაზრება როგორც „სოციალური ეკონომიკის სუბიექტები“ (social economy entities)¹⁹⁰:

- სოციალური კოოპერატივები: 2010 წელს არსებობდა 9 000 სხვადასხვა სახის კოოპერატივი¹⁹¹. ეს უაღრესად ჰეტეროგენული ჯგუფები და კატეგორიები, რომლებშიც ყველაზე ხშირად მოიაზრება სოციალური საწარმოები არის:

¹⁸⁸ Social Entrepreneurship Network, Poland. Country Profile, Krzysztof Cibor, 31 December 2014, available at <http://socialeconomy.pl/node/312>, last accessed 19 September 2016.

¹⁸⁹ European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, p. 2, available at <http://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=es&catId=89&newsId=2149>, last accessed 16 September 2016.

¹⁹⁰ These organisations were classified as “social economy entities” for the purposes of the ESF-funded Operational Programme Human Capital for 2007-2013 (PO KL). This classification is also followed in some statistical publications and hence constitutes a relevant reference point in some discussions on social economy.

¹⁹¹ Krajowa Rada Spółdzielcza (2010), Report on Polish co-operatives, Warsaw, p. 16. cited in [http://orka.sejm.gov.pl/WydBAS.nsf/0/CA9BFF4ABE977CAEC1257ABD0034736C/\\$file/Infos_135.pdf](http://orka.sejm.gov.pl/WydBAS.nsf/0/CA9BFF4ABE977CAEC1257ABD0034736C/$file/Infos_135.pdf) cited in European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, p. 6.

- **შრომითი კოოპერატივების** კონკრეტული ქვეჯგუფი, მათ შორის *კოოპერატივები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და უსინათლო პირებისთვის*. 2010 წლისთვის დაახლოებით 258 ასეთი კოოპერატივი არსებობდა და მათ დიდი ხნის ტრადიცია აქვთ პოლონეთში
- **სოციალური კოოპერატივები:** შექმნილია იმისთვის, რომ თავიანთ წევრებს ხელი შეუწყოს შრომის ბაზარზე სოციალურ და პროფესიულ რეინტეგრაციაში. ისინი შეიძლება დაარსდნენ მინიმუმ ხუთი ადამიანის მიერ, რომლებიც არიან დაუსაქმებლები ან აქვთ სხვადასხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობა. ასეთი კოოპერატივები ასევე შეიძლება დაარსდეს იურიდიული პირების მიერ. 2014 წლის ინვრისათვის, რეგისტრირებული იყო 900-მდე სოციალური კოოპერატივი, თუმცა ყველა მათგანი არ არის აქტიური.¹⁹² სოციალური კოოპერატივების რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში სწრაფად იზრდება, რასაც ხელს უწყობს მათთვის გამოყოფილი მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები. დაფუძნების მაღალ მაჩვენებელს თან ახლავს საწარმოების ლიკვიდაციის მაღალი მაჩვენებელი.
- **არამომგებიანი ორგანიზაციები**, ისეთები როგორცაა ფონდები და ასოციაციები: ისინი შექმნილია იმისთვის, რომ განახორციელონ სოციალურად და ეკონომიკურად მომგებიანი საქმიანობა, მართონ თვითმმართველი არაკომერციული მოხალისეობრივი ასოციაციები და შეასრულონ შემოსავლების მომტანი საქმიანობა. ყველა ასეთ რეგისტრირებულ ორგანიზაციაში ამ ტიპის ერთეულები შეადგენენ მხოლოდ მცირენაწილს (დაახლოებით 5%-ს). 2010 წელს იყო დაახლოებით 68 000 აქტიური ასოციაცია და მსგავსი ორგანიზაცია და 7 000-ზე მეტი ფონდი¹⁹³
- **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, კორპორაციები და სპორტული კლუბები**, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობას და არ ფოკუსირდებიან მოგებაზე, შემოსავალს ანაწილებენ საწესდებო მიზნებისთვის და მოგებას არ ანაწილებენ დამფუძნებლებს, წილის მფლობელებს და თანამშრომლებს შორის.
- **პროფესიული საქმიანობის დაწესებულებები Professional Activity Establishments (ZAZ):** ეს სტატუსი ენიჭება ადგილობრივი ხელისუფლების ავტონომიურ ერთეულებს, (რომლებიც სამართლებრივად განცალკევებულ ერთეულებს არ წარმოადგენენ), (*Gmina* ან *Powiat* დონეზე), არასამთავრობო ორგანიზაციებსა ან სოციალურ კოოპერატივებს. მათი ძირითადი სამიზნე არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, განსაკუთრებით კი მძიმე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. ეკონომიკური საქმიანობის პარალელურად ZAZ ახორციელებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. 2013 წლის ბოლოსთვის პროფესიული საქმიანობის დაახლოებით 68 დაწესებულება (ZAZ)¹⁹⁴ არსებობდა
- **სოციალური ჩართულობის ცენტრები Social Inclusion Centres (CIS) და სოციალური ჩართულობის კლუბები Social Inclusion Clubs (KIS):** ისინი ახორციელებენ საგანმანათლებლო

¹⁹² Database is available at <http://www.spoldzielniesocialne.org> cited in European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, p. 6.

¹⁹³ Central Statistical Office, The Third Sector In Poland. Associations, Foundations, Faith-Based Charities, Professional and Business Associations, Employers' Organizations in 2010, Statistical Analyses and Studies, available at <http://stat.gov.pl/en/topics/social-economy/social-economy-third-sector/the-third-sector-in-poland-associations-foundations-faith-based-charities-professional-and-business-associations-employers-organizations-in-2010,1,1.html>, last accessed 16 September 2016.

¹⁹⁴ The database is available at http://bazy.ngo.pl/search/wyniki.asp?wyniki=1&szukanie=zaawans1&kryt_typ_instyt_multi=64&baza=31 cited in European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, p. 6.

პროგრამებს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სოციალური გარიყულობის რისკის ქვეშ არიან და ეხმარებიან ადამიანებს და მათ ოჯახებს, რათა კვლავ მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თემების საქმიანობაში. სამუშაო შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი. როდესაც CIS ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, არ არსებობს ფორმალური შრომითი ურთიერთობები ორგანიზაციასა და სამუშაოში ჩართულ პირს შორის (ფორმალურად ეს ადამიანი აღიქმებიან, როგორც უმუშევრები და იღებენ რეინტეგრაციის სარგებელს). CIS და ნაკლებად ფორმალური KIS დაარსება შეუძლიათ ადგილობრივ ხელისუფლებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. 2013 წლის ბოლოს არსებობდა სოციალური ჩართულობის 90 ცენტრი (CIS)¹⁹⁵ და სოციალური ჩართულობის 223 კლუბი (KIS)¹⁹⁶. მიუხედავად იმისა, რომ CIS და KIS ხშირად გვხვდება სოციალური ეკონომიკის დისკუსიებში, ისინი მაინც ნაკლებად მოიხსენიებიან, როგორც სოციალური საწარმოები

- **ოკუპაციური თერაპიის სახელოსნოები Occupational Therapy Workshops (WTZ):** მათი დაარსება შეუძლიათ ასოციაციებს, ფონდებს და სხვა ორგანიზაციებს. მათი ძირითადი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თერაპია და რეაბილიტაცია. WTZ უმთავრესად ფინანსდება შშმ პირთა რეაბილიტაციის ეროვნული ფონდიდან (National Fund for Rehabilitation of the Disabled). 2012 წელს დაახლოებით 670 ოკუპაციური თერაპიის სახელოსნოები იყო აქტიური (ცენტრალური სტატისტიკური ოფისი, 2013b)¹⁹⁷.

თუმცა ხშირად, სოციალური ეკონომიკის როლი ვიწროდ არის გაგებული და მკაცრადაა მიზნული მხოლოდ ერთი საქმიანობის სფეროზე, მაგალითად შრომით ინტეგრაციაზე¹⁹⁸.

სოციალური საწარმოს მონაცემები და ფაქტები

იმის გამო, რომ პოლონეთში არ არსებობს სოციალური საწარმოს საყოველთაოდ მიღებული განმარტება, არ არის ხელმისაწვდომი აღნიშნული სექტორის სტატისტიკური მონაცემებიც. ამის მიუხედავად, საკმაოდ კარგი მონაცემთა ბაზა არსებობს გარკვეული ჯგუფის იურიდიული პირების შესახებ, რომლებიც კლასიფიცირებულია სამართლებრივი ფორმების მიხედვით და მოიხსენიება, როგორც „სოციალური ეკონომიკის“ სექტორი. ცენტრალური სტატისტიკის ოფისი აგროვებს და აქვეყნებს მონაცემებს (ყოველ ორ წელიწადში) ასოციაციების, ფონდების და მსგავსი ტიპის იურიდიული პირების, ისევე როგორც კოოპერატივების შესახებ.

სოციალური საწარმოების სავარაუდო რაოდენობა 2012 წელს:

წყარო: A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, ოქტომბერი 2014, 11 გვ., ხელმისაწვდომი: <http://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=es&catId=89&newsId=2149>

¹⁹⁵The database is available at

http://bazy.ngo.pl/search/wyniki.asp?wyniki=1&szukanie=zaawans1&kryt_typ_instyt_multi=69&baza=11 cited in European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, p. 7.

¹⁹⁶ Government of Poland, Information on the functioning of CIS and KIS for the Sejm and Senate of the Republic of Poland, available at <http://www.cistorsps.pl/art/files/592>, last accessed 18 September 2016.

¹⁹⁷ A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, pp. 6-7.

¹⁹⁸ European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, p. 1.

ტიპი	საერთო ციფრი (რეგისტრირებულები)	სავარაუდო ციფრი სოც. საწარმოების	სოც.საწარმოების მიერ დასაქმებულთა რიცხვი	სოც. საწარმოების დასაქმების ტენდენციები/ რიცხვები სტატანაცია
არასამთავრობო ორგანიზაციები	75 000	~ 4 500	~ 34 000	
სოციალური კოოპერატივები	~ 600	~ 450	~ 3 400	ძლიერი ზრდა
კოოპერატივები უსინათლო და შშმ პირებისთვის	~ 260	~ 195	~ 27 300	კლება
პროფესიული საქმიანობის დაწესებულებები (ZAZ)	~ 69	~ 43	~ 3 500	ზრდა
არამომგებიანი კომპანიები	~ 25	~ 25	N/A, (~200-500)	N/A
ჯამი:	~76,000	~ 5 213	~ 68 500	

მხარდაჭერის სისტემის სტრუქტურა

ინფრასტრუქტურა და სამართლებრივი ჩარჩო

სოციალური საწარმოს მხარდაჭერი სისტემის მთავარი აქტორები არიან:

ოჯახის, შრომის და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო, საზოგადოებრივი სარგებლის დეპარტამენტი (Ministry of Family, Labour and Social Policy- Department of Public Benefit)¹⁹⁹: ეს სამინისტრო პასუხისმგებელია პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე, მხარდაჭერის ინსტრუმენტების, კრიტერიუმებისა და სოციალური საწარმოებისთვის ინფრასტრუქტურის შექმნაზე.²⁰⁰

სისტემური გადაწყვეტილებების საბჭო სოციალური ეკონომიკის სფეროში (Council on Systemic Solutions in the Field of Social Economy): საბჭოს თავმჯდომარე არის ოჯახის, შრომის და სოციალური პოლიტიკის მინისტრი და ის შედგება შესაბამისი სამინისტროების,

ადგილობრივი ხელისუფლებისა და სოციალური ეკონომიკის სექტორის წარმომადგენლებისგან.²⁰¹ ეს არის საჯარო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სოციალური საწარმოების ფინანსურ და არაფინანსურ მხარდაჭერაზე. გარდა ამისა, ეს არის სათათბირო

¹⁹⁹ <http://www.mpips.gov.pl>

²⁰⁰ A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, p. 4.

²⁰¹ Ibid.

ორგანო, რომელიც ქმნის ყველაზე მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტებს სოციალური ეკონომიკის სფეროში. მაგალითად, სოციალური მეწარმეობის შესახებ აქტი, სოციალური ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამა (KPRES) და სხვა. KPRES ფარგლებში არსებობს შეთანხმება სოციალურ ეკონომიკის მიმდინარეობასა და მთავრობას შორის. ის უზრუნველყოფს ამ პროგრამის როგორც შინაარსობრივი, ასევე ფინანსური მხარის შესრულებას.

სოციალური ეკონომიკის მხარდაჭერის ცენტრები (Social Economy Support Centres OWES) (ფინანსური და არაფინანსური მხარდაჭერა): OWES არის მხარდაჭერის ცენტრები/ქოლგა დაწესებულებები, რომლებიც სოციალურ ბიზნესებს სთავაზობენ სერვისებს. შეთავაზება შეიძლება იყოს სხვადასხვა და დამოკიდებულია როგორც წამყვან ინტიტუციაზე, ასევე იმ რეგიონზე, სადაც ის ოპერირებს. OWES აკრედიტირებულია AKSES სისტემაში (სოციალური ეკონომიკის მხარდაჭერი ინსტიტუციების აკრედიტაციის და ოპერირების სტანდარტების სისტემა- a system of accreditation and operating standards for social economy support institutions). სერვისის ყველა დონეს ენიჭება საქმიანობის მოსალოდნელი შედეგები. იმისათვის, რათა მიიღონ ასეთი აკრედიტაცია, ორგანიზაციებმა უნდა დააკმაყოფილონ ფორმალური პირობები, მიიღონ რეკომენდაციები ექსპერტთა ჯგუფისგან, რომლებიც ანალიზს უკეთებენ სასწავლო და საკონსულტაციო პროგრამებს, მოსალოდნელ შედეგებს, უნარ-ჩვევებს და დასაქმებული პირების სტაბილურობას. აკრედიტაცია ადასტურებს, რომ რეგიონული ოპერირების პროგრამაში (Regional Operational Programme) მოსახვედრი კრიტერიუმები რელევანტურია. ოჯახის, შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს 2015 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით ყველა მინიჭებული აკრედიტაცია გაუქმდა. 2016 წლის დასაწყისიდან აკრედიტაციის პროცესი განახლდა. აკრედიტაცია ძალაშია 2 წლის განმავლობაში.²⁰² სააკრედიტაციო კომიტეტთან თანამშრომლობით სამინისტრომ კვლავ მიანიჭა აკრედიტაცია პოლონეთის 12 რეგიონში არსებულ OWES-ს.²⁰³

OWES სთავაზობს შემდეგ მომსახურებებს:

- კონსულტაცია - საბაზისო და სპეციალური (მარკეტინგი, ბიზნეს გეგმა, ტრენინგი)
- სასწავლო კურსები
- ფინანსური მხარდაჭერა სტარტაპებისთვის
- სოციალური ეკონომიკის ლობირება ადგილობრივ ხელისუფლებებში
- ქსელის განვითარება (Networking)

სოციალური ეკონომიკის ეროვნული ცენტრი (National Centre for Social Economy KCES)²⁰⁴ დაარსდა ოჯახის, შრომის და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს საზოგადოებრივი

²⁰² Masłowski, Piotr, The role of local government in supporting social entrepreneurship in Poland, 18 May 2016 available at http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:ib02337QIV0J:socialinnovation.lv/wp-content/uploads/2016/05/P.Maslowski_The-role-of-local-government-in-supporting-SE-in-Poland.pptx+&cd=3&hl=en&ct=clnk&gl=es, last accessed 20 September 2016.

²⁰³ Pomycol, Anna, Accreditation Process of The High-Quality Social Economy Supporting Centers in Poland is Coming to the End, available at <http://www.socialenterprisebr.net/2016/03/accreditation-process-of-the-high-quality-social-economy-supporting-centers-in-poland-is-coming-to-the-end/>, last accessed 20 September 2016.

²⁰⁴ <http://www.kces.pozYTEK.gov.pl/>

სარგებლის დეპარტამენტის მიერ და კოორდინაციას უწევს სოციალური ეკონომიკის ხუთ ცენტრს (CES), თითოეულს მაკრო-რეგიონში.²⁰⁵ თუმცა, არც OWES-ს, KCES და CES არ გააჩნიათ იურიდიული სტატუსი და ერთმანეთთან ფორმალურად არ არიან დაკავშირებულნი.

გამომდინარე მათი ინდივიდუალური ჩართულობიდან, სხვა საჯარო ადმინისტრაციულ ინსტიტუტებსაც როგორცაა: **ROPS** (სოციალური პოლიტიკის რეგიონული ცენტრები), **PUP** (ადგილობრივი შრომის ოფისები), **ROEFS** (ESF-ის რეგიონული ცენტრები) შეუძლიათ წვლილი შეიტანონ სოციალური ეკონომიკის ხელშეწყობ ღონისძიებებში.²⁰⁶

სოციალური ეკონომიკის ფონდი (Social Economy Fund) (საჯარო ორგანიზაცია, ფინანსური მხარდაჭერა) პასუხისმგებელია განახორციელოს საპილოტე პროგრამები სოციალური ეკონომიკის წარმომადგენლების დასაფინანსებლად, ასევე საკრედიტო და ფინანსური კონსულტაციები. ფინანსური მხარდაჭერა გადანაწილდა პოლონეთის 5 მაკრო რეგიონზე.²⁰⁷

საჯარო პოლიტიკა

პოლონეთში სახელმწიფო დაფინანსება სოციალური საწარმოების მხარდაჭერისა და დაფინანსების საკითხში მთავარ ადგილს იკავებს (ისევე, როგორც საერთო სოციალური ეკონომიკის სექტორში). სოციალური საწარმოების თემი სარგებელს იღებს კარგად ორგანიზებული და ჩამოყალიბებული ჯგუფებისგან, რომლებიც მხარს უჭერენ სოციალური პოლიტიკის პოპულარიზაციას პოლონეთში. საჯარო დაფინანსების მასშტაბი, ძირითადად კი ESF-ის რესურსები, სოციალური ეკონომიკის და სოციალური საწარმოების აქტივობებისკენაა მიმართული.²⁰⁸

სოციალური ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამა (The National Program of Social Economy Development KPRES): მიღებულ იქნა მინისტრთა საბჭოს მიერ, 2014 წლის აგვისტოში. პროგრამა სოციალურ ეკონომიკას სვამს კომპლექსური სტრატეგიის კონტექსტში, რომელიც შემუშავებულია ე.წ. პოლონეთი 2030 (გრძელვადიანი ეროვნული განვითარების სტრატეგია 2030) პროგრამის ფარგლებში. ამ პროგრამის განხორციელების მიზანი არის ის, რომ

სოციალური საწარმოები გახდნენ უფრო მდგრადი და თვალსაჩინო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხში, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე.²⁰⁹

²⁰⁵ სოციალური ეკონომიკის სისტემის შექმნის მიზნით ქვეყნის 16 ადმინისტრაციული ერთეული დაიყო ხუთ ეწ. მაკრო-რეგიონად. თითოეული მაკრო-რეგიონი აერთიანებს 3-4 ფორმალური ადმინისტრაციულ ერთეულს, რომლის ზუსტი რაოდენობა დამოკიდებულია ერთეულში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების და სოციალური კოოპერატივების რიცხვი.

²⁰⁶ Wardzińska, Joanna and Czerwińska, Monika, ESFund/TISE – pilot program dedicated to the financing social economy entities in Poland, 28 May 2014, available at <http://socialeconomy.pl/node/130>, last accessed 18 September 2016.

²⁰⁷ Social Entrepreneurship Support Network of the Baltic Sea Region, Social Enterprise Sector Snapshot Around the Baltic Sea: Stakeholders, Education, Impact Analysis, pp. 59-61, available at <http://kooperationen.dk/media/114998/social-enterprise-sector-snapshot-around-the-baltic-sea-stakeholders-education-impact-analysis.pdf>, last accessed 18 September 2016.

²⁰⁸ A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, p. 9.

²⁰⁹ Klimczuk, Andrzej, SIE Country Summary, Poland, March 2015, p. 3, available at http://www.siceurope.eu/sites/default/files/uploads/documents/Andrzej%20Klimczuk_Poland%20SIE%20Country%20Summary%20ENGLISH.pdf, last accessed 20 September 2016.

ეროვნული განვითარების სტრატეგია 2020 „სოციალური ეკონომიკის სამართლებრივი და ფინანსური განვითარების მხარდამჭერ ინსტრუმენტებს“ მიიჩნევს ერთ-ერთ პრიორიტეტად, რომელმაც 2020 წლამდე უნდა შეძლოს სოციალურად მოწყვლადი და ამ რისკთან ახლოს მყოფი მოსახლეობის გააქტიურება.²¹⁰ ეს სტრატეგია დაყოფილია ცხრა ინტეგრირებულ სტრატეგიად, რომელთაგანაც ორი სოციალური მეწარმეობის თვალსაზრისით საკმაოდ აქტუალურია: ადამიანური კაპიტალის განვითარების სტრატეგია 2020 და სოციალური კაპიტალის განვითარების სტრატეგია 2020.²¹¹ სოციალურ ეკონომიკა და სოციალურ საწარმოები ორივე დოკუმენტის ტექსტშია მოხსენიებული. სოციალური ეკონომიკა განიხილება პრიორიტეტულად, რადგანაც ის მოიაზრება მოწყვლადი მოსახლეობის დასაქმების და სოციალური ინტეგრაციის ინსტრუმენტად და საშუალებად.

პოლონეთში **სოციალური კოოპერატივები** სარგებლობენ „სპეციალური სტატუსით“, განსხვავებით სხვა სოციალური საწარმოებისგან, ვინაიდან ისინი სარგებლობენ სახელმწიფო სუბსიდიებით, განსაკუთრებით დასაქმების ფონდიდან (Employment Fund), თუ ისინი შექმნილი არიან სოციალურად დაუცველი პირების მიერ ან პირებისთვის. დასაქმების ხელშეწყობისა და შრომითი ბაზრის ინსტიტუტების კანონის თანახმად, ხელისუფლებას შეუძლია ერთჯერადად დააფინანსოს უმუშევარი ადამიანი ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებისთვის, რომელიც ასევე მოიცავს მსგავსი აქტივობის წამოწყებისთვის აუცილებელ იურიდიული დახმარების და საკონსულტაციო ხარჯებს დაფარვას. დაფინანსება განისაზღვრება კონტრაქტით, რომელიც არ აღემატება საშუალო ანაზღაურების 500%-ს. თუ ამ სქემით მოიაზრება სოციალური კოოპერატივის დაარსება, თითოეულ დამფუძნებელ მოწალეზე შეიძლება გაცემულ იქნეს საშუალო ანაზღაურების მაქსიმუმ 300%, ხოლო თუ დაფინანსების მიმღები გაწევრიანდება უკვე დაარსებულ კოოპერატივში - მაქსიმუმ 200%.²¹² პიროვნება, რომელიც შრომითი ფონდისგან (Labour Fund) მიიღებს ერთჯერად დაფინანსებას ეკონომიკური საქმიანობისთვის, ან რომელიც დააარსებს ან გაწევრიანდება კოოპერატივში, ვალდებულია აანაზღაუროს მიღებული თანხები, მათ შორის პროცენტები, იმ შემთხვევაში თუ ეს პირი ახორციელებდა ეკონომიკურ საქმიანობას ან იყო სოციალური კოოპერატივის წევრი 12 თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში, ან თუ კონტრაქტში აღნიშნული წესები იყო დარღვეული.²¹³

სოციალური მეწარმეობის შესახებ კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ საგადასახადო შეღავათებს:

- უძრავი ქონების გადასახადების შემცირებული განაკვეთები, ადგილობრივი კანონების თანახმად
- საშემოსავლო გადასახადის შემცირებული განაკვეთები კანონის შესაბამისად

²¹⁰Government of Poland (2012), National Development Strategy 2020, p. 148. Available at http://www.mrr.gov.pl/rozwoj_regionalny/Polityka_rozwoju/SRK_2020/Documents/Strategia_Rozwoju_Kraju_2020.pdf cited in A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, p. 5.

²¹¹ The documents that were accepted by the government in mid-2013 are available at <http://www.mpips.gov.pl/praca/strategie-i-dokumenty-programowe/strategia-rozwoju-kapitalu-ludzkiego-srkl---projekt-z-31072012-r/> and http://ks.mkidn.gov.pl/media/download_gallery/20130520SRKS_na_stronie_internetowej.pdf cited in A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, p. 5.

²¹² Art. 46 (1(2)) of Act of 20 April 2004 on Employment Promotion and Labour Market Institutions available in English at http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:-4N9eDuoV1sJ:www.paiz.gov.pl/files/%3Fid_plik%3D7318&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=es, last accessed 16 September 2016.

²¹³Ibid, Art. 46 (3).

- შშმ პირთა ეროვნული ფონდში გადასახადებისგან განთავისუფლება, შესაბამისი კანონის თანახმად
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შრომის ფონდში დაზღვევის გადასახადებისგან განთავისუფლება, შესაბამისი კანონის თანახმად

მთელი რიგი მხარდაჭერის ინიციატივები განხორციელდა ESF-ის მიერ დაფინანსებული ადამიანური კაპიტალი 2007-2013 წლის პროგრამიდან (PO KL). სოციალური მხარდაჭერის ცენტრები (OWES) უზრუნველყოფენ სოციალური საწარმოების მხარდაჭერას, მაგრამ ძნელია მათი საქმიანობის დე ფაქტო არეალის განსაზღვრა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ძალიან ფართოა. ისინი ძირითადად მხარს უჭერენ სოციალური კოოპერატივების დაარსებას და ყველა საჭირო საქმიანობას იურიდიულ, ფინანსურ, მარკეტინგულ, საკონსულტაციო და საბუღალტრო სფეროში.²¹⁴ OWES 2014-2020 წლების ფარგლებში მსგავსი სქემით მიიღებს დაფინანსებას, თუმცა, ESF-ის თანხების უდიდესი ნაწილის განკარგვა მოხდება რეგიონალურ დონეზე, რასაც შესაძლოა რეგიონებს შორის მხარდაჭერის სისტემების არსებითი განსხვავება გამოეწვიოს. იმისათვის, რათა სტანდარტების სათანადო დონე იყოს გარანტირებული, 2014 წელს დაარსდა სერტიფიცირების კომიტეტი, რომელმაც მოამზადა მთელი რიგი მითითებები, რომლებიც უნდა იყოს შესრულებული იმ პირების მიერ რომლებსაც სურთ, რომ გახდნენ OWES. მხარდაჭერის ცენტრები მოიხსენება როგორც KPRES-ში, ასევე სოციალური მეწარმეობის კანონპროექტში.²¹⁵

სოციალური კოოპერატივები ზოგადად ძლიერად არის მხარდაჭერილი, სხვადასხვა ინსტრუმენტის საშუალებით. საჯარო მხარდაჭერა ფოკუსირდება არა მხოლოდ ამ კონკრეტული ტიპის სოციალურ საწარმოებზე, არამედ ვრცელდება სტარტაპის ფაზაში მყოფ სოციალურ საწარმოებზეც. მაგალითად, ადამიანები, რომლებიც დააარსებენ სოციალურ კოოპერატივებს შესაძლებლობა აქვთ პოლონეთის შრომის ფონდიდან მიიღონ გრანტი, რაც 3-4-ჯერ აღემატება მათ საშუალო ხელფასს (დაახლოებით €3 000 ერთ ადამიანზე, 2013 წლის თანახმად). 2007-2011 წლებში 500-მდე ადამიანმა მიიღო ჯამში 5 მილიონი ზლოტის რაოდენობის გრანტი (€1.2 მილიონი).²¹⁶ მხარდაჭერის ალტერნატიული წყარო გათვლილია ახლად შექმნილი სოციალური კოოპერატივის წევრზე (20 000 პოლონური ზლოტი ერთ ადამიანზე, დაახლოებით €5 000) და ხელმისაწვდომია PO KL-ის ერთ საფინანსო ხაზში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, რომლებიც უერთდებიან ახლად შექმნილ სოციალურ საწარმოებს, როგორც წევრებს უფლება აქვთ მიიღონ დიდი მოცულობის გრანტები (მაქსიმუმ ყოველთვიური ხელფასის 15 მაგი ოდენობის) **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სპეციალური ფონდიდან.**²¹⁷

სოციალური კოოპერატივები მის წევრებზე ორი წლის განმავლობაში არ იხდიან სოციალური დაცვის გადასახადს (social security) და შეუძლიათ მესამე წელს გადასახადის მხოლოდ ნახევარი გადაიხადონ. მათ ასევე აქვთ შეღავათებით სარგებლობის უფლება კორპორატიულ

²¹⁴ A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, pp. 4-7.

²¹⁵ Cibor, Krzysztof, Poland - Country Profile, 31 December 2014, available at <http://socialeconomy.pl/node/312>, last accessed 18 September 2016.

²¹⁶ Department of Public Benefit, Ministry of Economy, Information on functioning of social co-operatives functioning on the basis of the law of 27 April 2006 during 2010-2011, 2012, available at <http://www.pozYTEK.gov.pl/files/EKONOMIA%20SPOLECZNA/Informacja...%20OPUBLIKOWANA%20DPP%2012.2012.pdf>, last accessed 18 September 2016 (in Polish).

²¹⁷ The information on available forms of support can be found at <http://www.pozYTEK.gov.pl/Wsparcie,finansowe,na,zalozenie,spoldzielni,socjalnej,1110.html>.

საშემოსავლო გადასახადებში და შეუძლიათ მიიღონ არა ფინანსური მხარდაჭერა სხვადასხვა ფორმით, ძირითადად PO KL-ის დაფინანსებით (მაგ.: უფასო საკონსულტაციო და ბუღალტრული მომსახურება). სხვა ტიპის სოციალური საწარმოებისთვის მხარდაჭერის მთავარი ფორმა არის გრანტები.

ახალი რეგიონალური პროგრამები 2014-2020 წლები პერიოდში ითვალისწინებენ მხარდაჭერას გაცილებით ფართო სპექტრის სოციალური ეკონომიკის სუბიექტებისთვის:

- სუბსიდიები დამწყები მეწარმეებისთვის (გათვლილი არა მხოლოდ სოციალურ კოოპერატივებზე, როგორც ეს იყო 2007-2013 წლებში, არამედ სხვა სამართლებრივ ფორმებზეც)
- პროფესიული რეინტეგრაცია CIS-ის და KIS-ის მეშვეობით
- OWES-მიერ შეთავაზებული სერვისების გაფართოება
- ადგილობრივი/რეგიონალური პარტნიორობა, სოციალური ეკონომიკის განვითარებისთვის
- სოციალური საწარმოების ინკუბატორებისა და სტარტაპამდე პერიოდში მყოფი სხვა ფორმების მხარდაჭერა (მაგ.: ბიზნეს გეგმის მომზადება, ბაზრის ანალიზი და ა.შ.).

ESF ეროვნული პროგრამა 2014-2020 წლებისთვის (PO WER) მოიცავს აქტივობების ფართო სპექტრს, რათა ხელი შეუწყოს სოციალურ ეკონომიკას:

- სექტორის განვითარების მონიტორინგი და მისი ეფექტურობის შეფასება
- მომსახურების სტანდარტების განვითარება, განხორციელება და სტანდარტების მონიტორინგი
- კანონმდებლობის და განათლების განვითარება, რაც მიზნად ისახავს ხელსაყრელი გარემოს შექმნას სოციალური ეკონომიკის განვითარებისთვის
- სოციალური ეკონომიკის წარმომადგენლებისა და სოციალური საწარმოების შეთავაზებული სერვისების სერტიფიცირება
- სოციალური ეკონომიკის და სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა (რეგიონალური საქმიანობის კოორდინაცია)
- ცოდნის დაგროვება და გაზიარება
- სოციალური ეკონომიკის წარმომადგენლების და სოციალური საწარმოების ქსელის შექმნა; თანამშრომლობის ინიცირება სოციალურ საწარმოებსა და ადგილობრივი/რეგიონული ხელისუფლებებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, აკადემიურ ცენტრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის
- ფინანსური ინსტრუმენტების, როგორცაა სესხების და გარანტიები, განახლება.²¹⁸

სოციალური ეკონომიკის სუბიექტების მოსალოდნელი რაოდენობა, რომლებიც უკან დაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტებით საინვესტიციო პრიორიტეტებით ისარგებლებენ 9.8-იდან, შეადგენს 1 313 ერთეულს (მიღწეული უნდა იქნეს 2023 წლამდე).²¹⁹

²¹⁸ A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, pp. 8-10.

²¹⁹ Cibor, Krzysztof, Poland - Country Profile, 31 December 2014, available at <http://socialeconomy.pl/node/312>, last accessed 18 September 2016.

ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა, **ESF ფონდი/Tise საპილოტე პროექტი**²²⁰, რომელიც სოციალური ეკონომიკის სუბიექტებს შეღავათიან სესხებს სთავაზობს. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს €7.5 მილიონს, მათ შორის €6.4 მილიონი (85%) გამოყოფილია ევროკავშირის მიერ (ESF). ეს არის პირველი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სოციალური ეკონომიკის სუბიექტების ფინანსებზე ხელმისაწვდომობას, მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2012 წელს, შრომის და სოციალური პოლიტიკის სამინისტრომ (შუამავალი ინსტიტუცია) ხელი მოაწერა დაფინანსების ხელშეკრულებას ბანკ Gospodarstwa Krajowego-სთან²²¹, BGK (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბანკი), რომელიც აირჩა პროექტის განსახორციელებლად. სამინისტრომ ბანკს დაახლოებით 30 მილიონი ზლოტი გამოუყო იმისათვის, რათა მას ნდობის ფონდი დაეფუძნებინა. პროექტის მიზანი იყო სახელმწიფო სახსრების მმართველობის დელეგირება არასამთავრობო სექტორზე, იმ მიზნით, რომ გაზრდილიყო პროცესის ეფექტიანობა. BGK ვალდებული იყო აერჩია ფინანსური შუამავლები, რომლებიც სოციალური ეკონომიკის სუბიექტებს მთელ ქვეყნის მასშტაბით ხუთ მაკრო რეგიონში მიაწვდიდა სერვისებს.

ფინანსური შუამავლების შერჩევის მიზნით, BGK-მ 2012 წლის სექტემბერში გამოაცხადა ტენდერი. ღია ტენდერი შედგებოდა 5 ნაწილისგან, თითოეული მოიცავდა ერთ მაკრო რეგიონს. აპლიკანტ ფინანსურ შუამავლებს შეეძლოთ აერჩიათ ამ ტენდერის ხუთი ნაწილიდან ერთ-ერთი რეგიონი და ვალდებულები იყვნენ: გაეცათ სოციალური ეკონომიკის სუბიექტებისთვის სესხების დადგენილი მინიმალური რაოდენობა და საკონსულტაციო მომსახურების მინიმუმ 80% (ლიმიტები განისაზღვრა თითოეული მაკრო რეგიონისთვის ცალ-ცალკე).

ტენდერის თითოეული ნაწილისთვის გამოიყენებენ საერთო კრიტერიუმებს:

1. ბიზნეს გეგმის შეფასება - 55%
2. ფონდის მართვის ღირებულება - 38%
3. საკონსულტაციო მომსახურებას ღირებულება - 7%

2013 წლის იანვარში BGK-მ ხელი მოაწერა შეთანხმებას კერძო საინვესტიციო ფონდთან Towarzystwo Inwestycji Społeczno-Ekonomicznych S.A. , TISE²²², რომელსაც ხუთივე მაკრო რეგიონში უნდა ემოქმედა როგორც ფინანსურ შუამავალს.

2013 წელს TISE-მ, როგორც სესხების ფონდის მენეჯერმა, დაიწყო პროექტი სახელწოდებით: **ES Fundusz (სოციალური ეკონომიკის ფონდი)**.

საპილოტე პროექტის მიზნები იყო:

- სოციალური ეკონომიკის სუბიექტებისთვის მომდევნო 2.5 წლის მანძილზე 25.1 მილიონი ზლოტის ოდენობის 251 სესხის გაცემა, მათი ეკონომიკური საქმიანობის დასაფინანსებლად (დაფინანსება შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთით, de minimis aid²²³)

²²⁰ www.esfundusz.pl

²²¹ <https://www.bgk.pl>

²²² <https://tise.pl/>

²²³ <http://www.enterpriseuropeeast.org.uk/eox/assets/documents/uploaded/general/State%20Aid%20and%20De%20Minimis%20aid%20regulation%20v2.pdf>

- მინიმუმ 200 სოციალური ეკონომიკის სუბიექტისთვის, რომელმაც სესხი 2015 წლის სექტემბრამდე მიიღო, 30 საათამდე საკონსულტაციო მომსახურების გაწევა (თითოეულისთვის) (სულ 4 000 საათი, საერთო ღირებულების მინიმალური დახმარება - 400 000 ზლოტი)
- ვადაგადაცილებული და დაკარგული სესხების კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს
- მინიმუმ 50 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა
- მინიმუმ 1 100 სამუშაო ადგილის შენარჩუნება
- სოციალური საწარმოების ფინანსური მდგომარეობის შეფასება, დაფინანსებული და უარყოფილი განაცხადების საფუძველზე
- სოციალური ეკონომიკის სუბიექტების ფინანსური საჭიროებების განსაზღვრა
- სექტორისთვის BGK-ს მიერ შეთავაზებული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის პრაქტიკაში შემოწმება
- სოციალური ეკონომიკის სუბიექტებისთვის მდგრადი ფინანსური ინსტრუმენტების შექმნა, დაფარული სესხების ხელშეწყობის გამოყენების გზით.

მთელი პროექტი, მათ შორის სესხის დაფარვა და მონიტორინგი განხორციელდება 8 წლის განმავლობაში. შესრულების ბოლო ვადაა 2020 წლის დეკემბერი. შემოთავაზებული სესხების ძირითადი თავისებურებებია:

- თანხა: 100 000 ზლოტამდე
- დაფარვის ვადა: 5 წლამდე
- შეღავათიანი პერიოდი: 6 თვემდე
- დაფინანსების მიზანი: ბიზნესის განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს შემოსავლის მიღებას ან დასაქმების გაზრდას
- შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთი: დაკლებული საპროცენტო განაკვეთის (rediscount interest rate) 50% ან 25%
- არანაირი ავანსი, ადმინისტრაციული ან სხვა დამატებითი ხარჯი.

შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება დაკლებული საპროცენტო განაკვეთის 50%-ით, სესხის გაცემის დღეს. საპროცენტო განაკვეთი კიდევ უფრო დაბალია, დაკლებული საპროცენტო განაკვეთის 25%, იმ კლიენტებისთვის, რომლებიც შემდეგ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ:

- სოციალური კოოპერატივი, რომლის ბოლო ფინანსურ წელს მიღებული შემოსავალი არ აღემატება 100 000 ზლოტს
- მოგების ან ზედმეტი შემოსავლის მინიმუმ 10% გამოიყენა საჯარო სარგებლის მიზნით
- საქმდება მინიმუმ 50 ადამიანი, რომლებიც სოციალური გარიყვის რისკის ჯგუფში არიან, ესენია: უსახლკარო, წამალზე ან სასმელზე დამოკიდებული, ფსიქიკურად დაავადებული პირები, ყოფილი მსჯავრდებულები, ლტოლვილები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი.

პროექტის ფარგლებში BGK უზრუნველყოფს TISE-ის დაფინანსებას შემდეგი მიზნებისთვის:

- გრანტის სესხები ტენდერის/თანამშრომლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფიქსირებულ ლიმიტამდე
- საკონსულტაციო მომსახურების ანაზღაურება, ფიქსირებულ ლიმიტამდე
- მენეჯმენტის ხარჯების ანაზღაურება ფიქსირებულ ლიმიტამდე.

ოპერაციის პირველი წლის განმავლობაში ESF ფონდმა/TISE , მთელი ქვეყნის მასშტაბით გასცა 115 სესხი, რომლის საერთო თანხამ 10.1 მილიონი ზლოტი შეადგინა. 2014 წელს სესხის მიმღებმა ბენეფიციარებმა განაცხადეს, რომ ჯამში შეინარჩუნეს და შექმენს 146 ახალი სამუშაო ადგილი. 24-მა სუბიექტმა ისარგებლა საკონსულტაციო მომსახურებით შერჩეულ ტერიტორიაზე.²²⁴

მაგალითები რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე

მალოპოლსკას რეგიონი და სოციალური ეკონომიკის ფონდი

2011 წელს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ყველა რეგიონისგან მრავალწლიანი სამოქმედო გეგმის მომზადება მოითხოვა, სოციალური ეკონომიკის სუბიექტების და სოციალური საწარმოების მხარდასაჭერად.

მალოპოლსკის რეგიონის 2007-2013 წლების განვითარების სტრატეგიაში „სოციალური მეწარმეობა“ ნახსენებია, როგორც კონკურენტუნარიანობის გადრმავეების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ხოლო რეგიონალური სტრატეგიის განახლებულ ვერსიაში, რომელიც მოიცავს 2011-2020 წლების პერიოდს, სოციალურ ეკონომიკას განიხილავს, როგორც ჰორიზონტალურ საკითხს და ხაზს უსვამს მის მკვეთრ კავშირებს ისეთ სფეროებთან როგორებიცაა, სოციალური მეწარმეობა და ეკონომიკა.²²⁵

გარდა ამისა, მალოპოლსკას რეგიონი ითვლება პიონერად სოციალური საწარმოების ფონდის შექმნის საკითხში. მალოპოლსკას სოციალური ეკონომიკის ფონდი (Małopolski Fundusz Ekonomii Społecznej)²²⁶ დაარსდა 2009 წელს კერძო და საჯარო სუბიექტების მიერ და უზრუნველყოფს საკრედიტო გარანტიებს სოციალური საწარმოებისთვის. თავისი არსებობის ოთხი წლის მანძილზე, მან უზრუნველყო 103 გრანტის და მცირე კრედიტების გაცემა, რომლის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 5.1 მილიონს ზლოტს (€1.2 მილიონი), ხელი შეუწყო 32 სოციალური კოოპერატივის და 35 მიკრო საწარმოს შექმნას. რამდენიმე შემთხვევაში ფონდმა გასცა კრედიტები, თუმცა ძალზედ მცირე რაოდენობის.²²⁷

2011 წლიდან კრაკოვის სოციალური პოლიტიკის რეგიონული ცენტრი მხარს უჭერს სოციალურ კოოპერატივებს გრანტების და კონტაქტების დამყარების გზით. სოციალური ეკონომიკის განვითარების აკადემიის პროექტის მიერ შემოთავაზებული ფინანსური

²²⁴Wardzińska, Joanna and Czerwińska, Monika, ESFund/TISE – pilot program dedicated to the financing social economy entities in Poland, 28 May 2014.

²²⁵A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, pp. 7-8.

²²⁶ <http://mfes.pl>

²²⁷ A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, p. 14.

მხარდაჭერა მიზნად ისახავს კოოპერატივების ფორმირებას ან მათი საქმიანობის გაფართოვებას ახალი თანამშრომლების/წევრების მიღების გზით.²²⁸

დაფინანსების სისტემის დადებითი და უარყოფითი ეფექტები

ბოლო პერიოდში პოლონეთში ინტერესი სოციალური საწარმოების მიმართ მკვეთრად გაზიარდა. აქ სოციალური საწარმოების მხარდაჭერისკენ მნიშვნელოვანი საჯარო რესურსი იყო მიმართული, ძირითადად ევროკავშირის ფონდებიდან.²²⁹

ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია სხვადასხვა საქმიანობის დაფინანსებაზე ადვილი წვდომა, რომლებიც პოტენციურად შესაძლებელია განხორციელებულიყო სოციალური საწარმოების მიერ, რომლებიც ხშირად მუშაობენ ან შეუძლიათ იმუშაონ ასოციაციების და ფონდების სახით, რომლებიც არ არიან დაკავებულნი ეკონომიკური საქმიანობით (ანუ არ ყიდიან მომსახურებას ან საქონელს). აქედან გამომდინარე, სოციალური საწარმოების ბიზნეს გეგმების სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია კონკურენციაზე შესაბამის ბაზარზე.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ოპერირებადი სოციალური საწარმოების კონკურენციის გადმოსახედიდან, რომლებიც თავიანთ საქმიანობას გრანტების მეშვეობით აფინანსებენ (და მაგალითისათვის შეუძლიათ გარკვეული საქონლის ან მომსახურების უფასოდ შეთავაზება საბოლოო ბენეფიციარებისთვის), რიგ შემთხვევებში შეუძლებელს ხდის გარკვეულ სეგმენტებში მუშაობას. ამ პრობლემასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ასპექტი არის ადამიანური რესურსის ბაზა, რომლიდანაც შესაძლებელია სოციალურმა საწარმომ მოიზიდოს თანამშრომელი. ეს ძირითადად ის ადამიანებია, რომლებსაც აქვთ დიდი

გამოცდილება არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორში. გამომდინარე მათი შესაძლებლობებიდან ადვილად მიიღონ საგრანტო დაფინანსება, ხშირ შემთხვევაში სოციალური საწარმოების დაარსების და/ან სოციალურად სასარგებლო საქონლის და მომსახურების მიწოდების განვითარების მიმართ ნაკლებ ინტერესს იჩენენ.

კიდევ ერთი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სოციალური საწარმოების არსებული მხარდაჭერის სქემები, ძირითადად ახალი სოციალური საწარმოების დაარსებაზე ფოკუსირდება, ვიდრე არსებულის მხარდაჭერაზე. მოთხოვნა სოციალურ კაპიტალზე უმეტესწილად მოდის უკვე დაარსებული საწარმოების მხრიდან, რომლებსაც შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ მათი ბიზნეს მოდელი იყო ეფექტური და სურთ გაფართოება. მიუხედავად ამ დაუბალანსებელი მხარდაჭერის მექანიზმისა (მათ შორის მფლობელებს, წევრებს და მონაწილეებს შორის ბიზნეს უნარების გაძლიერება), რამდენიმე სოციალურმა საწარმომ შეძლო საკმარისად გაძლიერება იმისათვის, რომ წარმოქმნას მნიშვნელოვანი მოთხოვნა სოციალურ ინვესტიციებზე.²³⁰

გარდა ამისა, არსებობს კრიტიკული მოსაზრებები, რომლებიც მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომლის მიხედვითაც ESF-ის ფონდის დაფინანსების სქემები ჯერ კიდევ უპირატესობას ანიჭებენ იმ ადამიანებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც სოციალური ეკონომიკის თეორიის მიხედვით მუშაობენ და მზად არიან მხარი დაუჭირონ სოციალურ საწარმოებს, იმ დროს,

228 <http://www.es.malopolska.pl/en/akademia-rozwoju-ekonomii-spolecznej/jgfdjrd.html>

229 Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Poland, October 2014, p. 31.

230 Ibid., p. 16.

როდესაც „რეალური“ სოციალური საწარმოები, რომლებიც დაარსდნენ და აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას, იღებენ ბევრად ნაკლებ დაფინანსებას.

ადგილობრივი ხელისუფლება მნიშვნელოვანი პარტნიორია ზოგიერთი სოციალური საწარმოსთვის. რიგ შემთხვევებში ადგილობრივი ხელისუფლებები წარმოადგენენ ერთადერთ კლიენტს მოცემული საწარმოებისთვის (განსაკუთრებით სოციალური კოოპერატივებისთვის), რამაც შესაძლოა წარმოშვას გარკვეული შეკითხვები მდგრადობასთან დაკავშირებით. მეორეს მხრივ სხვადასხვა ადმინისტრაციულ დონეზე არსებობს სოციალური საწარმოების მიერ შეთავაზებული მომსახურების გაფართოების შესაძლებლობა. ზოგიერთ შემთხვევაში გაგრძელებული საქმიანობა/სოციალური საწარმოების გაფართოების ხარჯზე მიღებული სოციალური სარგებელი შეიძლება სოციალურ-საჯარო შესყიდვის მიდგომების ლოგიკურ ახსნად მოგვევლინოს. ლოგიკური ახსნა-განმარტება საჯარო მოხელეთა მხრიდან სოციალური ასპექტების გამოყენება სახელმწიფო შესყიდვებისთვის, ჯერ კიდევ აკრძალულია კანონის მიერ და მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტრუმენტი ხელმისაწვდომია, ის მაინც არ გამოიყენება. ადგილობრივი ხელისუფლების უფრო აქტიური ჩართულობა სოციალური საწარმოების საქმიანობაში, ამ სექტორის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

ძლიერი საჯარო მხარდაჭერა სოციალური ეკონომიკის და სოციალური საწარმოების უფრო ფართო სექტორისთვის, ძირითადად გამოხატულია ESF-ის ფონდის დაფინანსებაში. ამ რესურსებმა უკვე შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი სექტორისთვის, ძირითადად კი დაინტერესებული მხარეების ქსელის წარმოქმნის საქმეში. ასევე უზრუნველყვეს უშუალო მხარდაჭერა ზოგიერთი სოციალური საწარმოსთვის. ამავე დროს არსებობს შეკითხვები ამ რესურსების შეზღუდული ეფექტურობის შესახებ სოციალური საწარმოების მდგრადი გაფართოების და ბაზრის დამახინჯების საკითხში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია უფრო ფართოდ შევხედოთ აღნიშნულ საკითხს. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციების საჯარო დახმარების პროექტები, რომლებიც არ ასრულებენ ეკონომიკურ საქმიანობას, ზეგავლენას ახდენენ სოციალურ საწარმოებზე, რაც თავის მხრივ, გავლენას ჰკოვებს ცალკეულ ინდივიდებზე (მაგალითად არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციალური საწარმოების ლიდერები და მენეჯერები) და ზემოქმედებს საბაზრო პირობებზე (მაგალითად გარკვეული საქონელი ან მომსახურება, რომლის გაყიდვა შეუძლია საბაზრო საწარმოს შეიძლება გახდეს უფასოდ ხელმისაწვდომი- თუმცა, მხოლოდ ლიმიტირებული დროით).²³¹

²³¹ Ibid, pp. 31-33.

სლოვენია

სოციალური საწარმოების ლანდშაფტი

სოციალური საწარმოების განმარტება

სოციალური მეწარმეობის 2011 წელს მიღებული აქტის თანახმად "არა-მომგებიანი იურიდიული პირი არის საზოგადოება, ინსტიტუტი, ფონდი, კომპანია, საზოგადოებრივი კოოპერატივი, ევროპული საზოგადოებრივი კოოპერატივი ან სხვა იურიდიული პირი, რომელიც რეგულირდება კერძო სამართლით, არ არის შექმნილი მხოლოდ ერთადერთი მიზნისთვის, რომ მოიპოვოს მოგება და ის არ ანაწილებს აქტივებს, მოგებას და ჭარბ შემოსავალს, გარდა კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა".²³²

მოგების და ჭარბი შემოსავლის განაწილება დაუშვებელია, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა იმ კანონის მიერ, რომელიც არეგულირებს არა-მომგებიანი იურიდიული პირების სამართლებრივ სტრუქტურებს. ამ შემთხვევაში სოციალურ საწარმოს შეუძლია მოგება და ჭარბი შემოსავალი გაანაწილოს თავის წევრებზე, როგორც მმართველ ასევე დაქირავებულ თანამშრომლებზე მოგების მაქსიმუმ 20%-მდე, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოგება არ წარმოადგენს საჯარო/სახელმწიფო სახსრებს და თუ განაწილება ნებადართულია ორგანიზაციის წესდებით.

სოციალურ საწარმოს, რომელიც მოგებას ან ჭარბ შემოსავალს ანაწილებს, უფლება არ აქვს ამ პროცესიდან თავიანთი თანამშრომლები გამორიცხოს. მოგების ან ჭარბი შემოსავლების არაპირდაპირი განაწილება უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ბონუსების გაცემა პასუხისმგებელ პირებზე, საბჭოს წევრებზე და სხვა ორგანოებზე ან თანამშრომლებზე
- ხელფასის ანაზღაურება, თუ ის 30%-ით აღემატება შესაბამისი კლასიფიკაციის ტარიფით განსაზღვრულ საბაზისო ხელფასს, რომელიც ფიქსირებულია დარგობრივი კოლექტიური ხელშეკრულებებით (შემდგომში: საბაზისო ხელფასი), თუ ეს თანხა ვერ გაუტოლდება მინიმალურ ხელფასს, ან თუ სოციალური საწარმო მოახდენს განსაზღვრული პროფესიების აუცილებლობის არგუმენტირებას
- სამსახურთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, რომელიც აჭარბებს რეგულაციით დაწესებულ ზღვარს, თუ კანონქვემდებარე სპეციალური აქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული

სამუშაოსთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება და მოხალისეების გადამზადების ხარჯები არ ჩაითვლება არაპირდაპირი მოგების განაწილებად, თუ იგი არ გადააჭარბებს იმ თანხებს, რაც მესამე აბზაცის წინა პუნქტშია მითითებული ან არ გადააჭარბებს თანამშრომლების სწავლებისთვის გათვალისწინებულ ხარჯებს.²³³

232 Article 2, Act on Social Entrepreneurship, Official Gazette, 20/2011, English version is available at http://www.mddsz.gov.si/fileadmin/mddsz.gov.si/pageuploads/dokumenti_pdf/zaposlovanje/Act_SE_rev_clear.pdf, last accessed 21 September.

²³³Article 11 (2)-(4) Ibid.

კანონი სოციალურ მეწარმეობას შემდეგნაირად განმარტავს: სოციალური მეწარმეობა არის მუდმივი სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებული ან სხვა აქტივობები, რომელიც ექვემდებარება განსაკუთრებულ შრომით პირობებს, ბაზარზე პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის ან სერვისების მიწოდების მიზნით, რომლისთვისაც მოგების მიღება არ წარმოადგენს განსაკუთრებულ და მთავარ მიზანს.²³⁴

კანონი სოციალური მეწარმეობის მიზნებს შემდეგნაირად განსაზღვრავს: “სოციალურმა მეწარმეობამ უნდა გააძლიეროს სოციალური სოლიდარობა და ერთიანობა, ხელი შეუწყოს ადამიანების ჩართულობას, მხარი დაუჭიროს მოხალისეობრივ მუშაობას, გააუმჯობესოს საზოგადოების შესაძლებლობები ინოვაციურ, სოციალურ, ეკონომიკურ, გარემოს დაცვით და სხვა საკითხებში, უზრუნველყოს დამატებითი პროდუქციის და მომსახურების მიწოდება საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, განავითაროს დასაქმების ახალი შესაძლებლობები, შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები, ხელი შეუწყოს მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ ინტეგრაციას და პროფესიულ რეინტეგრაციას შრომის ბაზარზე (სოციალური მეწარმეობის ამოცანები/მიზნები).²³⁵

სამართლებრივი ფორმები

კანონი არ განსაზღვრავს სოციალური საწარმოების კონკრეტულ სამართლებრივ ფორმას. ამის ნაცვლად ის ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ არა-მომგებიან იურიდიულ პირს შეუძლია მიიღოს სოციალური საწარმოს სტატუსი თუ დააკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ის დაარსდა იმ მიზნისთვის, რომ მუდმივად შეასრულოს სოციალური მეწარმეობის საქმიანობა და დასაქმებული ჰყავდეს მინიმუმ ერთი ადამიანი პირველი წლის განმავლობაში და ორი ადამიანი შემდგომ წლებში (**A ტიპის სოციალური საწარმო**) ან
- ის დაარსდა იმ მიზნისთვის, რომ დაასაქმოს ადამიანები არსებული კანონის პუნქტი 6-ის²³⁶ თანახმად და მუდმივად იყოს დაკავებული კონკრეტული საქმიანობით და თანამშრომელთა მინიმუმ ერთი მესამედი წარმოადგენდეს ამ სამიზნე ჯგუფს (**B ტიპის სოციალური საწარმო, WISE**) და
- ის იმუშავებს სოციალური მეწარმეობის პრინციპების შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია კანონის მიერ.²³⁷

²³⁴ Article 3, Act on Social Entrepreneurship.

²³⁵ Article 3 (2), Act on Social Entrepreneurship.

²³⁶ აღნიშნული ჯგუფები განისაზღვრება როგორც მოწყვლადი სამიზნე ჯგუფები: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, დაუსაქმებელი ადამიანები, რომელთა დასაქმებაც რთულია უმუშევრობის დიდხნიანი (24 თვეზე მეტი) პერიოდის გამო, პირველი სამსახურის მძიებელი პირები, 55 წელს გადაცილებული ადამიანები, ბოშები, პირველდაწყებითი და საშუალო სკოლიდან გამორიცხული ახალგაზრდები, ყოფილი პატიმრები (სასჯელის მინიმუმ 1 წლიანი ვადის მოხდის შემდეგ), ინტეგრაციის პროგრამაში ჩართული დევნილები, ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მომხმარებლები, რომლებიც რეაბილიტაციის პროგრამას გადიან ან 2 წლის (ან უფრო ნაკლები დროის) წინ დაასრულეს ის, ასევე უსახლკარო ადამიანები.

²³⁷ Article 8, Act on Social Entrepreneurship.

სლოვენიაში სოციალური საწარმოს სპექტრი ასევე მოიცავს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც წინა რეჟიმის მემკვიდრეები არიან (ტრადიციული კოოპერატივები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების კომპანიები²³⁸), რომლებიც უზრუნველყოფენ ყველაზე მნიშვნელოვან წვლილს მთლიან შიდა პროდუქტში; ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნაში; ახლად დაარსებულ ორგანიზაციებში (ქარხნები, ინსტიტუტები, საზოგადოებები და ფონდები).²³⁹

სოციალური საწარმოების მონაცემები და ფაქტები

- სოციალური საწარმოების უმრავლესობა არის ასოციაციები და ინსტიტუტები. გარდა ამისა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების კომპანიები სოციალური საწარმოების ძალზედ მნიშვნელოვანი ტიპს წარმოადგენს (რომელიც პირველ რიგში ფოკუსირდება დასაქმებაზე)
- სოციალური საწარმოების სამართლებრივი კატეგორიები სრულად არ მოიცავს დე ფაქტო სოციალურ საწარმოებს, რაც ზოგადად სლოვენიაში არსებობს
- სოციალური საწარმოები დამოკიდებულები არიან ევროკავშირის გრანტებზე, მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების სუბსიდიებზე და ბაზარზე საქმიანობის მიერ მიღებულ შემოსავალზე
- სოციალური საწარმოები თავიანთ მისიას აღწევენ მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებით. ბოლო ტენდენცია გამოიყენება გარემოზე ზეგავლენის მისაღწევად.²⁴⁰

მხარდამჭერი სისტემის სტრუქტურა

ინფრასტრუქტურა

სლოვენიაში სოციალური საწარმოების მხარდამჭერაში მთავარ როლს თამაშობენ შემდეგი ინსტიტუციები:

შრომის, ოჯახის, სოციალური საკითხების და თანაბარი შესაძლებლობების სამინისტრო (Ministry of Labour, Family, Social Affairs and Equal Opportunities (MLFSA))²⁴¹: თავდაპირველად ამ სამინისტროს ევალებოდა სოციალური მეწარმეობის აქტის განხორციელება, ის მხარს უჭერს სოციალური მეწარმეობის საბჭოს, ინარჩუნებს სოციალური საწარმოების რეგისტრაციას და

²³⁸Sheltered workshops for disabled and job centres for disabled as defined in Act Regulating the Training and Employment of Disabled Persons.

²³⁹European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Slovenia, October 2014, p. 19, available at <http://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=es&catId=89&newsId=2149>, last accessed 16 September 2016.

²⁴⁰Ibid, p. 26.

²⁴¹ <http://www.mdsz.gov.si/en/>

ორგანიზებას უწევს სოციალური საწარმოების ღონისძიებებს (დებატები, პრეზენტაციები და ა.შ).²⁴²

ეკონომიკური განვითარების და ტექნოლოგიის სამინისტრო (Ministry of Economic Development and Technology)²⁴³: ამჟამად ეს სამინისტრო კოორდინირებს უკეთეს სოციალური მეწარმეობის საქმიანობას. თუმცა, ის უფრო აქცენტს აკეთებს მეწარმეობაზე, ვიდრე სოციალურ ინოვაციებზე და ინკლუზიაზე.²⁴⁴

სოციალური მეწარმეობის საბჭო (Council for Social Entrepreneurship)²⁴⁵: ის შედგება ყველა სამინისტროს წარმომადგენლებისგან (საგარეო საქმეთა სამინისტროს გარდა), სოციალური საწარმოების ორი და სოციალური პარტნიორობის ერთი წარმომადგენლისგან და ერთი ექსპერტისგან. ეს საბჭო პასუხისმგებელია პოლიტიკის შემუშავებაზე, კონკრეტულად მან მოამზადა სოციალური მეწარმეობის განვითარების 2013-2016 წლების სტრატეგია.²⁴⁶

საჯარო პოლიტიკა

კანონი სოციალური მეწარმეობის შესახებ ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური საწარმოების განვითარებას, მათ შორის სოციალური მეწარმეობის საბჭოს შექმნას, სოციალური მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის შექმნას და კრიტერიუმების პროგრამის შექმნას, რომლის მიხედვითაც განხორციელდება სტრატეგია ყოველ ოთხ წელიწადში.

სოციალური მეწარმეობის საქმიანობის და სოციალური საწარმოების საბუღალტრო სტანდარტების (2/2012) დებულება მიღებულ იქნა 2012 წელს (ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანო, 54/2012, შესწორებული 45/2014), ხოლო სოციალური საწარმოების საქმიანობის მონიტორინგის წესები მიღებული იქნა 2013 წელს (35/2013).

სოციალური მეწარმეობის 2013-2016 წლების განვითარების პირველი სტრატეგია მიღებულ იქნა 2013 წელს საბჭოს მიერ. იგი გამოყოფს სამი მაღალი დონის მიზანს აღნიშნული პერიოდისთვის:

- სოციალური მეწარმეობის ცნობადობის და სოციალური მეწარმეობის პრინციპების შესახებ არსებული ცოდნის გაზრდა
- მეწარმეობის არსებული ხელშემწყობი გარემოს განახლება და
- მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობა შრომის ბაზარზე

²⁴²European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Slovenia, October 2014, p. 4.

²⁴³ <http://www.mgrt.gov.si/en/>

²⁴⁴ Šporar, Primož & Strojani, Kristjan, Innovative Social Services Ltd (Brez Dobička), Social Innovation in Slovenia, p. 1, available at

https://webgate.ec.europa.eu/socialinnovationeurope/sites/default/files/sites/default/files/social_innovation_in_slovenia_2015.pdf, last accessed 21 September 2016.

²⁴⁵ http://www.mgrt.gov.si/si/delovna_podrocja/socialno_podjetnistvo/svet_soc_p/

²⁴⁶European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Slovenia, October 2014, p. 4.

კრიტერიუმების პროგრამა (Program of Measures), რომელიც მიზნად ისახავდა სტრატეგიის განხორციელებას, მიღებულ იქნა 2014 წელს.²⁴⁷

შემოთავაზებული კრიტერიუმების პროგრამა და გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებები და დაფინანსების წყაროები შეგიძლიათ იხილოთ ცხრილში 2.1 (5-7 გვ.)
European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Slovenia, October 2014,
წყარო <http://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=es&catId=89&newsId=2149>

ამჟამად სოციალური მეწარმეობის ფორმირებისთვის არ არსებობს წახალისების ფორმები, ვინაიდან არ არის საგადასახადო შეღავათები, არც საფინანსო სარგებელი იმ სამართლებრივი ფორმების ფარგლებში, რომლებითაც სარგებლობენ სოციალური საწარმოები.²⁴⁸ ზოგიერთი წინა საჯარო ღონისძიებები სოციალური საწარმოების მხარდაჭერისთვის მოიცავდა შემდეგს:

- შრომის, ოჯახის, სოციალური საკითხების და თანაბარი შესაძლებლობების სამინისტროს (MLFSA) მიერ 2009 და 2012 წელს საპილოტე პროექტების მხარდასაჭერად ორჯერ გამოცხადდა საგრანტო კონკურსი. ამ ტენდერის საფუძველზე 24-მა პროექტმა ჯამში €6.5 მილიონის დაფინანსება მიიღო ევროპის სოციალური ფონდისგან. საპილოტე პროექტები მიზნად ისახავდა იმ ადამიანების მომზადებას და დასაქმებას რომლებიც მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან (რთულად დასასაქმებელი) (B ტიპის სოციალური საწარმოები)
- 2014 წელს „საჯარო სამსახურის“ პროგრამა, რომელიც შემუშავებულ იქნა MLFSA და სლოვენის დასაქმების სამსახურის მიერ განხანგრძლივდა, რაც მიზნად ისახავდა B ტიპის სოციალური საწარმოების რეგისტრაციას. პროგრამა ორიენტირებული იყო ხანგრძლივად უმუშევარი მოწყვლადი ჯგუფების გააქტიურებაზე. პროექტებს უნდა ემუშავა ორი წლის განმავლობაში და მისი მიზანი იყო B ტიპის სოციალური საწარმოების დაარსება ან მათი განახლება/მოდერნიზაცია.²⁴⁹ ამ ღონისძიებების განსახორციელებლად €2 მილიონია ხელმისაწვდომი
- პროექტი SEA- სოციალური ეკონომიკის განვითარების სააგენტო Social Economy Development Agency- ეს სააგენტო ფინანსდება იტალიის და სლოვენის სასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამის მიერ. €1.3 მილიონი იყო ხელმისაწვდომი 2011-2014 წლებში. პროექტის მიზანი იყო სოციალური მეწარმეობის განვითარება სასაზღვრო ზონაში, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების და საერთო პოლიტიკის გატარების გზით, რაც ხელს შეუწყობს სოციალური მეწარმეობის განვითარებას და სოციალური ეკონომიკის განვითარების სააგენტოს დაარსებას, ევროპული საზოგადოებრივი კოოპერატივის სამართლებრივი ფორმის შესაბამისად.²⁵⁰

სოციალურ საწარმოებს შემოსავლის სამი ძირითადი წყარო აქვთ: (1) ევროკავშირის საპროექტო გრანტები; (2) სუბსიდიები მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებისთვის

²⁴⁷ The Programme of Measures can be accessed at in Slovenian at http://www.mddsz.gov.si/fileadmin/mddsz.gov.si/pageuploads/dokumenti_pdf/zaposlovanje/Program_ukrepov_2014-2015_za_izvajanje_strategije_razvoja_socialnega_podjetnistva.pdf.

²⁴⁸ European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Slovenia, October 2014, p. 7.

²⁴⁹ http://www.mddsz.gov.si/nc/si/medijsko_sredisce/novica/article/1966/7294/

²⁵⁰ European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Slovenia, October 2014, p. 8.

(საზოგადოებრივი სამუშაოს პროგრამა და დასაქმების სუბსიდიები მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებისთვის ESF-დან); (3) საბაზრო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

სოციალური მეწარმეობის კანონი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო ტენდერების მინიმუმ 30%, რომელიც უკავშირდება სამუშაოს ინტეგრაციას და პროფესიონალურ მომზადებას აუცილებლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს WISE-ისთვის (ე.წ. „დარეზერვებული სახელმწიფო ტენდერები“).²⁵¹

2015 წელს სლოვენის მთავრობამ გამოაცხადა სოციალური საწარმოების ხელისშემწყობი ახალი ღონისძიებები, რომელიც მოიცავს 10 დაგეგმილ სტრატეგიულ პროექტს. მათ შორის, სოციალური მეწარმეობის, კოოპერატივების, კრეატიული ინდუსტრიების და ეკონომიკური დემოკრატიის პროექტების ხელშეწყობა. პროექტს უნდა მიეღო €11.5 მილიონი სახელმწიფო ფონდიდან, იმ დროს როდესაც €10 მილიონი უნდა შემოსულიყო ევროკავშირის ფონდიდან. ეკონომიკური განვითარების და ტექნოლოგიების სამინისტრომ გაითვალისწინა €2 მილიონი კერძო დაფინანსებიდან. სპეციალური საპროექტო ჯგუფი, რომელსაც მართავს სახელმწიფო მდივანი ჩამოყალიბდა პრემიერ მინისტრის კანცელარიის უწყებაში და პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე, ასევე უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას.²⁵²

2016 წლის მარტში ეკონომიკური განვითარების და ტექნოლოგიების სამინისტრომ გამოაქვეყნა სოციალური საწარმოებისთვის განკუთვნილი ახალი მიკრო საფინანსო სქემა. ეს სქემა ემსახურება სოციალური მეწარმეობის სექტორის განვითარებას. ეს ღონისძიება ითვალისწინებს კარგი პრაქტიკის გავრცელებას, ისეთი როგორცაა კოოპერატივების დაარსება, რომელიც სლოვენიაში ძირითადად სოფლის მეურნეობით და მეწარმეობის სხვა ფორმებით შემოიფარგლება.

დაწყებული ამ წლიდან, კომპანიები, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც სოციალური საწარმოები ექნებათ სწრაფი და მარტივი წვდომა კრედიტზე ძალზედ ხელსაყრელი პირობებით. მეწარმეობის ფონდი (Entrepreneurship Fund) მიკროკრედიტების ჩარჩოს ფარგლებში აუთვისებელი თანხებიდან გამოყოფს €12 მილიონს, საიდანაც თითოეული ბენეფიციარი მიიღებს €25 000-მდე. სესხები გაცემული იქნება ხელსაყრელი პირობებით, დაბალი საპროცენტო განაკვეთით და ხანგრძლივი ვადით.²⁵³ ეს მიკროკრედიტები ხელმისაწვდომი იქნება ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით (2.5-დან 5%-მდე) 6

²⁵¹ European Center for Not-for-profit Law, Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, August 2015, p. 6, available at <http://ecnl.org/wp-content/uploads/2015/10/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>, last accessed 18 September 2016.

²⁵² Government of the Republic of Slovenia, “The government embarks on a project of promoting social entrepreneurship”, 15 January 2015, available at

http://www.vlada.si/en/media_room/newsletter/slovenia_weekly/news/article/the_government_embarks_on_a_project_of_promoting_social_entrepreneurship_50749/, last accessed 22 September 2016.

²⁵³ Government of the Republic of Slovenia, “Microcredit to Boost Social Entrepreneurship, 23 March 2016, available at http://www.vlada.si/en/media_room/newsletter/slovenia_weekly/news/article/microcredit_to_boost_social_entrepreneurship_57881/, last accessed 22 September 2016.

თვიანი მორატორიუმის პერიოდით და დაფარვის 60 თვიანი ვადით.²⁵⁴ მიკრო სესხები არის ფონდის მიერ შექმნილი უახლესი დანამატი 700-ზე მეტი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის სოციალური საწარმოების ფინანსური წახალისებისთვის.²⁵⁵

სლოვენის სახელმწიფო მდივნის ტადეჟ სლაპნიკის (Tadej Slapnik) თქმით ამ ეტაპზე სლოვენიაში 130 სოციალური საწარმო არის რეგისტრირებული. სლაპნიკი იმედოვნებს მათი რაოდენობის მკვეთრ მატებას უახლოესი თვეების განმავლობაში და ასევე ამ საწარმოებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის ზრდას.²⁵⁶

მაგალითები რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე

2010 წელს სლოვენის მთავრობამ მიიღო კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის 2010-2015 წლების პროგრამა პომურის რეგიონისთვის (Programme for Promoting Competitiveness of the Pomurje Region 2010-2015), რაც შეესაბამება პომურის რეგიონის 2010-2015 წლების მხარდაჭერის განვითარების კანონს. პროგრამის მიზანი იყო სამუშაო ადგილების შექმნა და შენარჩუნება, ინფრასტრუქტურის განვითარება, პომურის ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების აღმოფხვრა. ამ პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ ინსტრუმენტად გათვალისწინებული იყო სოციალური მეწარმეობის წახალისება.²⁵⁷

ინსტრუმენტის მიზანია მხარი დაუჭიროს სოციალურ საწარმოებში სამეწარმეო იდეების განვითარებას, რომელიც ბაზრის ნიშებში ხელს შეუწყობს სოციალური საწარმოების შექმნას საჯარო და კერძო სექტორში. სოციალური მეწარმეობის იდეების განხორციელება ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

სოციალური მეწარმეობის წახალისებისთვის ხელისუფლებამ შეიმუშავა ორეტაპიანი პროცედურა:

- პირველი ეტაპი ეხება რეგიონალური და ადგილობრივი მოთამაშეების კავშირს, დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს სოციალური მეწარმეობის ქსელის განვითარებას

254 “Microcredits for Slovenian Social Businesses”, European Social Fund, 18 March 2016, available at <http://ec.europa.eu/esf/main.jsp?catId=67&langId=en&newsId=2504>, last accessed 22 September 2016.

255 Government of the Republic of Slovenia, “Microcredit to Boost Social Entrepreneurship, 23 March 2016, available at http://www.vlada.si/en/media_room/newsletter/slovenia_weekly/news/article/microcredit_to_boost_social_entrepreneurship_57881/, last accessed 22 September 2016.

256 Government of the Republic of Slovenia, “Microcredit to Boost Social Entrepreneurship, 23 March 2016, available at http://www.vlada.si/en/media_room/newsletter/slovenia_weekly/news/article/microcredit_to_boost_social_entrepreneurship_57881/, last accessed 22 September 2016.

257 Government Office for Local Self-government and Regional Office, Programme for Promoting Competitiveness of the Pomurje Region 2010-2015, Ljubljana, 2010, p. 10, available at http://www.mgrt.gov.si/fileadmin/mgrt.gov.si/pageuploads/svlr/PROJEKTNA_PISARNA_-_POMURJE/PUBLIKACIJE/Publikacija-ANG.pdf, last accessed 22 September 2016.

- მეორე ეტაპი მოიცავს საპილოტე პროექტების განხორციელებას, რაც შექმნის კარგი გამოცდილების მაგალითს სლოვენიის სხვა რეგიონებისთვის.

პროგრამის მიზნები იყო:

- სამეწარმეო ღონისძიებების გაძლიერება სოციალურ ეკონომიკაში, განსაკუთრებით რეგიონის იმ ადგილებში სადაც კონკურენტული უპირატესობაა
- სოციალური ჩართულობის და დასაქმების გაზრდა
- სოციალური მეწარმეობის შესახებ ცოდნის ამაღლება ადამიანთა ფართო მასებში
- სოციალური მეწარმეობის კონკრეტული პროექტების მომზადება
- იმ პროექტების დაფინანსება, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია და ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას რეგიონში.

ეს ინსტრუმენტი ინიცირებული იყო ისეთი პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც ზეგავლენას მოახდენდნენ რეგიონში ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე. სოციალური მეწარმეობის პროექტები მიმართული იყო მიზნობრივი ჯგუფის გრძელვადიან პერსპექტივაში უმუშევრობის რიცხვის შემცირებისკენ რეგიონში, ხოლო მოკლევადიან პერსპექტივაში უმუშევართა გააქტიურებისა და შესაძლებლობების ზრდისკენ.²⁵⁸

სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის ხელისუფლებამ შექმნა გარკვეული ინდიკატორები. როგორც ეფექტის ინდიკატორი, დაგეგმილი იყო იმ კომპანიების რაოდენობის გაზრდა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სოციალური მეწარმეობის პროგრამაში, იმ დროს, როდესაც შედეგის ინდიკატორად დადგენილი იყო სოციალური მეწარმეობის პროგრამაში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა. მიზანი კი სოციალურ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობის 50-ზე მეტი ადამიანით გაზრდა იყო.²⁵⁹

პროგრამა მოიცავდა სოციალური მეწარმეობის ფინანსური ხელშეწყობის შემდეგ გეგმას²⁶⁰:

2010	€200.000
2011	€400.000
2012	€400.000
2013	€400.000
2014	€400.000
2015	€400.000
ჯამში	1.200.00

²⁵⁸ Ibid., pp. 30-31.

²⁵⁹ Ibid., p. 23.

²⁶⁰ Ibid., p. 38.

დაფინანსების სისტემის დადებითი და უარყოფითი ეფექტები

როგორც მანამდე იყო აღწერილი სლოვენიას სოციალური საწარმოებისთვის ძალიან კარგი სამართლებრივი ჩარჩო აქვს, ამაში იგულისხმება სოციალური მეწარმეობის აქტი, სოციალური მეწარმეობის განვითარების სტრატეგია და სტრატეგიის განხორციელების პროგრამის კრიტერიუმები. თუმცა, როგორც დაინტერესებული მხარეები აცხადებენ, სტრატეგიას და პროგრამის კრიტერიუმებს აქვს შემდეგი სისუსტეები:

- ღონისძიებები ძირითადად ფოკუსირებულია B ტიპის (WISE) სოციალურ საწარმოებზე
- სტრატეგია არ უზრუნველყოფს რაიმე სახის ღონისძიებას, რაც გააიოლებს ფინანსურ მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობას (მათ შორის ფინანსურ ინსტრუმენტებზე).²⁶¹

გარდა ამისა, მხარდაჭერის სისტემის დამატებითი ხარვეზები გამოვლინდა დაინტერესებული პირების მიერ. მაგალითად, დღესდღეობით ფინანსური უზრუნველყოფა არ აკმაყოფილებს სოციალური საწარმოების ფინანსურ მოთხოვნილებებს. მეორეს მხრივ, სოციალურ საწარმოებს ხშირად არ გააჩნიათ სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს მოდელები, რის გამოც დაფინანსება მწირია. მენეჯერებს არ გააჩნიათ დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ ცოდნა ეროვნული და ევროკავშირის პროექტების მხარდაჭერის მიღმა. მენეჯმენტისა და ფინანსური ცოდნის ნაკლებობა უკავშირდება იმ ფაქტს, რომ მეწარმეების უმეტესობა მოდის არასამთვრობო სექტორიდან და ტრადიციულად ეყრდნობა საგრანტო დაფინანსებას. ბიზნეს გამოცდილება არც ისე ბევრ სოციალურ მეწარმეს აქვს.²⁶²

ვინაიდან არსებობს გარკვეული ხარვეზები კანონმდებლობაში, კანონი სოციალური მეწარმეობის შესახებ შეიცვალა. შრომის, ოჯახის, სოციალური დაცვის და თანაბარი შესაძლებლობების სამინისტრო ასევე განაახლებს სოციალური მეწარმეობის განვითარების სტრატეგიას.²⁶³

²⁶¹European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Slovenia, October 2014, p. 7.

²⁶²Ibid., p. 17.

²⁶³Government of the Republic of Slovenia, "The government embarks on a project of promoting social entrepreneurship", 15 January 2015.

დიდი ბრიტანეთი

სოციალური მეწარმეობის ლანდშაფტი

სოციალური საწარმოების განმარტება

დიდ ბრიტანეთში არ არსებობს სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი განმარტება. მთავრობა²⁶⁴ სოციალურ საწარმოს განსაზღვრავს, როგორც „სოციალური მიზნების მქონე ბიზნესს, რომლის მოგება რეინვესტირდება ბიზნესში ან თემში და არ გამოიყენება იმისთვის, რომ მაქსიმალური მოგება მიიღონ აქციონერებმა და მფლობელებმა“. ეს განსაზღვრება გამოყოფს სოციალური საწარმოს სამ ძირითად განმასხვავებელ ფაქტორს: (i) მას პირველ რიგში უნდა ჰქონდეს სოციალური მიზნები; (ii) ის უნდა იყოს ბიზნესი; და (iii) ნებისმიერი მოგება ან ჭარბი შემოსავალი უნდა რეინვესტირდეს ძირითადად სოციალური მიზნების განხორციელებაში ან თემში და არ განაწილდეს აქციონერებსა და მფლობელებს შორის.

აღნიშნული ფაქტორები არის სოციალური საწარმოს განმსაზღვრელი მახასიათებლები, რომელსაც ადგენს Social Enterprise UK (SEUK)²⁶⁵ - სოციალური საწარმოების უდიდესი გაერთიანება. სახელმძღვანელოში სოციალური საწარმოს დაწყების შესახებ წერია, რომ „სოციალური საწარმო არის არა იურიდიული ტერმინი, არამედ მიდგომა. ეს ფრაზა გამოიყენება იმ ბიზნესის აღსაწერად, რომელიც არსებობს სოციალური მიზნებისთვის (...) და ბოლოს, იყო სოციალური საწარმო ნიშნავს მიიღო მთელი რიგი პრინციპები“²⁶⁶. SEUK წევრობის კრიტერიუმები განსაზღვრავს, რომ ეს პრინციპები უნდა იყოს შემდეგი: (i) წესდებით გათვალისწინებული წმინდა სოციალური და/ან გარემოს დაცვითი მისია; (ii) შემოსავლის უმეტესი წილის მიღება ვაჭრობიდან; (iii) მოგების უმეტესი წილის რეინვესტირება სოციალური მიზნების მისაღწევად; (iv) მმართველობის განხორციელება სოციალური მისიის ინტერესებიდან გამომდინარე; და (v) გამჭირვალე ოპერაციები და სოციალური გავლენის ანგარიშგება.²⁶⁷

სამართლებრივი ფორმები

დიდ ბრიტანეთში სოციალური საწარმოების სექტორი მრავალფეროვანია, ის მოიცავს შემდეგი სახის ორგანიზაციებს:

264 Department for Business, Innovation and Skills, A Guide to Legal Forms for Social Enterprise, November 2011, available at https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/31677/11-1400-guide-legal-forms-for-social-enterprise.pdf, last accessed 23 September 2016.

265 <http://www.socialenterprise.org.uk>

266 Social Enterprise UK, Start Your Social Enterprise, 1012, available at http://www.socialenterprise.org.uk/uploads/files/2012/07/start_your_social_enterprise.pdf, last accessed 23 September 2016.

267 European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: United Kingdom, October 2014, p. 1, available at <http://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=es&catId=89&newsId=2149>, last accessed 16 September 2016.

Social firms: ყველაზე მოწვევადი ჯგუფებისთვის შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილების შექმნა.

Development trusts:²⁶⁸ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და დაუცველი ადამიანებისთვის ინტეგრირებული დასაქმება. ესენი არიან ქოლგა ორგანიზაციები, რომლის ქვეშაც მრავალი რეგენერაციული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს.

Intermediate labour market companies: ისინი უზრუნველყოფენ მომზადებას და სამუშაო გამოცდილების ამაღლებას ხანგრძლივად უმუშევარი და სხვა სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის. ამ კომპანიების მიზანია ხელი შეუწყოს ამ ჯგუფების შრომის ბაზარზე ხელახლა შეყვანას ანაზღაურებადი სამუშაოს მეშვეობით და პროფესიული და პიროვნული განვითარების ტრენინგების მიწოდებით.

Community businesses: ესენი არიან სოციალური საწარმოები, რომლებსაც აქვთ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და კონცენტრირებულნი არიან ადგილობრივ ბაზარსა და მომსახურებაზე. ეს არის სავაჭრო ორგანიზაციები, რომლებიც დაარსებულია, ეკუთვნის და კონტროლდება ადგილობრივი თემის მიერ, რომელთა მიზანია თემის განვითარება და ადგილობრივი მოსახლეების სამუშაო ადგილებით მხარდაჭერა.

Credit unions: ეს არის საფინანსო კოოპერატივები, რომლებიც ეხმარებიან ადამიანებს თანხის ეკონომიაში და სესხებაში. საკრედიტო გაერთიანებები ასევე ხელმისაწვდომს ხდიან საზოგადოებრივი ინიციატივების დაფინანსებას.

Charities trading arms: ეს შვილობილი კომპანიები საქველმოქმედო ორგანიზაციებს ეხმარებიან მიაღწიონ თავიანთ მიზნებს ინოვაციური მიდგომებით, როგორცაა, რესტორნები, მაღაზიები და სამართლიანი ვაჭრობის პრინციპით მოქმედი კომპანიები.

დიდ ბრიტანეთში სოციალური საწარმოები იღებენ სხვადასხვა სამართლებრივ ფორმებს. ყველაზე ხშირად გამოყენებული სამართლებრივი ფორმებია:

Limited companies: ყველაზე უფრო ხშირად გავრცელებული ფორმა ბიზნესს კომპანიისთვის არის კერძო კომპანია, რომელიც შეზღუდულია ან აქციებით (CLS), ან ალტერნატიული გარანტიებით (CLG). შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ექვემდებარება უფრო მკაცრ რეგულირებას, ვიდრე არარეგისტრირებულ ფორმებს (unincorporated forms): მეტი ანგარიშვალდებულება და გამჭირვალობა აქციონერების და საზოგადოების მიმართ, მაგრამ შეზღუდული პასუხისმგებლობით. შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიები ექვევნიან „კომპანიების“ საერთო რეგულაციის ქვეშ და რეგისტრირდებიან სარეგისტრაციო პალატაში (Companies House)²⁶⁹ კომპანიების შესახებ 2004 წელს მიღებული კანონქმედებარე აქტის საფუძველზე.

Industrial and Provident Societies:²⁷⁰ სამრეწველო და ურთიერთდახმარების საზოგადოებები არიან ორგანიზაციები, რომლებიც მიმართავენ ბიზნესსა და ვაჭრობას კოოპერატივების სახით

268 https://en.wikipedia.org/wiki/Development_trust

269 <https://www.gov.uk/government/organisations/companies-house>

270 http://www.fsa.gov.uk/doing/small_firms/msr/societies

(საზოგადოებრივი კოოპერატივი) ან თემის საკეთილდღეოდ (სათემო სარგებლის საზოგადოებები Community Benefit Societies ან 'BenComms'). ისინი ექცევიან სამრეწველო და ურთიერთდახმარების საზოგადოების შესახებ 1965 წლის აქტის ქვეშ და რეგისტრირებული არიან ფინანსური საქმის წარმოების ორგანოში (Financial Conduct Authority).²⁷¹

Limited Liability Partnerships (LLPs): შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობას აქვს იურიდიული პირის სტატუსი, რომელიც კომპანიის ანალოგიურია. თუმცა თავიდანვე არ იყო ამ მიზნისთვის განსაზღვრული, LLP-ის ფორმა უზრუნველყოფს მოქნილ მოდელს სოციალური საწარმოებისთვის. განსაკუთრებით იქ, სადაც ისინი ცდილობენ ითანამშრომლონ სხვა ორგანიზაციებთან ან ინვესტორებთან, ან შეარჩიონ საკუთრების და კონტროლის საერთო მოდელი. LLP-ს აქვთ გაცილებით მეტი თავისუფლება ვიდრე კომპანიებს, იმისათვის, რათა მართონ თავიანთი საქმეები სურვილისამებრ- მაგალითად მიიღონ გადაწყვეტილება თუ როგორ განაწილდება მოგება.

შესაბამისად LLP-ის გადასაწყვეტია, გაანაწილოს მოგება წევრებზე თანაბრად, თუ გახდეს სოციალური საწარმო და მოგების უდიდესი ნაწილი მოახმაროს სოციალურ მიზნებს.

Charities: იმისათვის, რომ იმუშაონ როგორც სოციალურმა საწარმოებმა, საქველმოქმედო ორგანიზაციები უმეტესწილად იყენებენ არარეგისტრირებული ასოციაციების, development trust-ის ან გარანტიებით შეზღუდული კომპანიების ფორმებს. 2013 წლიდან საქველმოქმედო ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიღონ საქველმოქმედო არარეგისტრირებული ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა (Charitable Incorporated Organization (CIO), რითაც იღებენ კომპანიების მსგავსი ძალაუფლება, რომლებიც არ საჭიროებენ დარეგისტრირებას. საქველმოქმედო ორგანიზაციები რეგულირდებიან საქველმოქმედო ორგანიზაციების 2011 წელს მიღებული აქტით, რომელიც განსაზღვრავს საქველმოქმედო ორგანიზაციების რეგისტრაციისა და რეგულაციის სფეროებს ინგლისსა და უელსში.²⁷²

Sole traders (ინდივიდუალურ მეწარმეებს) და **unincorporated associations** (არარეგისტრირებულ ასოციაციებს) შეუძლიათ ასევე იმოქმედონ როგორც სოციალურმა საწარმოებმა.²⁷³

მას შემდეგ, რაც საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ გაიზარდა სამეწარმეო საქმიანობაში ჩარევის ტენდენცია, რათა მხარი დაეჭირათ თავიანთი საქმიანობისთვის და ასევე იმ შეზღუდვების გამო, რომელიც თან ახლდა მოგებაზე ორიენტირებული და საქველმოქმედო სექტორის ე.წ. ჰიბრიდულ საქმიანობას, მთავრობის მიერ 2004 წელს შეიქმნა სოციალური საწარმოებისთვის სპეციალური სამართლებრივი ფორმა ე.წ. **Community Interest Company ("CIC")**, რომელიც წარმოადგენს „კომპანიების აქტის“ ნაწილს. სოციალური საწარმოების სექტორის განვითარებაში CIC-მა ითამაშა უმნიშვნელოვანესი როლი და უფრო პოპულარული

271 <https://www.fca.org.uk/about>

272 <https://www.gov.uk/government/organisations/charity-commission>

273 European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: United Kingdom, October 2014, p. 6, p. 18 and pp. 25-26.

გახადა ის, ვიდრე მთავრობის პროგნოზებით იყო მოსალოდნელი.²⁷⁴ CIC აქვს ისეთივე სტრუქტურა, როგორც ტრადიციულ კომპანიას, მაგრამ საჭიროებს დამატებით ფუნქციას, მაგალითისათვის როგორებიცაა ოპერირება მხოლოდ თემის ინტერესების შესაბამისად, an asset lock და a cap on dividend payments. სოციალურ საწარმოს კვლავინდებურად შეუძლია გამოიყენოს კომპანიის სამართლებრივი ფორმა. CIC სტრუქტურა წარმოადგენს მკაფიო სიგნალს ინვესტორებისათვის, რომ საწარმო მუშაობს თემის სარგებლისთვის და ეს სოციალური მიზანი დაცულია სამართლებრივი რეგულაციებით.²⁷⁵

სოციალური საწარმოების მონაცემები და ფაქტები

მთავრობის სტატისტიკით გაერთიანებულ სამეფოში აღრიცხულია **70 000 სოციალური საწარმო**, რომლის წვლილი ეკონომიკაში არის £24 მილიარდი და რომელიც ასაქმებს ერთ მილიონამდე ადამიანს. 2005 წლის შემდეგ 11 000-ზე მეტი CIC შეიქმნა და ბოლო ხუთ წელიწადში შეიმჩნევა სოციალური ინვესტიციების მნიშვნელოვანი განვითარება, რაც ხელს უწყობს ამ მოძრაობის ზრდას.²⁷⁶

2015 წელს Social Enterprise UK-მ ჩაატარა კვლევა სოციალური საწარმოებზე, სადაც ჩანს, რომ:²⁷⁷

- სოციალური საწარმოების დაახლოებით 49% არის 5 წლის ან მეტი ხნის
- სოციალური საწარმოების 52%-მა ბოლო 12 თვეში გაზარდა ბრუნვა
- სოციალური საწარმოების 50%-მა აჩვენა მოგება, მათ შორის 26%-მა- ნულოვანი მოგება. მათმა უმეტესობამ მოგება გამოიყენა სოციალური ან გარემოსდაცვითი მიზნების განხორციელებისთვის
- სოციალური საწარმოების 31% მუშაობს გაერთიანებული სამეფოს ყველაზე მოწყვლადი რეგიონების 20%-ში
- სოციალური საწარმოების 73%-შემოსავლის 75%-ს კომერციული საქმიანობიდან იღებს
- სოციალური საწარმოების 27%-სთვის საჯარო სექტორი არის შემოსავლის მთავარი წყარო სოციალური საწარმოების 59%-ს აქვს სხვადასხვა სახის ბიზნეს ურთიერთობა საჯარო სექტორთან
- სოციალური საწარმოების 40% იმართება ქალების მიერ. მათგან 31% არის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, ხოლო 40% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი
- სოციალური საწარმოების 41%-მა ბოლო 12 თვის განმავლობაში შექმნა სამუშაო ადგილები

²⁷⁴ Doeringer, MF. Fostering Social Enterprise: A Historical and International Analysis, available at <http://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1052&context=djil>, last accessed 23 September 2016.

²⁷⁵ European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: United Kingdom, October 2014, p. 5 and 25.

²⁷⁶ Social Enterprise UK, State of Social Enterprise Survey 2015, p. 4, available at <http://socialenterprise.org.uk/uploads/editor/files/Publications/FINALVERSIONStateofSocialEnterpriseReport2015.pdf>, last accessed 23 September 2016.

²⁷⁷ Ibid., p. 5.

- სოციალური საწარმოების 59% ასაქმებს მინიმუმ ერთ შშმ პირს. 16%-სათვის კი ეს ჯგუფი თანამშრომელთა სულ მცირე ნახევარს წარმოადგენს.

მხარდამჭერი სისტემის სტრუქტურა

ინფრასტრუქტურა:

2001 წელს მთავრობამ დააარსა **სოციალური მეწარმეობის განყოფილება** (Social Enterprise Unit) (მაშინ) ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში და დანიშნა ახალგაზრდა მინისტრი (junior minister) როგორც სოციალური საწარმოს პასუხისმგებელი პირი. სოციალური მეწარმეობის განყოფილებამ 2002 წელს²⁷⁸ გამოაქვეყნა თავისი პირველი სტრატეგია, რომელიც შემუშავდა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და სადაც აღწერილ იქნა სოციალური საწარმოს განვითარების ყველა ხელისშემშლელი ბარიერი. შეიქმნა განვითარების სამწლიანი პროგრამა²⁷⁹, რომელიც მიზნად ისახავდა ყველა ბარიერის გადალახვას და შედეგების მიღებას სამი ძირითადი მიმართულებით.

- (i) შეიქმნას ხელსაყრელი პირობები: სამართლებრივი და მარეგულირებელი საკითხების გადაწყვეტის გზით და ხელი შეეწყოს სოციალური ღირებულების გაზრდას საჯარო შესყიდვების სექტორში
- (ii) გახდეს სოციალური მეწარმეობა უკეთესი ბიზნესი: უკეთესი ბიზნეს მხარდაჭერის და გადამზადების ხარჯზე და ასევე გაუმჯობესებული დაფინანსებით
- (iii) სოციალური საწარმოს ღირებულების დაწესება: ცნობადობის გაზრდა, ცოდნის ბაზის, აღიარების და სოციალური საწარმოს მიღწევების წახალისების და ნდობის ხარჯზე.

2006 წლიდან სოციალური მეწარმეობის განყოფილება გახდა ახლად შექმნილი **მესამე სექტორის ოფისის** ნაწილი (Office of the Third Sector), რომელიც რეგულირდება მინისტრთა კაბინეტის მიერ. იმავე წელს გამოაქვეყნდა ახალი სტრატეგია,²⁸⁰ სადაც წარმოდგენილი იყო უფრო კონკრეტული ქმედებები, მათ შორის:

- (i) სექტორისთვის მაღალი დონის ტრენინგის ხელშეწყობა
- (ii) კონკრეტული დაფინანსების გაუმჯობესება სოციალური საწარმოს ბიზნეს მხარდაჭერისთვის
- (iii) საინვესტიციო ფონდი

²⁷⁸ Department of Trade and Industry, Social Enterprise: A Strategy for Success, 2002, available at http://webarchive.nationalarchives.gov.uk/20061211095958/http://cabinetoffice.gov.uk/third_sector/documents/social_enterp_rise/se_strategy_2002.pdf, last accessed 23 September 2016.

²⁷⁹ Avenue Consulting Group, Social Entrepreneurship: Phenomenon and examples of international best practices, Yerevan, 2014, p. 10, available at <http://www.avenueconsulting.am/resources/avenue/uploads/pdf/af7111fbf9e9a6b2a731120de9b52b7c.pdf>, last accessed 23 September 2016.

²⁸⁰ Cabinet Office, Office of the Third Sector, Social Enterprise Action Plan: Scaling New Heights, available at http://webarchive.nationalarchives.gov.uk/20070701080507/http://cabinetoffice.gov.uk/third_sector/documents/social_enterp_rise/se_action_plan_2006.pdf, last accessed 23 September 2016.

- (iv) ტრენინგები, დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით
- (v) მესამე სექტორის ინტერ-ფრაქციული გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის უფრო მჭიდრო მუშაობას.

2010 წელს მესამე სექტორის ოფისი შეიცვალა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ოფისის სახელით (Office for Civil Society (OSC) და ახალმა მინისტრმა განაცხადა, რომ ამიერიდან სახელმწიფო პოლიტიკა კონცენტრირებული იქნებოდა სამ ფუნდამენტურ საკითხზე:

- (i) ოპერირების გამარტივებული პროცედურები შემოღება საქველმოქმედო ორგანიზაციების, სოციალური საწარმოების და მოხალისეობრივი ორგანიზაციებისთვის
- (ii) მეტი რესურსის დაგროვება სექტორში, მისი დამოუკიდებლობის და მდგრადობის გაძლიერება
- (iii) სექტორის წარმომადგენლებისთვის მუშაობის გაადვილება მთავრობასთან.

2011 წელს მთავრობამ აღიარა, რომ სოციალური საწარმოებისთვის პრობლემატურია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და გამოაქვეყნა ახალი სტრატეგია მზარდი სოციალური საინვესტიციო ბაზრის წასახალისებლად.²⁸¹ სტრატეგია შეიცავს წინადადებებს საგადასახადო წახალისების და მარეგულირებელი ჩარჩოების შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალურ ინვესტიციის მოზიდვას და დიდი საბანკო საზოგადოების (Big Society Bank) ჩამოყალიბებას, იქნება ახალი დაფინანსების ბერკეტი და შექმნის კავშირს სოციალურ საწარმოებსა და სოციალურ ინვესტორებს შორის (მისი ფუნქციები აღწერილია საჯარო პოლიტიკის თავში.²⁸²

2016 წლის ივლისში OCS და მისი მოვალეობანი, მათ შორის სოციალურ ინვესტიციებზე, მინისტრთა კაბინეტიდან კულტურის, მედიის და სპორტის დეპარტამენტის უფლებამოსილებაში გადავიდა. OCS პასუხისმგებელია:

- პირობების შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოხალისეობრივი, სათემო და სოციალური საწარმოების სექტორების მეტ დამოუკიდებლობას და სტაბილურობას
- სოციალური ინვესტიციების და სოციალური ობლიგაციების წახალისებაზე, რაც ეხმარება საბაზრო კაპიტალის განვითარებას, რომელიც მზარს უჭერს სოციალურ ეფექტის ზრდას
- სოციალური მისიის მქონე ბიზნესისთვის სახელმწიფო პოლიტიკის განვითარებაზე.²⁸³

2016 წლის ივლისიდან სოციალური მეწარმოების თემაზე პასუხისმგებლობა დაეკისრათ შემდეგ სამთავრობო დეპარტამენტებსა და ინსტიტუციებს:²⁸⁴

²⁸¹ Cabinet Office, Growing the social investment market: a vision and strategy, 2011, https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/61185/404970_SocialInvestmentMarket_acc.pdf, last accessed 23 September 2016.

²⁸² European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: United Kingdom, October 2014, pp. 3-4.

²⁸³ Weakley, Kirsty, "Office for Civil Society formally transferred to DCMS", 21 July 2016, available at http://www.civilsociety.co.uk/governance/news/content/22128/office_for_civil_society_formally_transferred_to_dcms, last accessed 23 September 2016.

²⁸⁴ European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: United Kingdom, October 2014, p. 16.

- ბიზნესის, ენერჯეტიკის და სამრეწველო სტრატეგიების დეპარტამენტი (ყოფილი ბიზნესის, ინოვაციის და უნარების დეპარტამენტი)²⁸⁵
- კულტურის, მედიის და სპორტის დეპარტამენტი, სამოქალაქო საზოგადოების ოფისი (ფორმალურად მინისტრთა კაბინეტის ნაწილი)²⁸⁶
- თემის და ადგილობრივი თვითმმართველობის დეპარტამენტი²⁸⁷
- შრომისა და საპენსიო უზრუნველყოფის დეპარტამენტი²⁸⁸
- სხვა სამთავრობო დეპარტამენტები.

საჯარო პოლიტიკა

მთავრობა ჯერ კიდევ აქტიურად არის ჩართული სოციალური საწარმოებისთვის მხარდაჭერი სისტემის განვითარების პროცესში, რაც გულისხმობს მათი სამართლებრივი ფორმისა და სტრუქტურის გაუმჯობესებას, საგადასახადო შეღავათების დაწესებას, რაც უფრო გაამდიერებს სოციალური საწარმოების მხარდაჭერ ეკოსისტემას და ასევე სოციალური საწარმოს მომსახურების მოთხოვნილების გაზრდას. მთავრობის მიერ შექმნილი მხარდაჭერის მრავალფეროვანი სისტემიდან უნდა აღინიშნოს²⁸⁹ რამდენიმე ღონისძიება, რომელთა მიზანია უზრუნველყოს დაფინანსება სოციალური საწარმოს განვითარების სხვადასხვა ფაზაში.

Big Society Capital

2012 წელს მთავრობამ შექმნა Big Society Capital (BSC),²⁹⁰ პირველი დამოუკიდებელი სოციალური ინვესტიციების ინსტიტუცია მსოფლიოში. BSC, როგორც ბაზრის ჩემპიონი სექტორში აფინანსებს შუამავლებს. ის მიიღებს £400 მილიონს უმოქმედო საბანკო ანგარიშებიდან და £200 მილიონს დიდი ბრიტანეთის ოთხი ყველაზე დიდი „high street“ ბანკიდან.²⁹¹ 2015 წლის ბოლოდან BSC-მ £261 მილიონის ინვესტიცია განახორციელა, სადაც თანადაფინანსებით ინვესტორებისგან მოზიდულ იქნა დამატებით £322 მილიონი. 2015 წლის ბოლოსთვის BSC-მ თანაინვესტორებთან ერთად გასცა £224 მილიონი საქველმოქმედო და სოციალური საწარმოების მხარდაჭერისთვის. ეს განპირობებული იყო ორი უმთავრესი ტენდენციით: პირველი, აღინიშნება მნიშვნელოვანი დაჩქარება 2015 წლის განმავლობაში (შედარებისთვის 2014 წელს გაიცა £104 მილიონი). მეორე, თანაინვესტორები, რომლებიც თანამშრომლობენ BSC-სთან აგრძელებენ მნიშვნელოვანი რაოდენობის ინვესტიციების

285 <https://www.gov.uk/government/organisations/department-for-business-energy-and-industrial-strategy>

286 <https://www.gov.uk/government/organisations/department-for-culture-media-sport>

287 <https://www.gov.uk/government/organisations/department-for-communities-and-local-government>

288 <https://www.gov.uk/government/organisations/department-for-work-pensions>

289 Drencheva, Andreana & Stephan, Ute, The State of Social Entrepreneurship in the UK, SEFORIS Country Report, April 2014, p. 2, available at http://static1.squarespace.com/static/56d2e6bbb654f9329d9dbd20e/t/5773e70146c3c49f04588b51/1467213570568/Country_Report_UK.pdf, last accessed 24 September 2016.

290 <https://www.bigsocietycapital.com>

291 Barclays, HSBC, Lloyds Banking Group and RBS.

გაცემას. £224 მილიონიდან £156 მილიონი არის თანაინვესტორებისგან და მხოლოდ £68 მილიონი BSC-ს პირადი რესურსებიდან მიღებული თანხა.²⁹²

BSC-ს აქვს ორმაგი როლი: ის მოქმედებს როგორც ჩემპიონი და როგორც ინვესტორი. როგორც ჩემპიონს მას აქვს შემდეგი მოვალეობები:

- **საქველმოქმედო და სოციალური საწარმოების ჩართულობა:** ის თანამშრომლობს საქველმოქმედო ორგანიზაციებთან და სოციალურ საწარმოებთან იმისათვის, რათა შეუქმნას წარმოდგენა და აუმაღლოს ცნობიერება სოციალური ინვესტიციების შესახებ
 - ის მხარს უჭერს ინტერნეტ-პორტალის განვითარებას სოციალური ინვესტიციების შესახებ, რაც ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს უფრო მეტი ინფორმაცია მიიღონ პროდუქტების და ფინანსების შესახებ (<http://www.goodfinance.org.uk>)
 - ის მუშაობს იმისთვის, რათა საქველმოქმედო ორგანიზაციები და სოციალური საწარმოები უკეთ იყვნენ ინფორმირებულნი სოციალური ინვესტიციების მზარდი შესაძლებლობების შესახებ
 - ის თამაშობს გადამწყვეტ როლს ინფორმაციის გაზიარების კუთხით, იმის შესახებ თუ როგორ იყენებენ საქველმოქმედო ორგანიზაციები და სოციალური საწარმოები სოციალურ ინვესტიციებს სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად
- **ინვესტორის ჩართულობა:** ის თანამშრომლობს დაინტერესებული მხარეების მთელ რიგ სპექტრთან, მათ შორის ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ ინვესტორებთან, ნდობის ჯგუფებთან (trusts), საქველმოქმედო ორგანიზაციებთან და ფონდებთან.
 - ის ეხმარება ძირითად ფინანსურ ინსტიტუტებს გაიგონ მეტი, სოციალური ინვესტიციების შესახებ
 - ის ეხმარება ნდობის ჯგუფებს, საქველმოქმედო ორგანიზაციებს და ფონდებს, გაიგონ თუ როგორ შეუძლიათ გახდნენ სოციალური ინვესტორები. ის აქტიურად უჭერს მხარს მათ, ვინც უკვე აკეთებს სოციალურ ინვესტიციებს, რათა გააფართოვონ თავიანთი საქმიანობა
 - ის მუშაობს ფინანსურ ინსტიტუტებთან და შუამავლებთან, რომლებსაც მჭიდრო კავშირები აქვთ ინდივიდუალურ ინვესტორებთან, იმისათვის, რომ ამაღლდეს ცნობიერება სოციალური ინვესტიციების და ხელმისაწვდომი საინვესტიციო პროდუქციის შესახებ
- **სოციალური ეფექტის ინსტრუმენტები:** ის ხელს უწყობს სოციალური ეფექტის გაზომვას.

როგორც ინვესტორი BSC ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

292 HM Government, Social Investment: A Force for Social Change, 2016 Strategy, p. 8 and 15, available at https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/507215/6.1804_SIFT_Strategy_260216_FINAL_web.pdf, last accessed 24 September 2016.

- ის აქტიურად ემეხს პარტნიორებს, რათა ერთობლივად შეადგინონ საპროექტი წინადადებები, რაც მიმართული იქნება კონკრეტული სოციალური პრობლემების და ბაზრის ხარვეზების მოსაგვარებლად
- ის მუშაობს შუამავლებთან იმისათვის, რომ განსაზღვროს და შეაფასოს საინვესტიციო წინადადებები
- ის თამაშობს აქტიურ როლს პოსტ-ინვესტიციებში, იმისათვის, რომ შეიქმნას სოციალური და ფინანსური მონაცემები და მოხდეს გამოცდილების გაზიარება.²⁹³


არსებითად BSC წარმოადგენს მმართველობის მექანიზმების რთულ კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფს ამ დაწესებულების დამოუკიდებლობას მთავრობისგან. ეს მოიცავს:

- მექანიზმს, რომლის საშუალებითაც შემდეგი 5 წლის განმავლობაში, £400 მილიონი (\$608 მილიონი) გადაირიცხება უმოქმედო (dormant) საბანკო ანგარიშებიდან, ცალკე არსებული ფონდის მეშვეობით
- Big Society Trust (BST) შექმნა, იმისათვის, რომ დაცული იყოს უმოქმედო აქტივების ინტერესები და უზრუნველყოს BSC-ს ერთგულება მისიისადმი. ნდობის ორგანიზაციას აქვს საკუთარი საბჭო, სადაც მთავრობისთვის მხოლოდ ერთი ადგილია განკუთვნილი
- BSC-სკყავს საკუთარი საბჭო და ხუთი აქციონერი: BST 60%-ით, Barclays, HSBC, Lloyds Banking Group და RBS, თითოეული 10%-იანი წილით. მიუხედავად იმისა, რომ ბანკებს ჯამში აქციების 40% აქვთ, ისინი ხმების 20 %-ზე მეტს ვერ მიიღებენ, რაც ხელს უწყობს BSC-ს სოციალური მიზნების შენარჩუნებაში.

BSC დამოუკიდებელი ინსტიტუციაა, მაგრამ მისი ინტერესები მჭიდროდაა დაკავშირებული მთავრობის ინტერესებთან, ის მიისწრაფვის შედეგზე ორიენტირებული საჯარო მომსახურების შესრულებაზე, მათ შორის არის ახალი სოციალური კომპანიების შექმნა ჯანდაცვაში, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, სისხლის სამართალი და სხვა სექტორები. რადგანაც BSC დაფუძნდა ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის ინიციატივით, მჭიდრო კავშირი ამ ორ უწყებას შორის კვლავაც ნარჩუნდება, რაც ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას საჯარო სერვისების რეფორმის შესახებ არსებულ უახლეს მოსაზრებებზე, რომელიც მხარს უჭერს BSC-ს საინვესტიციო შესაძლებლობის გაძლიერებას. BSC-მ მოიზიდა უაღრესად ნიჭიერი პროფესიონალების გუნდი, სწორედ იმიტომ, რომ ის არსებობს, როგორც ინოვაციური საჯარო და კერძო პარტნიორობის მაგალითი და ამ პროცესში ცალსახად უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს.²⁹⁴

293 <https://www.bigsocietycapital.com>

294 Schwab Foundation for Social Entrepreneurship and World Economic Forum, Breaking the Binary: Policy Guide to Scaling Social Innovation, April 2013, pp. 26-27, available at <http://socialenterprise.georgetown.edu/sites/socialenterprise.georgetown.edu/files/Breaking%20the%20Binary.pdf>, last accessed 9 September 2016.



წყარო: Schwab Foundation for Social Entrepreneurship and World Economic Forum, Breaking the Binary: Policy Guide to Scaling Social Innovation, აპრილი 2013, 26 გვ.

The Social Value Act

საჯარო მომსახურების (სოციალური ღირებულების) აქტი 2013 წელს შევიდა ძალაში. მისი მიზნები ახსნილია მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ის იმ ადამიანებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ საჯარო სერვისების მიწოდებას, მოითხოვს იფიქრონ იმაზეც, თუ როგორ შეძლებენ უზრუნველყონ ფართო სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებლის მიღება. შესყიდვების პროცესის დაწყებამდე, კომისიის წევრებმა უნდა მოიფიქრონ რა სერვისს შეიძენენ და რა გზით გააკეთებენ ამას ისე, რომ ამ ყოველივემ ფართო სარგებლის მიღება უზრუნველყოს. ეს აქტი არის საშუალება, იმისათვის, რომ კომისიის წევრებმა ფასზე მეტი სარგებელი შესყიდვებიდან მიიღონ. გარდა ამისა, ის კომისიის წევრებს საშუალებას აძლევს გაესაუბრონ ადგილობრივი ბაზრის პროვაიდერებსა და თემის წარმომადგენლებს, უკეთესი მომსახურების შემუშავებაში და ახალი და ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღებაში რთული პრობლემების მოგვარების მიზნით.²⁹⁵ კანონი სოციალური საწარმოებს ავალდებულებს, რომ თავიანთი სოციალური ზეგავლენის გამჭირვალე დემონსტრირება მოახდინონ.²⁹⁶ გარდა ამისა, მთავრობა სოციალური

²⁹⁵ <https://www.gov.uk/government/publications/social-value-act-information-and-resources/social-value-act-information-and-resources>

²⁹⁶ Drencheva, Andreana & Stephan, Ute, The State of Social Entrepreneurship in the UK, SEFORIS Country Report, April 2014, p. 6.

ღირებულების მიწოდების კარგი პრაქტიკის აღიარების მიზნით სოციალური ღირებულების ჯილდოს (Social Value Awards) გასცემს.

საჯარო სექტორი სოციალური საწარმოებისთვის ჯერ კიდევ რჩება მთავარ შემოსავლის წყაროდ, ეს განსაკუთრებით ეხება იმ საწარმოებს, რომლებიც ყველაზე მოწვევად რეგიონებში მუშაობენ. შემდეგი ხუთი წლის მანძილზე, საჭირო იქნება ერთობლივი და მიზანმიმართული მუშაობა ადგილობრივ საჯარო და საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, სოციალური ღირებულების აქტის უკეთესად განხორციელება და სოციალური საწარმოების შემოსავლების დივერსიფიკაცია რათა ამ მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება გაგრძელდეს. საჯარო სექტორის ბაზარზე მომუშავე სოციალური საწარმოების 49% აღნიშნავს, რომ ისინი ჯერ კიდევ ელოდებიან ამ ყველაფრის სატენდერო წინადადებებში ასახვას- ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი მანამ, სანამ სოციალური ღირებულების აქტი გეგმის მიხედვით განხორციელდება.²⁹⁷

Social Investment Tax Relief

იმისათვის, რომ მოეხდინა სოციალური ინვესტიციების სტიმულირება ბაზარზე, მთავრობამ წამოიწყო მსოფლიოში პირველი სოციალური ინვესტიციების საგადასახადო შეღავათები Social Investment Tax Relief (SITR). SITR უზრუნველყოფს ინდივიდუალური ინვესტორების ფინანსურ წახალისებას, იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს საინვესტიციო კაპიტალს და მოახდინოს £480 მილიონის მობილიზება შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში. 2015 წლის დეკემბრის მდგომარებით ორმოცდათხუთმეტმა ორგანიზაციამ შეავსო განაცხადი SITR პროგრამაში მონაწილეობის უფლების მისაღებად.²⁹⁸

SITR იმ კერძო პირებს და ორგანიზაციებს, რომლებიც ინვესტიციებს კვალიფიციურ საზოგადოებრივი ორგანიზაციებში დებენ, საშემოსავლო გადასახადზე 30 პროცენტთან შეღავათს აძლევს. 30 პროცენტის ნიხრი არის Enterprise Investment Scheme და Venture Capital Trust ინვესტიციების მსგავსი განაკვეთი და მოიზიდავს იგივე კაპიტალის მოგების საგადასახადო შეღავათებს (capital gain tax relief), რომელიც შექმნის თანაბარ პირობებს

სოციალური საწარმოების ინვესტიციებისთვის. ეს მიზნად ისახავს მოახდინოს არაუზრუნველყოფილი ინვესტიციების სტიმულირება საქველმოქმედო და სათემო ორგანიზაციებში.²⁹⁹ სამი წლის განმავლობაში კვალიფიციურ ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიღონ £290 000-მდე, გადასახადების საშეღავათო პირობებში.

იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს SITR-ის ეფექტური მუშაობა, ხელისუფლებამ განახორციელა შემდეგი ქმედებები:

- აკრედიტაციის სისტემის შემუშავება, რათა სოციალური ზემოქმედების ობლიგაციები (Social Impact Bonds (SIBs) კვალიფიციური იყოს SITR-ისთვის. დღეის მდგომარეობით,

²⁹⁷ Social Enterprise UK, State of Social Enterprise Survey 2015, p. 4 and 5.

²⁹⁸ HM Government, Social Investment: A Force for Social Change, 2016 Strategy, p. 8.

²⁹⁹ Drencheva, Andreana & Stephan, Ute, The State of Social Entrepreneurship in the UK, SEFORiS Contry Report, April 2014, p.

ორმა SIB-მა გაიარა აკრედიტაცია და წარმატებულად მოიზიდა ინვესტიცია SITR-ის გამოყენებით

- Social Venture Capital Trust-ის სქემის შედეგად, რაც მიზნად ისახავს სტიმულირება გაუწიოს საინვესტიციო კომპანიებს, რომლებიც ინვესტიციას დებენ სოციალურ ორგანიზაციებში და შესთავაზოს 30%-იანი საგადასახადო შეღავათები განხორციელებულ ინვესტიციებზე.

სპეციალური სახელმწიფო დახმარების აქციების გამოყენება ევროპული კომისიისგან, იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს SITR-ისგან ორგანიზაციების ინვესტირება.

დისკუსიები ევროკომისიასთან გრძელდება და ხელისუფლებისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს.³⁰⁰

Investment and Contract Readiness Fund

2012 წელს საინვესტიციო მზადყოფნის პროგრამის Investment Readiness Program (2012-2014) ფარგლებში, მთავრობამ დააარსა £10 მილიონიანი საინვესტიციო და საკონტრაქტო მზადყოფნის ფონდი Investment and Contract Readiness Fund (ICRF). მსოფლიოში პირველი ფონდი, რომლის მიზანია მხარი დაუჭიროს საქველმოქმედო და სოციალურ საწარმოებს მიიღონ ინდივიდუალურად მორგებული სერვისები. ეს არის სამწლიანი საგრანტო პროგრამა, რომელიც ეხმარება ამ ორგანიზაციებს უზრუნველყონ სოციალური ინვესტიციები და მოიპოვონ საჯარო სერვისების კონტრაქტები. ფონდის ყოველი ერთი ფუნტით კონტრაქტების და კერძო ინვესტიციებით გზით გენერირდება დამატებით £18.³⁰¹

£50.000-£150.000-მდე გრანტები ხელმისაწვდომია ამბიციური ინიციატივებისათვის, რომლებიც შეძლებენ £500.000-მდე ინვესტიციის მოზიდვას ან მონაწილეობას მიიღებენ £1 მილიონის ღირებულების კონტრაქტებში.³⁰² კვალიფიციურ სუბიექტებად მოიაზრება საქველმოქმედო ორგანიზაციები, სოციალურ საწარმოები, სათემო კორპორაციები. გრანტის მიმღებებს ICRF-ის თანხები შეუძლიათ გამოიყენონ პროფესიონალური საკონსულტაციო სერვისების მისაღებად.

ICRF-ი მთავრობის დავალებით იმართება სოციალური ინვესტიციების ბიზნესის The Social Investment Business (TSIB) მიერ. TSIB არის დამოუკიდებელი მმართველობითი რგოლი, რომელიც შეირჩა საჯარო ტენდერის საფუძველზე. როგორც ICRF-ის მენეჯერს, TSIB-ს ევალება პროგრამის ყველა ასპექტზე მუშაობა, მათ შორის მხარდამჭერების დამტკიცება, შუამდგომლობა, გრანტების ადმინისტრირება და შეფასება, გადახდების განხორციელება და წარმატების შეფასება (გაზომვა).

ICRF-ის მთავარი მახასიათებელი ნიშანია TSIB-ის მიერ შექმნილი ინვესტორების პანელი, რომელიც განიხილავს და ამტკიცებს განაცხადებს. ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ ფონდი მხარს უჭერს ყველაზე მეტად სიცოცხლისუნარიან სოციალურ ინიციატივებს, რომელიც ეფუძნება რეალურ საინვესტიციო კრიტერიუმებს და პერსპექტივებს. მინისტრთა

³⁰⁰ HM Government, Social Investment: A Force for Social Change, 2016 Strategy, p.11.

³⁰¹ Ibid., p. 8.


³⁰² <http://www.beinvestmentready.org.uk/>

კაბინეტს პანელში არ აქვს ხმის უფლება და გასცემს რეკომენდაციას იქ, სადაც შესაძლებელია ICRF-ის ღონისძიებები ემთხვეოდეს სახელმწიფო პოლიტიკას და მის პრიორიტეტებს.

TSIB-გან ასევე მოსალოდნელია, რომ ისარგებლოს მინისტრთა კაბინეტის მოქნილობით, რომელიც დაუშვა აღნიშნულ პროგრამაში. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, მოსალოდნელი ცვლილება 2013 წლისთვის, იმისათვის, რომ გრანტების ნაწილი გამხდარიყო გადახდადი და შესაბამისობაში მოსულიყო წახალისების მიღების სურვილთან. ფაქტობრივად, სოციალური საწარმოების ფულადი მხარდაჭერა ნაწილობრივ სტრუქტურირებული იქნება, როგორც ნულოვანი ინტერესის სესხი, ინვესტიციების დაფარვის და მოზიდვის პირობით. დასაფარი ჯილდოები დააწესებს მარკეტინგის ძლიერ დისციპლინას, განაცხადის ბიუჯეტისთვის და წარმოდგენილი იქნება წახალისების ჯილდოები პროვაიდერებისთვის.

TSIB-ის მიერ განხორციელებული პროგრამის ძირითადი კომპონენტები მოიცავს შემდეგს:

- მხარდამჭერ პროვაიდერებთან პარტნიორობით, სოციალური ინიციატივები ICRF-ში განაცხადს აკეთებენ კონკურსის საფუძველზე
- სოციალური ინიციატივებისათვის გრანტები მერყეობს £50.000 - £150.000 ფარგლებში
- სოციალური ინიციატივის მიერ ICRF-ის გრანტის მხოლოდ მაქსიმუმ 40% შეიძლება გამოყენებულ იქნას მხარდამჭერი პროვაიდერების მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე. თანხის დანარჩენი ნაწილი გადაეცემა მხარდამჭერ პროვაიდერებს
- დაფინანსებული ღონისძიებები უმეტესად მოიცავს 3-9 თვის პერიოდს, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს 18 თვემდე
- მხარდამჭერი პროვაიდერების დამტკიცება ხდება ცალკე საგანაცხადო პროცესით.³⁰³



³⁰³Schwab Foundation for Social Entrepreneurship and World Economic Forum, Breaking the Binary: Policy Guide to Scaling Social Innovation, April 2013, pp. 31-32.

წყარო: : Schwab Foundation for Social Entrepreneurship and World Economic Forum, Breaking the Binary: Policy Guide to Scaling Social Innovation, აპრილი 2013, 32 გვ.

ფონდმა უკვე ინიცირება გაუკეთა 8 სოციალურ ინიციატივას (social venture), რომლებმაც ინვესტიციების და კონტრაქტების მეშვეობით მოიზიდეს £35 მილიონი.³⁰⁴

The Social Incubator Fund და The Big Lottery Fund

2012 წელს საინვესტიციო მზადყოფნის პროგრამის ფარგლებში (2012-2014) მთავრობამ დააარსა £10 მილიონიანი სოციალური ინკუბატორის ფონდი Social Incubator Fund (SIF), რომელიც სტარტაპის ფაზაში სოციალურ ინიციატივებს სთავაზობს ინტენსიურ მხარდაჭერას, რათა მათ ისარგებლონ სოციალური საინვესტიციო შესაძლებლობების უპირატესობებით და უკეთესი დახმარება აღმოუჩინონ თემს და იმ ადამიანებს, რომელმაც ესაჭიროებათ

დახმარება. ფონდი ორიენტირებულია სოციალურ ინკუბატორებზე, იმისთვის, რომ დაეხმაროს მათ უზრუნველყონ ინვესტიცია და მხარდაჭერა ადრეულ ეტაპზე მყოფი სოციალური ინიციატივებისთვის. ფონდს მართავს Big Lottery Fund და საგრანტო დაფინანსებას გასცემს ათამდე ორგანიზაციაზე სამი რაუნდის ფარგლებში.

ინკუბატორებისთვის არსებობს დაფინანსების ხელმისაწვდომობის ორი ელემენტი:

- წელიწადში £50.000 - £250.000 საოპერაციო ხარჯებზე, ოთხი წლის მანძილზე; და
- წელიწადში £100.000 - £750.000 რომელიც ინკუბატორების მიერ გამოყენებულ იქნება ინვესტიციების განსახორციელებლად მომდევნო 12-24 თვის განმავლობაში.³⁰⁵

SIF-ის პირველი რაუნდი დაიწყო 2012 წლის ივლისში და მიმართული იყო სოციალურ ინკუბატორებზე, რომლებიც დაფუძნებული იყვნენ და ოპერირებდნენ ინგლისში. მეორე რაუნდი, რომელიც ღია იყო ახალი სოციალური ინკუბატორებისთვის, დაიწყო 2013 წლის მაისში. სოციალური ინკუბატორის ფონდი ამჟამად დახურულია აპლიკანტებისთვის, ვინაიდან თავდაპირველი £10 მილიონი მთლიანად დაიხარჯა პროგრამაზე. OCS აფასებს მიმდინარე დაფინანსების ეფექტს, სანამ გადაწყვეტს უნდა ჩატარდეს თუ არა მესამე რაუნდი. პირველ რაუნდში დაფინანსება, რომელიც ჯამში £5 მილიონს შეადგენდა, ოთხმა ორგანიზაციამ მიიღო. £6 მილიონ გადაეცა კიდევ 6 ორგანიზაციას 2014 წლის მარტში.³⁰⁶

გარდა ამისა Big Lottery Fund-მა, როგორც სამთავრობო უწყებათაშორისმა ორგანომ, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული ლატარიის მიერ მოზიდული თანხების „კარგი მიზნებისთვის“ გამოყენებაზე, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სოციალური საინვესტიციო ბაზრის განვითარებაში (დიდ ბრიტანეთში) მათ შორის:

- სოციალურ მეწარმეთა სკოლისთვის და UnLtd-სთვის £15 მილიონიანი ფონდის გამოყოფა, რათა ხელი შეუწყონ სოციალურ მეწარმეობას და სოციალურ საწარმოებს, მიიღონ ფინანსური და საექსპერტო მხარდაჭერა
- Next Steps ფონდთან ერთად სოციალური ინვესტიციების პროდუქტის განვითარება. £3 მილიონის ღირებულების ინიციატივები უკვე დაფინანსდა, რის პარალელურადაც

304 <http://www.beinvestmentready.org.uk/>

305 Cabinet Office and Hurd, Nick MP, “£10 million social incubator fund launches”, 24 July 2012, available at <https://www.gov.uk/government/news/10-million-social-incubator-fund-launches>, last accessed 23 September 2016.

306 <https://www.biglotteryfund.org.uk/socialincubatorfund>

ფონდმა უკვე მოიზიდა £20 მილიონი სოციალური ინვესტიციებისთვის. BLF-ი და Social Impact Fund ერთობლივად ავითარებენ ფონდს, რათა გაზარდოს Social Impact Bond (SIB) ბაზარი

- სოციალური ინვესტიციების კვლევების მხარდაჭერა: როგორც ერთობლივი ბაზრის სამეურვეო კვლევითი ჯგუფის ნაწილი (Market Stewardship Research Group), BLF-მა BSC-თან ერთად შეუკვეთა კვლევა, რათა გამოვლინდეს თუ როგორ შეიძლება უკეთ იფუნქციონიროს ბაზარმა.³⁰⁷

Centre for Social Impact Bonds

სოციალური ზემოქმედების ვალეზულება (Social Impact Bond), მიზნად ისახავს დახმარებას საჯარო სერვისების მიწოდებასა და სოციალური შედეგების გაუმჯობესების რეფორმირებაში, სადაც დაფინანსება არის პირობითი და დამოკიდებულია მიღწეულ შედეგებზე. ინვესტორები თანხას იხდიან პროექტის დასაწყისში და შემდეგ თანხას დებულობენ პროექტის შედეგებიდან გამომდინარე. SIB ეფუძნება სოციალური მიღწევების შედეგებს (მაგალითად გაუმჯობესებული ჯანმრთელობა), რომელიც არის წინასწარ განსაზღვრული და გაზომვადი. მაგალითისათვის, პიტერბოროს ციხეში SIB დამოკიდებულია იმაზე, შეძლო თუ არა პროექტმა მსჯავრდებულთა განმეორებითი დანაშაულის რაოდენობის შემცირება და არა იმ ფაქტორებზე, თუ რა ღირებულებისაა პროექტი ან რამდენი ადამიანია დასაქმებული პროექტში.³⁰⁸

2012 წელს მთავრობამ შექმნა Centre for Social Impact Bonds, როგორც SIB ბაზრის ჩემპიონი. ის სთავაზობს ექსპერტიზას და მთელ რიგ ინსტრუმენტებს, მათ შორის მონაცემთა ბაზები და კონტრაქტების შაბლონები, რათა მხარი დაუჭიროს ახალი SIB-ების განვითარებას.³⁰⁹

ცენტრი უზრუნველყოფს SIB-ის (Social Impact Bonds) განვითარებას შემდეგნაირად:

- საექსპერტო ინფორმაციის საცავის შექმნა და რეკომენდაციები (მითითებები) იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს SIB
- ხელმისაწვდომი და პრაქტიკული ინსტრუმენტების შექმნა, რათა SIB განვითარდეს მარტივად და ხარჯთეფექტურად
- ახალი SIB-თვის შესრულებულ სამუშაოებზე პროპორციული დაფინანსების გაცემა
- დემონსტრირება იმისა, თუ როგორ შეცვალა SIB-მა საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხი
- SIB-ის შესახებ უახლესი მოსაზრებების, კვლევების და მედია დაფარვის სტიმულირება და გაზიარება.³¹⁰

³⁰⁷ European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: United Kingdom, October 2014, p. 13.

³⁰⁸ Ibid, p. 5.

³⁰⁹ HM Government, Social Investment: A Force for Social Change, 2016 Strategy, p. 9.

³¹⁰ European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: United Kingdom, October 2014, p. 5.

Social Outcome Fund და Commissioning Better Outcome Fund

SIB-ის მხარდასაჭერად მინისტრთა კაბინეტმა და დიდი ლატარიის ფონდმა დააარსეს Social Outcome Fund (£20 მილიონი) და Commissioning Better Outcome (£40 მილიონი) ფონდები. ეს ფონდები SIB-ის შესრულებულ სამუშაოებზე პროპორციულად გასცემდნენ დაფინანსებას (საშუალოდ 20%-ის ფარგლებში) რთულ და კომპლექსურ სფეროებში.

SOF და SOB მუშაობდნენ პარალელურად და ჰქონდათ საგრანტო კონკურსები, რომლებიც შედეგოდა ინტერესთა გამოხატვისა და სრული საპროექტო განაცხადის შეტანის ეტაპებისგან.

SOF მიმართულია ერთ-ერთი მთავარი პრობლემის მოსაგვარებისკენ, რაც აფერხებს SIB-ის განვითარებას: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა სექტორის დანახარჯებიდან წარმოშობილი ერთობლივი სარგებლის და დანაზოგების გაერთიანების პრობლემა. SOF უზრუნველყოფს შესრულებულ სამუშაოებზე პროპორციული დაფინანსების გაცემას, რომელიც მიმართულია კომპლექსური და ძვირი სოციალური საკითხების მოგვარებისკენ. ეს ხელს შეუწყობს ახალი ინოვაციური პროექტების განვითარებას, სადაც ვერც ერთი კომისიონერი ვერ შეძლებს ყველა თანხობრივი გადაწყვეტილების გამართლებას, მაგრამ უფრო ფართო გაგებით ნიშნავს, რომ SIB არის ღირებულების და ხარისხის თანაფარდობა. დაფინანსების ერთ-ერთი პირობაა, შესრულებული სამუშაოს შეფასება და ანგარიში და ასევე პროექტის ეფექტურობის შესახებ მტკიცებულებების მოპოვება, იმისათვის, რომ მომავალში დაბრკოლებები დაძლეულ იქნეს. იგი მოქმედებს მხოლოდ ინგლისში და დაფინანსება ხელმისაწვდომია :

- სამთავრობო დეპარტამენტებისთვის
- ადგილობრივი საბჭოებისთვის
- სხვა საექსპლუატაციო ორგანოებისთვის, როგორცაა პოლიციის ძალები და კლინიკური ექსპლუატაციის ჯგუფები

ფონდში შესულ განაცხადებში უნდა ჩაერთოს PbR და იდეალურად უნდა იყოს დაფინანსებული სოციალური ზეგავლენის ობლიგაციების მიერ (Social Impact Bonds). განაცხადების ინტერესთა გამოხატვა შეუძლია ნებისმიერ ჯგუფს, მაგრამ საბოლოო განაცხადი უნდა განხორციელდეს კომისიონერების მიერ. ისინი ასევე უნდა:

- გაუმკლავდნენ სოციალურ საკითხებს, რომლებიც ეხება რამდენიმე საჯარო სექტორს
- უნდა ეფუძნებოდნენ და სარგებელი მოუტანონ ინგლისს
- უნდა ჰქონდეთ გარკვეული დანაზოგი, რომელიც იქნება განაღდებადი (სარეალიზაციო)
- ითხოვდნენ მხოლოდ მიზერული დაფინანსებას ხელისუფლების სარეზერვო ფონდიდან
- თანხმდებოდნენ, რომ გამოქვეყნდეს ინფორმაცია მონაცემთა დანაზოგების, თანხობრივი შესაძლებლობების (cashability) და ჩარევის ეფექტურობის შესახებ.³¹¹

Access

2015 წელს ხელისუფლებამ შექმნა სოციალური ინვესტიციების ფონდი Access. ეს არის ახალი £100 მილიონიანი საქველმოქმედო ფონდი, რომელიც თანამშრომლობს დიდი ლატარიის

311 https://data.gov.uk/sib_knowledge_box/social-outcomes-fund-cabinet-office-uk

ფონდთან (Big Lottery Fund) და დიდი საზოგადოების კაპიტალთან (Big Society Capital). საინვესტიციო მზადყოფნის პროგრამის წარმატებაზე დაფუძნებით, Access შემდეგი 10 წლის მანძილზე ხელს შეუწყობს შესაძლებლობების განვითარებას. Access მოქმედებს როგორც ბაზრის განვითარების ჩემპიონი და მხარდაჭერას უცხადებს ორგანიზაციებს რათა მიიღონ სოციალური ინვესტიციები. თავისი პროგრამების მისაწოდებლად Access თანამშრომლობს ბაზრარზე უკვე არსებულ მოთამაშებთან.³¹²

Access სთავაზობს შემდეგ მხარდაჭერას:

- აფინანსებს ორგანიზაციებს, რათა მართონ გრანტები და პროგრამები საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და სოციალური საწარმოების მხარდასაჭერად
- აფინანსებს ორგანიზაციებს, რათა გასცენ მცირე სესხები საქველმოქმედო ორგანიზაციებზე და სოციალურ საწარმოებზე; და
- სწავლების გაზიარება იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ეს პროგრამა.³¹³

დაფინანსების სისტემის დადებითი და უარყოფითი ეფექტები

სოციალური მეწარმეობის მომავალი ბრიტანეთში პოზიტიურად გამოიყურება. ხელისუფლების პოლიტიკის ბოლო დროინდელმა ღონისძიებებმა (საგადასახადო შეღავათები, დიდი საზოგადოების კაპიტალი, სოციალური ღირებულების აქტი და სხვა) უნდა გააუმჯობესოს სექტორისთვის ხელმისაწვდომობა ფინანსებზე და სახელმწიფო შესყიდვებზე/საჯარო მომსახურების მიწოდებაზე, იმ დროს როდესაც ბრიტანეთის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარდამჭერი ქსელები, რომლებიც თავად არიან სოციალური საწარმოები ან მესამე სექტორის ორგანიზაციები, უზრუნველყოფენ ბაზრის მტკიცე მხარდაჭერას განვითარების ყველა ეტაპზე. გაუმჯობესებულმა ინსტრუმენტებმა და სოციალური ზემოქმედების შეფასების განსაზღვრამ უნდა უზრუნველყოს სექტორის შესაძლებლობების გაფართოება, რათა მოახდინოს ეკონომიკური მნიშვნელობის და დიდ ბრიტანეთში მის მიერ შეტანილი წვლილის დემონსტრირება და სექტორში დამატებითი იმპულსების შექმნის პროცესს დახმარება უნდა გაუწიოს, რაც გააძლიერებს მის ხელმისაწვდომობას ფინანსებზე, კონტრაქტებზე და საჯარო მომსახურების მიღებაზე.

კიდევ ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორი, რასაც დაინტერესებული მხარეები ციტირებენ, არის აქტიური და ეფექტური თანამშრომლობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის სექტორის ფარგლებში, მრავალი ძალისხმევის, ცნობიერების ამაღლების, გაუმჯობესებული კავშირების, სწავლების გაზიარების და კარგი პრაქტიკის ფონზე. ამ რამდენიმე ფაქტორის კომბინაციამ- არსებულმა შესაძლებლობებმა, ეფექტურმა თანამშრომლობამ დაინტერესებულ მხარეებს შორის, დინამიკამ, ინოვაციამ, დადებითმა პოლიტიკურმა გარემომ, გაუმჯობესებულმა ხელმისაწვდომობამ ფინანსებზე, სოციალური ღირებულებების უკეთესმა დემონსტრირებამ და ქსელის გაძლიერებამ- ხელი უნდა შეუწყოს სექტორის ზრდას და მისი დადებითი მსოფლმხედველობის შენარჩუნებას.³¹⁴

³¹²HM Government, Social Investment: A Force for Social Change, 2016 Strategy, p. 9.

³¹³ <http://access-socialinvestment.org.uk>

³¹⁴European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: United Kingdom, October 2014, p. 33.

მიუხედავად ამისა, გამოკითხვების თანახმად სოციალური საწარმოს სექტორიდან ჯერ კიდევ არსებობს დიდი მოთხოვნა დაფინანსებაზე. განსაკუთრებით მცირე ზომის და ნაკლებად მდგრადი სოციალური საწარმოების მხრიდან, ისეთ მაღალ მოთხოვნად მხარდაჭერ სერვისებზე, როგორცაა მაღალი რისკი და არაუზრუნველყოფილი კაპიტალის დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ მიწოდების და მოთხოვნის შეუსაბამობა სხვა კვლევებმაც³¹⁵ გამოავლინა, გარდა ამისა სიტუაციას განსაკუთრებით ართულებს მაღალი საოპერაციო ხარჯები.³¹⁶

სოციალური მეწარმეობის შესახებ კვლევამ, რომელიც ჩაატარა SEUK-მ აჩვენა, რომ სოციალური მეწარმეობის სექტორი სწრაფი ტემპებით ვითარდება. სოციალური საწარმოების ნახევარი ხუთი წლისაა. ეს ყველაფერი დიდ ზეგავლენას ახდენს მათზე ვინც ეძებს მხარდაჭერას, ინვესტიციას და ხელს უწყობს ამ ორგანიზაციების გავლენის ზრდას.

დაფინანსება არის ყველა ზომის სოციალური საწარმოს მთავარი დაბრკოლება; ძირითად მოთხოვნად რჩება მცირე მასშტაბის, მარტივი და არაუზრუნველყოფილი ინვესტიციები. სოციალურ ინვესტიციებზე წვდომის ბარიერი, ძირითადად ხელმისაწვდომობას და ნდობას ეფუძნება, ვიდრე დიდ კაპიტალს და იურიდიულ სტრუქტურას.³¹⁷

დიდი ბრიტანეთის მთავრობის კაბინეტმა შეადგინა მონაცემები სოციალური საწარმოების ბარიერების და დაბრკოლებების შესახებ, რასაც იუწყება დიდი და მცირე ბიზნესის 2014 წლის კვლევა, რომელმაც გამოავლინა, რომ

- სოციალური საწარმოების 35%-ისთვის წარმატების დამაბრკოლებელია ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სირთულე (განსაკუთრებით ამ საწარმოების 28%-ისთვის)
